

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლელა მამალაძე

**ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ
გადაწყვეტილებებზე მათი გავლენის თავისებურებები საქართველოში**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი

აბსტრაქტი

ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე მათი გავლენის თავისებურებები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: ინტერესთა ჯგუფები; ლობირება; ეკონომიკურ-პოლიტიკური გადანყვეტილებები; აშშ; ევროკავშირი; საქართველო.

თანამედროვე მსოფლიოში ინტერესთა ჯგუფების აქტივობა ყოველწლიურად იზრდება, რასაც ადასტურებს მათი რიცხოვნობისა და ლობისტურ აქტივობებზე დახარჯული ფინანსების ზრდა. შესაბამისად, დღითიდღე მატულობს ინტერესთა ჯგუფების მიერ კანონმდებელზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები სასურველი გადანყვეტილებების მიღების მიზნით, რაც ამ პრობლემების კვლევას აქტუალობას მატებს.

სადისერტაციო თემის მიზანია საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე გავლენის თავისებურებების კვლევა, ხოლო ძირითად ამოცანებად დასახულ იქნა:

- ❖ ინტერესთა ჯგუფების ფორმირების მიზანშეწონილობის გამოკვლევა ისტორიული კონტექსტით, ლობიზმის ისტორიული განვითარების ეტაპებისა და თანამედროვე მნიშვნელობის შესწავლა და ანალიზი, წარმოშობის საფუძვლებისა და განვითარების პერსპექტივების კვლევა, ეროვნული და უცხოური ლიტერატურის სიღრმისეული ანალიზისა და სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების საფუძველზე;
- ❖ საქართველოში, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატებში ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის, ლობიზმისა და ლობისტური საქმიანობების პრაქტიკის შედარებითი ანალიზი;
- ❖ საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის ხარისხის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზი და გამოკვლევა.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილია შემდეგი **სიახლეები**:

- ❖ ინტერესთა ჯგუფების განვითარების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია მათი ქმედებების მამოძრავებელი მოტივები, ეკონომიკურ-პოლიტიკურ

- გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტები, ეფექტიანობის განმაპირობებელი კრიტერიუმები და შემაფერხებელი გარემოებები.
- ❖ განხილულია პრაქტიკული საქმიანობა ციფრული ტექნოლოგიების სფეროში, გამოკვეთილია აღნიშნულ ინდუსტრიაში ინტერესთა ჯგუფების რიცხვის შეუქცევადი ზრდის მამოძრავებელი მოტივები და იდენტიფიცირებულია მათ მიერ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად აქტიურად გამოყენებული სამოქმედო სტრატეგიები.
 - ❖ კვლევაში აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირებულია ინტერესთა ჯგუფების საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები როგორც ფორმირების, აგრეთვე საქმიანობის მხრივ და გავლებულია პარალელი ინტერესთა ჯგუფების სამოქმედო გარემოს შექმნის საქართველოსთვის შესატყვის მოდელთან.
 - ❖ შესწავლილია საქართველოს მაგალითი და გამოკვეთილია საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ-პოლიტიკური მემკვიდრეობის როლი ინტერესთა ჯგუფების ფორმირებასა და ევოლუციის პროცესზე რობერტ პატენმის ნაშრომის „დემოკრატიის შემუშავება: სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში“ (Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy; 1993) მეთოდოლოგიის საფუძველზე;
 - ❖ საერთაშორისო ინდექსების გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილია ინტერესთა ჯგუფებისა და ინდივიდუალური ლობისტების საქმიანობის შემაფერხებელი გარემოებები საქართველოს მაგალითზე.
 - ❖ კვლევის საფუძველზე იდენტიფიცირებულია პოლიტიკური გაერთიანებების მიერ საქართველოში საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და სასურველი ცვლილებების ადვოკატირებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული სტრატეგიები, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული საკითხები, ლობისტური საქმიანობის თანმდევ რისკები, ეფექტიანი ლობირების განმსაზღვრელი ფაქტორები და ფინანსური რესურსის როლი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ზემოთჩამოთვლილი ნაშრომებისა და რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებისას ზოგადფილოსოფიურ მეთოდთან ერთად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ეკონომიკური და სტატისტიკური მეთოდები: რაოდენობრივი, თვისებრივი, შედარების, დაჯგუფების, გრაფიკული გამოსახვისა და სხვა მეთოდები.

კვლევის სტრუქტურა შედგება შესავლისაგან, სამი თავისგან, ათი ქვეთავისგან, დასკვნა-რეკომენდაციებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

პირველ თავში განხილულია ინტერესთა ჯგუფების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები და მათი ფორმირების მიზანშეწონილობის გამოკვლევა ისტორიული კონტექსტით. აგრეთვე, გაანალიზებულია ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები ციფრული ტექნოლოგიების სფეროს მაგალითზე.

მეორე თავში საუბარია ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის თავისებურებებზე აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოებში და წარმოდგენილია შედარებითი ანალიზი.

მესამე თავში შემოთავაზებულია საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის ხარისხის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზი, რომელიც ეყრდნობა ინტერესთა ჯგუფების ფორმირების, განვითარების ეტაპების, საშინაო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების კვლევას. აგრეთვე, განხილულია ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ლობირების, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტის კვლევა საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა გამოკითხვაზე დაყრდნობით. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, აგრეთვე თვისებრივი მეთოდები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: სადისერტაციო ნაშრომის შედეგები შესაძლებელია გამოიყენონ კერძო, საჯარო და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ეკონომიკური პოლიტიკის, კერძოდ, ინტერესთა ჯგუფების საქმიანობისა და ლობირების საკითხების კვლევისა და სწავლების პროცესში.

The thesis of the dissertation issue

The characteristics of the formation of interest groups and their influence on economic and political decisions in Georgia

Key words: Interest groups; Lobbying; Economic-political decisions; USA; The European Union; Georgia;

In the modern world, the activity of interest groups is constantly increasing, which is confirmed by the increase in their number and the finances spent on lobbying activities. Consequently, attempts by interest groups to influence the legislator to make the desired decisions are increasing day by day. This fact makes the study of these problems much more urgent and interesting.

The aim of the dissertation is to study the characteristics of the formation of interest groups in Georgia and their influence on economic and political decisions. The research objectives are as follows:

- ❖ A study of the origins and development perspectives of interest groups and an analysis of the stages and modern significance of lobbying development based on an in-depth analysis of national and foreign literature and the processing of statistical data.
- ❖ A comparative analysis of the activities and lobbying practices of interest groups in the European Union and the United States.
- ❖ Analysis of opportunities for the formation of interest groups in Georgia and the improvement of the economic-political environment that determines the quality of civil society actions.

The following scientific findings have been identified within the study:

- ❖ Based on the analysis of the development of interest groups, the driving motives of their actions, the tools used to influence economic-political decisions, the criteria determining the effectiveness and the impediments are identified.
- ❖ Practical activities in the field of digital technologies are discussed, the driving motives for the increase in the number of interest groups are identified. The strategies actively used by them to influence economic and political decisions are also identified.

- ❖ The study, based on a comparative analysis of the US and EU countries, identifies the common and distinctive characteristics of interest groups in terms of both formation and activity, and draws parallels with the model of creating a working environment for Georgia.
- ❖ The case of Georgia is studied and the role of the economic-political heritage of the Soviet Union in the formation of interest groups and the process of evolution is based on the methodology of Robert Putnam's work "Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy; 1993;
- ❖ Based on the analysis of international indexes, the obstacles to the activities of interest groups and individual lobbyists have been identified on the example of Georgia.
- ❖ The research identifies the most frequently used strategies by political parties to protect the public interest and advocate for desired change in Georgia, priority economic policy issues, risks associated with lobbying, determinants of effective lobbying, and the role of financial resources.

Various economic and statistical **methods** were used in data processing: quantitative, qualitative, comparison, grouping, graphical representation and etc.

The structure of the research consists of an introduction, three chapters, ten subsections, conclusions and references.

The first chapter discusses the theoretical-methodological issues of the research of interest groups and examines the expediency of their formation in a historical context. Also, the practical aspects of the activities of interest groups on the example of digital technology are analyzed.

The second chapter consists the peculiarities of the formation of interest groups and their influence on economic and political decisions in the US and EU countries and their comparative analysis.

The third chapter proposes an analysis of the opportunities for the formation of interest groups in Georgia and the improvement of the economic-political environment that determines the quality of civil society activity. Also discussed is the study of lobbying as one of the tools for influencing economic and political decisions based on a survey of political associations registered in Georgia. Both quantitative and qualitative methods were used in the study.

Practical significance of the thesis: The results of the dissertation can be used by private, public and higher education institutions in the process of research and teaching of economic policy, in particular, the activities of lobbyists and lobbying issues.

სარჩევი

აბსტრაქტი	II
The thesis of the dissertation issue.....	V
დიაგრამები:.....	X
ნახაზები:.....	XI
აბრევიატურები:.....	XII
შესავალი	1
თავი I. ინტერესთა ჯგუფების გავლენა ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაზე: თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი.....	10
1.1. ინტერესთა ჯგუფების ფორმირების მიზანშეწონილობის გამოკვლევა ისტორიული და თანამედროვე კონტექსტით.....	10
1.1.1. ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები ციფრული ტექნოლოგიების სფეროში.....	22
1.2. ინტერესთა ჯგუფების საქმიანობისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი.....	29
1.3. ინტერესთა ჯგუფების მეცნიერული კატეგორიის გამოკვლევა თეორიული ეკონომიკის კონტექსტით	51
თავი II. ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის საერთაშორისო გამოცდილება	68
2.1. ინტერესთა ჯგუფების ფორმირების და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის თავისებურებები აშშ-ში.....	68
2.2. ინტერესთა ჯგუფების ფორმირების და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის თავისებურებები ევროკავშირში.....	77
2.3. ინტერესთა ჯგუფების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში.....	85
თავი III. საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის ხარისხის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზი	88

3.1. ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში.....	88
3.2. ინტერესთა ჯგუფების აქტივობის ხარისხი საქართველოში: ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ანალიზი და ბარიერები.....	103
3.3. ლობისტური საქმიანობის ანალიზი საქართველოში.....	109
დასკვნები და რეკომენდაციები	128
გამოყენებული ლიტერატურა.....	140
დანართები	162

დიაგრამები:

- დიაგრამა N1: 1998-2019 წლების საერთო ლობისტური დანახარჯები აშშ-ში (გვ. 71);
- დიაგრამა N2: აშშ-ში რეგისტრირებულ ლობისტთა რაოდენობა 2000-2019 წლებში (გვ. 72);
- დიაგრამა N3: წამყვანი ლობისტური ფირმების დანახარჯები (გვ. 72);
- დიაგრამა N4: ციფრული კომპანიების მიერ ლობისტურ საქმიანობაზე გაღებული დანახარჯები (გვ. 73);
- დიაგრამა N5: აშშ-ს წამყვანი ლობისტური ინდუსტრიები ლობისტური დანახარჯების მიხედვით (გვ. 74);
- დიაგრამა N6: ლობისტური საქმიანობის დანახარჯები სექტორების მიხედვით (2019 წ.) (გვ. 75);
- დიაგრამა N7: წამყვანი ბიზნეს ასოციაციები აშშ-ში ლობისტურ დანახარჯების მიხედვით (გვ. 75);
- დიაგრამა N8: დემოკრატიის ინდექსის მაჩვენებელი საქართველოს მაგალითზე (გვ. 104)
- დიაგრამა N9: დემოკრატიულობის ხარისხი ბერტელსმანის ინდექსის მიხედვით (გვ. 105);
- დიაგრამა N10: პოლიტიკური ჩართულობის კომპონენტი BTI-ის მიხედვით (საქართველოს პოზიცია) (გვ. 105);
- დიაგრამა N11: პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ ხშირად გამოყენებული სტრატეგიები (გვ. 113);
- დიაგრამა N12: ლობირების სტრატეგიის ეფექტიანობა რესპოდენტთა თვალსაზრისით (გვ. 114);
- დიაგრამა N13: ეკონომიკურ-პოლიტიკური საკითხების პრიორიტეტულობა (გვ. 115);
- დიაგრამა N14: პოლიტიკური გაერთიანებებისთვის პრიორიტეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური საკითხები (გვ. 115);
- დიაგრამა N15: ლობირების გამოყენების მიზანშეწონილობა ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას (გვ. 116);
- დიაგრამა N16: ლობირების თანმდევნი რისკები (გვ. 117);
- დიაგრამა N17: რესპოდენტთა მიერ ლობირების გამოყენების მაჩვენებელი (გვ. 118);
- დიაგრამა N18: ლობირება ეროვნულ, რეგიონალურ და/ან ზეეროვნულ

დონეებზე (გვ. 119);
დიაგრამა N19: წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები (გვ. 120);
დიაგრამა N20: წარმატებელი ლობირების შემთხვევა (გვ. 120);
დიაგრამა N21: ლობირების წარმატებლობის მიზეზები (გვ. 121);
დიაგრამა N22: ლობირების სამომავლოდ გამოყენება (გვ. 122);
დიაგრამა N23: წარმატებული ლობირების განმაპირობებელი ფაქტორები (გვ. 123);
დიაგრამა N24: ფინანსების მნიშვნელობა წარმატებული ლობირებისთვის (გვ. 123);
დიაგრამა N25: არაფორმალური ლობირების ეფექტიანობა (გვ. 124);
დიაგრამა N26: სხვა პარტიათა ლობისტური საქმიანობის ფაქტები (გვ. 125);
დიაგრამა N27: ლობირება, როგორც ინტერესთა ჯგუფების ჩართულობის უზრუნველყოფი ფაქტორი (გვ. 125);

ნახაზები:

ნახაზი N1: ეფექტიანი ლობირების განმსაზღვრელი ფაქტორები (გვ. 40);
ნახაზი N2: ორგანიზაციული მახასიათებლების მნიშვნელობა (გვ. 40);
ნახაზი N3: ორგანიზაციათა სტრატეგიული შესაძლებლობები (გვ. 41);
ნახაზი N4: წარმატებული ლობირების განმსაზღვრელი ფაქტორები (გვ. 42);
ნახაზი N5: ინფორმაციის გაცვლის სქემა (გვ. 53);
ნახაზი N6: სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის მიერ დაქირავებული ლობისტებისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედება (გვ. 54);
ნახაზი N7: ლობირების არარსებობა (გვ. 54);
ნახაზი N8: ნაწილობრივ ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობები (გვ. 55);
ნახაზი N9: სამოქალაქო საზოგადოების 10 დემოკრატიული ფუნქცია დაიმონდის მიხედვით (გვ. 91);
ნახაზი N10: გამოკითხულ პოლიტიკურ პარტიათა იურიდიული რეგისტრაციის პერიოდი (გვ. 111);
ნახაზი N11: წევრთა რაოდენობა გამოკითხულ პოლიტიკურ გაერთიანებებში (გვ. 112);

აბრევიატურები:

AALEP (Association of Accredited Public Policy Advocates to the European Union) - ევროკავშირში აკრედიტირებული საზოგადოებრივი პოლიტიკის ადვოკატირების ასოციაცია

AISB (Society for the Study of Artificial Intelligence and Simulation of Behaviour) - ხელოვნური ინტელექტისა და ქცევის სიმულაციის შემსწავლელი საზოგადოება

AmCham (American Chamber of Commerce) - ამერიკის სავაჭრო პალატა

BABEL (Blockchains and Artificial intelligence for Business, Economics and Law) - ბლოკჩეინი და ხელოვნური ინტელექტი ბიზნესის, ეკონომიკისა და სამართლისათვის

BGCC (British-Georgian Chamber of Commerce) - ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა

BTI (Bertelsmann Transformation Index) - ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი

CLAIRE (Confederation of Laboratories for Artificial Intelligence Research in Europe) - ხელოვნური ინტელექტის კვლევის ლაბორატორიათა კონფედერაცია ევროპაში

CCIFG (Chamber of Commerce and Industry France-Georgia) - საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატა

DFKI (Deutsches Forschungszentrum für Künstliche Intelligenz) - ხელოვნური ინტელექტის გერმანული კვლევითი ცენტრი

EBA (The European Business Association) - ევროპული ბიზნეს ასოციაცია

EICTA (European Information and Communications Technology Industry Association) - ევროპის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიური ინდუსტრიის ასოციაცია

EurAI (European Artificial Intelligence Association) - ხელოვნური ინტელექტის ევროპული ასოციაცია

GAACC (Georgia and Asia-Africa Chamber of Commerce.) - საქართველოსა და აზია-აფრიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა

IGCC (Israel-Georgia Chamber of Business) - საქართველო-ისრაელის სავაჭრო პალატა

ICC (International Chamber of Commerce) - საერთაშორისო სავაჭრო პალატა

STIKK (The Kosovo Association of Information and Communication Technology) - კოსოვოს ინფორმაციული ტექნოლოგიისა და კომუნიკაციის ასოციაცია

შესავალი

თემის აქტუალობა. ინტერესთა ჯგუფების მრავალფეროვანი სპექტრის არსებობა სახელმწიფოში სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების წინაპირობა და მისი განვითარების თანმდევი ნაწილია. ინტერესთა ჯგუფების აქტივობის ხარისხი კი სახელმწიფოს დემოკრატიულობის განმსაზღვრელ ერთ-ერთი მთავარ ინდიკატორად მიიჩნევა. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფაში. ინტერესთა ჯგუფები ფოკუსირებულნი არიან მოქალაქეთა სხვადასხვა სეგმენტის ინტერესებზე, ახდენენ საზოგადოებისთვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებას და დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცების გზით ხელს უწყობენ სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას. შესაბამისად, ნებისმიერი ქვეყნის, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავსი განვითარებადი სახელმწიფოსათვის, აქტუალურია სიღრმისეული აკადემიური კვლევების წარმოება ინტერესთა ჯგუფების ფორმირების, განვითარების ეტაპების, ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის ხარისხისა და თავისებურებების, გამოყენებული ინსტრუმენტების შესახებ. კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება, საბოლოო ჯამში, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიზაციის ხარისხის ამაღლების მიზანს მოემსახურება.

ახალი პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვანი ამოცანაა ინტერესთა ჯგუფების წარმოშობისა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებების პროცესზე მათი გავლენის გაანალიზება. თანამედროვე მსოფლიოში საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ინტერესთა ჯგუფების აქტივობის ზრდა, რადგან გაცილებით მრავალფეროვანი ხდება საზოგადოებისთვის საყურადღებო საკითხების ნუსხა. ეს ინდივიდებს აიძულებს გაერთიანდნენ საერთო საკითხების გარშემო და ძალისხმევა მიმართონ საკუთარი ინტერესების დაცვისა და ადვოკატირებისკენ, ან არასასურველი გადაწყვეტილებების შეჩერებისკენ. ამასთან, გლობალიზაციის კვალდაკვალ გაზრდილი ეკონომიკური,

პოლიტიკური თუ სოციალური ურთიერთდამოკიდებულება ხელს უწყობს ინტერესთა ჯგუფების სამოქმედო სივრცის გაფართოებასა და გავლენის მასშტაბების ზრდას.

საქართველოს მსგავსი განვითარებადი/ჰიბრიდული დემოკრატიის ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, სადაც ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებში ინტერესთა ჯგუფების ჩართულობის და ზეგავლენის ხარისხი მაღალია. ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ქმედებების მოტივაციის ასახსნელად მრავალი სამეცნიერო თეორია განვითარდა, რომელთაც საფუძვლად ამერიკული და ევროპული გამოცდილება დაედო. საკვლევი პრობლემის მეცნიერული დამუშავება არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, ხარვეზებისგან თავის არიდების და გარდაქმნების წარმატებულად განხორციელებისათვის. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებში გათვალისწინებული იქნება საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

პრობლემის აქტუალობის მიუხედავად, საქართველოს სამეცნიერო სივრცეში საკითხი ნაკლებად არის გამოკვლეული. შესაბამისად, საკვლევი პრობლემის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, მისი აქტუალობა ეჭვს არ იწვევს, რამაც განაპირობა სადისერტაციო თემის შერჩევა, კვლევის მიზნებისა და ამოცანების, საგნისა და ობიექტის განსაზღვრა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის თავისებურებების ანალიზი და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა შემდეგი **ამოცანები**:

- ინტერესთა ჯგუფების ფორმირების და ფუნქციონირების გამოკვლევა ისტორიული და თანამედროვე კონტექსტით;
- „ინტერესთა ჯგუფების“ ცნების დაზუსტება არსებული განმარტებების და შეხედულებების ანალიზის საფუძველზე;

- ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის პრაქტიკული ასპექტების გაანალიზება ციფრული ტექნოლოგიების მაგალითზე;
- ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და მათი საქმიანობის თავისებურებების კვლევა ინსტიტუციონალიზმის თეორიის საფუძველზე;
- სოციალური კაპიტალის როლის ანალიზი სამოქალაქო საზოგადოების შეკავშირების პროცესში;
- ევროკავშირის სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის, ლობიზმისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე გავლენის თავისებურებების შედარებითი ანალიზი, საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლების, ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაციის მიზნით;
- საქართველოში ინტერესთა ჯგუფების აქტივობის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს შეფასება საერთაშორისო ინდექსების გაანალიზების საფუძველზე;
- საქართველოში ლობისტური ლანდშაფტის შეფასება, ერთი მხრივ, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე და მეორეს მხრივ, ევროკავშირში აკრედიტირებული საზოგადოებრივი პოლიტიკის ადვოკატირების ასოციაციის (AALEP) მიერ შემუშავებულ კითხვარზე დაყრდნობით.

კვლევის ობიექტია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი ინტერესთა ჯგუფები და პოლიტიკური გაერთიანებები.

კვლევის საგანია საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე მათი გავლენის მექანიზმები.

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები. კვლევა ეყრდნობა საკვლევი პრობლემის საკითხზე მონინავე ქართველი და უცხოელი მეცნიერების შრომების შედეგებს, არამართო ეკონომიკური მიმართულების, არამედ დისციპლინათშორის ჭრილში. კერძოდ: ჯონ სკოტის ნაშრომს „ლობირება და საზოგადოება: ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკური სოციოლოგია“ (Lobbying and Society: A Political Sociology of Interest Groups) (Scott, J.C; 2017), რომელიც დაგვეხმარა ინტერესთა ჯგუფების წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების, რესურსების მობილიზების და შესაფერისი პოლიტიკური

გარემოს სწორად შერჩევის ანალიზში; ყოფილი ლობისტის სტეფანი ვენსის ნაშრომს „გავლენის ტაქტიკა: 50 ინსაიდერული ტაქტიკა ვაშინგტონიდან“ (The Influence Game: 50 Insider Tactics from the Washington D.C. Lobbying World that Will Get You to) (Vance, S; 2012), რითაც ვისარგებლეთ აშშ-სა და ევროკავშირის ლობისტური ჯგუფების საქმიანობის შედარებითი ანალიზის ჩატარებისას; ჰოლიოკეს ნაშრომს „ინტერესთა ჯგუფები და ლობირება: პოლიტიკური ინტერესების დაცვა ამერიკაში“ (Interest Groups and Lobbying: Pursuing Political Interests in America) (Holyoke, T. Th; 2016), რომლის საფუძველზეც მოვახდინეთ აშშ-ის სახელისუფლებო სტრუქტურის და ინტერესთა ჯგუფების სპეციფიკური მახასიათებლების იდენტიფიკაცია; მანკურ ოლსონის კვლევას - „კოლექტიური მოქმედების ლოგიკა: საჯარო კეთილდღეობა და ჯგუფების თეორია“ The Logic of Collective Action: Public Goods and the Theory of Groups. (Olson, Mancur. (1971)Cambridge, MA: Harvard University Press.), რომელიც წარმოადგენს ფუნდამენტურ კვლევას ინტერესთა ჯგუფში განევრიანების მამოტივირებელი ფაქტორების, ჯგუფების კლასიფიკაციისა და წარმატების განმაპირობებელი ორგანიზაციული ფაქტორების შესახებ; კლუვერის ნაშრომს „ინტერესთა შუამავლობა ევროკავშირში: ეროვნული ასოციაციები ბრიუსელის გზაზე“ Interessenvermittlung in der Europäischen Union: Nationale Verbände auf dem Weg nach Brüssel (Klüver, H; 2012), რომელზე დაყრდნობითაც გავაანალიზეთ ინტერესთა ჯგუფების ევოლუციის ეტაპები ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ცვლილებების კვალდაკვალ ევროკავშირში. კოჰენის და რიჩარდსონის ნაშრომს „ლობირება ევროკავშირში: ინსტიტუტები, აქტორები და საკითხები“ Lobbying the European Union: Institutions, Actors, and Issues (Cohen, D; Richardson, J; 2009), რომლიც დაგვეხმარა სიღრმისეულად გავვეანალიზებინა ინტერესთა ჯგუფების როლი დღის წესრიგის ფორმირებიდან დაწყებული, იმპლემენტაციით დასრულებული.

საკვლევ პრობლემაზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვინია ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების შრომებმა, როგორებიცაა პროფესორ რ. გველესიანის და ემდ ი. გოგორიშვილის ნაშრომი „გადანყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში“ (2018) - სისტემური მოდგომით გავაანალიზეთ ეკონომიკურ პოლიტიკაში

მიღებული გადაწყვეტილებების სტრუქტურა, ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების შესაბამისობა პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებთან; საქართველოში მიმდინარე პროცესების ობიექტურ აღქმაში დიდი დახმარება გაგვინია აკადემიკოს ვლ. პაპავას ნაშრომმა „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“ (2012). მნიშვნელოვანი ინფორმაცია პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკის და პოლიტიკის შესახებ მივიღეთ სტატიიდან „ევროკავშირისა და პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკის პარამეტრები“ (Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy) (Silagadze, A; Zubiashvili, T; 2015) - ავტორები აკადემიკოსი ა. სილაგაძე და ასოც. პროფ. თ. ზუბიაშვილი; საქართველოში ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფოს როლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღეთ პროფ. ე. მექვაბიშვილის ნაშრომიდან „ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმირება გლობალიზაციის პირობებში“ (2019) და სხვა.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კვლევის ზოგადფილოსოფიური მეთოდები და თანამედროვე ინსტრუმენტები - სისტემური მიდგომის, ანალიზის და სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის, დაჯგუფების, მონინავე მოდელთან შედარების („ბენჩმარკინგის“), სოციოლოგიური კვლევის და ა.შ. კვლევა ეფუძნება, როგორც პირველადი, ასევე მეორადი ინფორმაციის ანალიზს. ინფორმაცია მოპოვებულ იქნა საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე. საჯარო რეესტრიდან მონოდებული მონაცემებით 1997-2020 წლების პერიოდში¹ საქართველოში რეგისტრირებული 263 პოლიტიკური გაერთიანებიდან კითხვარი გაიგზავნა აქტიური საკონტაქტო ინფორმაციის მქონე 191 პარტიასთან, რომელთა შორისაც იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რეგისტრირებული 68 პოლიტიკური გაერთიანებაც. ჯამში 23 კითხვიან ანკეტზე გვიპასუხა 89 სუბიექტმა.

გარდა ამისა, გაანალიზდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კვლევითი დაწესებულებების (The Economist-ის დემოკრატიის ინდექსი, Heritage Foundation-ის

¹ ივლისსხმება 1997 წლიდან 2020 წლის 21 ივლისამდე პერიოდი.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, Freedom Barometer-ის სიტყვის თავისუფლების ინდექსი, International Transparency-ის კორუფციის აღქმის ინდექსი) მიერ საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული ოფიციალურად გამოქვეყნებული ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები და საჯარო ინფორმაცია ოფიციალური ლობისტური პორტალების (www.fara.gov-ის, lobbyfact.eu-სა და Sunlight Foundation) მონაცემთა ბაზებიდან. კვლევის საფუძველზე გამოვავლინეთ საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და მისი აქტივობის ხარისხის განმსაზღვრელი ბარიერები და შევიმუშავეთ მისი დაძლევის გზები.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე:

- ინტერესთა ჯგუფების ისტორიული ევოლუციის ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია ინტერესთა ჯგუფების ფორმირების, განვითარებისა და აქტივობის მამოძრავებელი მოტივები, ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანწყვეტილებებზე ზეგავლენის მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტები და მათი ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (გვ. 128-129);
- ციფრული ტექნოლოგიების სფეროში ინტერესთა ჯგუფების პრაქტიკული საქმიანობის შესწავლის საფუძველზე დადგენილია მათ მიერ აქტიურად გამოყენებული სამოქმედო სტრატეგიები (გვ. 129);
- აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოების ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და საქმიანობის თავისებურებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები (გვ. 130-131);
- დადასტურებულია საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ-პოლიტიკური მემკვიდრეობის გავლენა საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებასა და ევოლუციის პროცესზე, რობერტ პატნემის ნაშრომის მეთოდოლოგიის საფუძველზე (135-136);
- გამოვლენილია პოლიტიკური გაერთიანებების მიერ საქართველოში საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და სასურველი ცვლილებების ადვოკატირებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული სტრატეგიები, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული საკითხები, ლობისტური საქმიანობის დადებითი მხარეები და თანმდევი რისკები;

საქართველოში ინტერესთა ჯგუფებისა და ინდივიდუალური ლობისტების საქმიანობის შემათავრებელი ფაქტორები (გვ. 132-134).

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას; სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკურ გაერთიანებათა და ინტერესებული ჯგუფების საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფისთვის; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეკონომიკური პოლიტიკის, ინტერესთა ჯგუფების, ლობირების საკითხების კვლევისა და სწავლების პროცესში.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაცია განხილულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე. სადისერტაციო კვლევის დებულებები, შედეგები და რეკომენდაციები მოხსენებულია რამდენიმე ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე და გამოქვეყნებულია როგორც ადგილობრივ, აგრეთვე, საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში (დანართი 4).

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე აკრეფილ 188 გვერდს და შედგება აბსტრაქტის, შესავალი ნაწილის, სამი თავის, ათი ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციების, 238 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართებისგან (14 გვერდი).

I თავში - „ინტერესთა ჯგუფების გავლენა ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაზე: თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი“ გაანალიზებულია ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბების ისტორიული კონტექსტი, ინტერესთა ჯგუფების კლასიფიკაცია, ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაზე ინტერესთა ჯგუფების მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები და მეთოდები, შესწავლილია ინტერესთა ჯგუფების ფორმირების, წევრობისა და საქმიანობის მოტივები თეორიული ეკონომიკის პერსპექტივიდან და რა მნიშვნელობის მატარებელია სოციალური კაპიტალი. ნაშრომის აღნიშნული ნაწილი, აგრეთვე, მოიცავს ინტერესთა ჯგუფების

პრაქტიკული საქმიანობის ანალიზს თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მზარდ - ციფრული ტექნოლოგიების - სფეროში.

II თავში - „ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის საერთაშორისო გამოცდილება“ - გაანალიზებულია აშშ-ის მაგალითი, რომელიც დღესდღეობითაც ინტერესთა ჯგუფების რაოდენობისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ჩართულობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. გარდა ამისა, შესწავლილია ევროკავშირის, როგორც ინტერესთა ჯგუფების სწრაფი ევოლუციისა და მოქმედების არეალის ცვლილების (ეროვნულიდან საერთაშორისო დონემდე) მაგალითი. დასკვნის სახით კი წარმოდგენილია აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების შედარებითი ანალიზი.

III თავი - „საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის ხარისხის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზი“ ეხება ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებისა და აქტივიზმის ხარისხის განმაპირობებელ საშინაო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებსა და ბარიერებს, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშემწყობ ინდიკატორთა მაჩვენებლებს. აგრეთვე, შესწავლილია ინტერესთა ჯგუფების მიერ ზეგავლენის აპრობრებული მეთოდის - ლობირების პროცესში გამჭვირვალების დაცვის მექანიზმებს ეროვნული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე და გამოვლენილია შემთავრებელი გარემოებები. ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი, სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შემოთავაზებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელი რეკომენდაციები.

დასკვნები და რეკომენდაციები. მიღებული კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები ერთის მხრივ, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მიმართულებით, რადგან ნებისმიერი სახის ცვლილება მოითხოვს შესაბამის ცოდნას და ექსპერტიზას. თითოეული ასეთი ნაბიჯი კი, თავის მხრივ, ქვეყნის მოდერნიზაციის, დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულია.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული შედეგები დაფუძნებულია განხორციელებულ კვლევებსა და ანალიტიკური ნაშრომების გაანალიზებით მიღებულ შედეგებზე. საკვლევი საკითხის ირგვლივ შექმნილი აკადემიური ნაშრომები, სადაც გაანალიზებულია დაინტერესებული ჯგუფები, ფორმალური თუ არაფორმალური სუბიექტები, ასოციაციები - თანხმდებიან, რომ ინდივიდების აქტიური ჩართულობა აქტუალურ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ გადანყვეტილებების მიღების პროცესებში, არის სახელმწიფოს დემოკრატიულობის უმთავრესი ინდიკატორი. კვლევის შედეგად შემოთავაზებული რეკომენდაციების პრაქტიკული გამოყენება შესაძლებელია, ერთი მხრივ, როგორც ინტერესთა ჯგუფების ჩართულობისა და ლობისტური საქმიანობის გაზრდისთვის სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული შედეგების მისაღწევად, აგრეთვე, ინოვაციური იდეების ფორმირებისა თუ საკანონმდებლო ინიციატივებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს სუსტი მხარეების აღმოფხვრასა და ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის მონიტორინგს, ლობირების პროცესში გამჭვირვალე პოლიტიკის შესანარჩუნებლად.

თავი I. ინტერესთა ჯგუფების გავლენა ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაზე: თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი

1.1. ინტერესთა ჯგუფების ფორმირების მიზანშეწონილობის გამოკვლევა ისტორიული და თანამედროვე კონტექსტით

კვლევის საწყის ეტაპზე მიზნად დავისახეთ განგვეხილა ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და განვითარების მიზანშეწონილობა ისტორიული კონტექსტით. გაგვეანალიზებინა ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბების მოტივები, ურთიერთკავშირი ინტერესთა ჯგუფების რაოდენობას, საქმიანობის არეალსა და კონკრეტულ სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ კლიმატს შორის.

ინტერესთა ჯგუფების შექმნისა და მოქმედების საფუძველია გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენის მოტივი, რაც შეკავშირებულ ძალისხმევას მოითხოვს და მხოლოდ ერთი ინდივიდის მცდელობით ვერ მიიღწევა. შესაბამისად, მიზნების იდენტიფიცირების, სწორი სამოქმედო ტაქტიკის შერჩევისა და ზოგადად, ორგანიზაციული რესურსების მობილიზების შემთხვევაში მეტია საზოგადოებრივი მიზნების მიღწევის შანსი, ვიდრე მხოლოდ ინდივიდუალური ძალისხმევით. გარდა ამისა, გლობალიზაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარება ზრდის სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სფეროს ეტაპობრივ გარდაქმნას. შედეგად, როგორც სახელმწიფოებრივ, აგრეთვე, საერთაშორისო დონეზე გამუდმებით დგას არსებული საკანონმდებლო ნორმებისა თუ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებების გარდაქმნის და/ან ახლის შემუშავების საჭიროება. აღნიშნული გარემოება კი გვევლინება ინტერესთა ჯგუფების დამატებით მამოტივირებელ ფაქტორად კანონმდებელზე ზეგავლენის მოხდენის პროცესში სასურველი შედეგის მისაღწევად (მამალაძე, 2020).

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა (2020) კვლევაში „ეკონომიკის პოლიტიზაცია და არაეკონომიკური პოლიტიკა (პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება)“ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის

შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, „ეკონომიკის პოლიტიზაციის“ თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელიც კი არის“. შესაბამისად, ინტერესთა ჯგუფების კვლევა აქტუალურია, რადგან წარმოდგენენ პოლიტიკური პროცესის ნაწილს. უფრო მეტიც, ინტერესთა ჯგუფის აქტივობა მომავალში თითქმის ყველა პოლიტიკურ სისტემაში გაიზრდება, რამდენიმე მიზეზის გამო: პირველ რიგში, მთავრობის რეგულირების ქვეშ მოქცეულ სფეროთა მრავალფეროვნება აიძულებს ინდივიდებსა და ორგანიზაციებს გახდნენ პოლიტიკურად აქტიურები თავიანთი ინტერესების დასაცავად ან პოპულარიზაციისთვის. მეორე მხრივ, გლობალიზაცია, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გააფართოვებს საერთაშორისო ინტერესთა ჯგუფების საქმიანობას და გამოიწვევს შინაგანი და საერთაშორისო ინტერესების მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას (Britanica Encyclopedia). იდეალიზებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეკონომიკური პოლიტიკა წარმოდგენილია, როგორც „ერთი ინდივიდი, ერთი ხმა“, თუმცა, რეალურ საზოგადოებაში, ინტერესთა ჯგუფების როლი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში დიდი მნიშვნელობის მატარებელია და მათი სამოქმედო სივრცე მოიცავს როგორც ინტერესთა ვიწრო მიმართულებას (კონკრეტული ფირმის აქციონერები), აგრეთვე, ფართო მასშტაბებს (გარემოსდამცველები) (Helpmann, 2014).

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება ყოველდღიურად, სახელმწიფო ადმინისტრაციის ყველა დონეზე - ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეს გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ არჩეული წარმომადგენლების მცირე ჯგუფის მიერ და იურიდიულად სავალდებულოა მთელი საზოგადოებისთვის, რაც გავლენას ახდენს მათ ცხოვრებაზე, ეკონომიკურ საქმიანობასა და სოციალურ პირობებზე. შესაბამისად, საზოგადოება საჭიროებს ერთიან და კონკურენტუნარიან ჯგუფებს, რათა მოახდინოს გადაწყვეტილებების მიმღები პირების ინფორმირება მათი წევრების მოსაზრებებისა და ინტერესების შესახებ და გადასცეს ინფორმაცია გადაწყვეტილებების მიმღები პირებიდან მოქალაქეებს (Jaatinen; 1999). ინტერესთა ჯგუფები ცდილობენ გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებების მიღებაზე მათ სასარგებლოდ და შესაბამისად, ისინი ერევიან საკანონმდებლო პროცესში. ამ ფაქტთან

დაკავშირებით უნდა აღინიშნოს პირადი ინტერესისა და საზოგადოებრივი ინტერესის პრინციპები, რომლებიც შეიძლება კონფლიქტში აღმოჩნდნენ კონკრეტულ შემთხვევებში. საზოგადოებრივი ინტერესის თეორიის თვალსაზრისით, ინდივიდი მხოლოდ წამახალისებელ როლს ასრულებს ორგანიზაციის რიგებში, რომლებიც ქმნის საზოგადოებრივ არჩევანს. პირადი ინტერესის თეორია კი ყურადღებას ამახვილებს ინდივიდის, როგორც საკუთარი მიზნების შემქმნელის ანალიზზე, რომელსაც სურს საკუთარი პირადი მოგება მაქსიმალური იყოს. საზოგადოებრივი ან ინდივიდუალური ინტერესის შესრულებას შორის საზღვარი წარმოქმნის წინააღმდეგობებს ლობირებისთვის. ინტერესთა ჯგუფების მახასიათებელს წარმოადგენს საერთო საჭიროებებისა და ინტერესების მქონე პირთა ორგანიზაცია, გავლენა საზოგადოებრივ პოლიტიკაზე, მთავრობასა და პოლიტიკურ პარტიებზე (Müller, 2010). შესაბამისად, ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ ცვლილებების მზარდ და მნიშვნელოვან წყაროს (Bansal and Roth, 2000; Goodstein, 1994; Oliver, 1991) და განიხილებიან როგორც დაინტერესებული მხარეების ორგანიზებული, აქტიური ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებულია სოციალური და პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრის გაუმჯობესებაზე (Greening and Gray, 1994). თუმცა, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ინტერესთა ჯგუფების საბაზისო საფუძველია გადარჩენა, რომელიც წინ უძღვის სხვა დანარჩენ მიზნებს, რომლებიც ე.წ. მეორეული მიზნებია და მათი სისრულეში მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის გადარჩენის შემდეგ (Gray and Lowery, 1996; Lowery, 2007). საგულისხმოა, რომ ინტერესთა ჯგუფები სანყის ეტაპზე ცდილობდნენ მთავრობის მიერ მიღებულ რეგულირებაზე ზეგავლენას კონკრეტული კორპორაციის თვალთახედვიდან (Walker, 1983), შემდგომ პერიოდში, მათი ქმედებები გაფართოვდა და ორიენტირდა თავად კორპორაციებზეც, თავიანთი საქმიანობის და პოლიტიკის შეცვლის მიზნით, სხვადასხვა საშუალებებით (Fineman and Clarke, 1996), რაც მოიცავს კონკურენტულ დამოკიდებულებას თავად ლობისტურ ჯგუფებს შორის (Eesley and Lenox, 2006; Hoffman, 1996) და განაპირობებს უფრო მეტად ზეწოლის ინსტრუმენტების გამოყენებას, ვიდრე ფოკუსირებას მხოლოდ რეგულირების მიმღებ ორგანოებზე (Miller et al, 2005).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით 1960-იანი წლების ბოლოდან შეინიშნება დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობის მნიშვნელოვანი განვითარება და საერთაშორისო აქტიურობის ზრდა. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ყოველთვის არსებობდა ინტერესის ჯგუფის გარკვეული ფორმა. სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენამ კი მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინტერესთა ჯგუფებისა და ლობირების გააქტიურებას ეროვნული საზღვრების მიღმა. საერთაშორისო ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის მტკიცებულებაა ეგრეთ წოდებული უცხოური ლობის ზრდა დასავლურ სამყაროში, მაგალითად, ვაშინგტონში, ლონდონში, პარიზსა და ბრიუსელში (Thomas; 2004). საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., გაერო), მისი სხვადასხვა სააგენტოებისა და რეგიონალური ორგანიზაციების (ევროკავშირი) იურისდიქციის გავრცელება. ინტერესთა ჯგუფების მზარდი მნიშვნელობის მაგალითია ევროკავშირი, 1957 წელს 6 ქვეყნის მიერ დაარსებულ საერთაშორისო ორგანიზაციაში ინტერესთა ჯგუფების რიცხვის ზრდა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საერთო ვალუტისა და ბაზრის ჩამოყალიბების შემდეგ. ჯგუფების მზარდ რიცხოვნობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წევრ სახელმწიფოთა იურისდიქციის მნიშვნელოვანი ნაწილის ეროვნულიდან საერთაშორისო დონეზე გადატანამ (Thomas; 2004).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს თანამედროვეობაში ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ ბევრად უფრო მრავალრიცხოვან და აქტიურ გაერთიანებებს, ვიდრე მანამდე და გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ გამიზნულ კამპანიებს სასურველი გადანყვეტილებების მიმღებებზე ზეგავლენის მიზნით (Frooman, 1999). მეორე მხრივ, გადანყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ ინტერესთა ჯგუფების ზეწოლა და სათანადო რეაგირება მოახდინონ თავიანთი საზოგადოებრივი იმიჯის, კეთილგანწყობის და რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით (Dutton and Dukerich, 1991).

საგულისხმოა, რომ ინტერესთა ჯგუფებისა და ლობიზმის ცნების მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიცვალა მისი ინტერპრეტაცია და უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი გახდა. როგორც აკადემიურ კვლევებში, ასევე პრაქტიკაში, ხშირად გამოიყენება ტერმინი „ინტერესი“, რომელიც გაცილებით მასშტაბურია ვიდრე ინტერესთა ჯგუფი (მაგ., სასოფლო-სამეურნეო ინტერესები, გარემოსდაცვითი ინტერესები), რადგან

შესაძლოა აერთიანებდეს ამ კონკრეტულ სფეროში მოქმედ მრავალ ინტერესთა ჯგუფს. თუმცა, საბაზისო განმარტების თანახმად, ინტერესთა ჯგუფები განისაზღვრება, როგორც საერთო ინტერესის გარშემო შეკრებილ ადამიანთა ორგანიზაცია სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით. ინტერესთა ჯგუფის მიზანი შესაძლოა განისაზღვროს ეკონომიკურ-პოლიტიკური (და არა მხოლოდ) გადაწყვეტილებით, რომელიც საზოგადოების მხოლოდ ერთ ნაწილს ეხება (მაგ., სამთავრობო სუბსიდისები ფერმერთათვის) ან მოიცავს მოქალაქეთა უფრო ფართო სეგმენტს (ეკოლოგიური პრობლემები) (Britanica Encyclopedia). ცნების ამავე დეფინიციას იზიარებს ვიდაცაკი (Vidacak, 2003) და თვლის, რომ ინტერესთა ჯგუფები შეიძლება განისაზღვროს როგორც ორგანიზაციები (მათ შორის არაპოლიტიკური პარტიები), რომლებიც მიზნად ისახავენ უშუალო გავლენას ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. თუმცა, ტერმინი ზოგჯერ გამოიყენება როგორც „ზენოლის ჯგუფების“, „ლობისტური ჯგუფების“ და სხვათა სინონიმი (Vidacak, 2003).

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ინტერესთა ჯგუფები ხშირად ასოცირდება ლობისტური ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ ხელისუფლების წარმომადგენლებზე. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ინტერესთა ჯგუფები ყოველთვის არ არიან ჩართულნი ლობირებაში. ისინი შეიძლება არ იყვნენ პოლიტიკურად აქტიურები, ან სხვაგვარად შეიძლება გამოიყენონ არაპირდაპირი ტაქტიკა, როგორცაა მედია კამპანიები, კვლევა და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, საკუთარი მიზნის მისაღწევად (Delibashzade et al, 2016).

ინსტიტუციონალური ფორმისა და ზომის გათვალისწინებით ინტერესთა ჯგუფების ფართო რანჟირებას წარმოგვიდგენს მიულერი (Müller, 2003), რომელიც თვლის, რომ ჯგუფების შექმნის საფუძველი საერთო მიზანი ან/და საზოგადოებრივი სიკეთეების მიღწევაა. შედეგად, ყალიბდება სავაჭრო და ინდუსტრიული, პროფესიული ასოციაციები, შრომითი გაერთიანებები, გარემოსდამცველთა ორგანიზაციები, ჰუმანიტარული, სამშვიდობო და გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლთა ჯგუფები. თუმცა, ინტერესთა ჯგუფების უმეტესი ნაწილი გაერთიანებულია ეკონომიკური მიზნების გარშემო (Slezakova, 2012).

გრეი და ლოუერი (Gray and Lowery, 2000) ხაზს უსვამენ, რომ მკვლევართა ნაწილი ინტერესთა ჯგუფებში მოიაზრებს ინსტიტუტებს (სკოლები, უნივერსიტეტები, კლინიკები), მეორე ნაწილი მოიაზრებს ფირმებს ან ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს და ა.შ. შესაბამისად, მათი მრავალფეროვანი ორგანიზაციული ფორმების გათვალისწინებით, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები ინტერესთა ჯგუფების კვლევისას. გაერთიანებათა ჩამონათვალი, რომელსაც ინტერესთა ჯგუფების ცნების ქვეშ მოიაზრებენ, მრავალგვარია: ე.წ. „ზენოლის ჯგუფები“, ლობისტები, ინტერესთა ასოციაციები, დაინტერესებული ჯგუფები, სოციალური ჯგუფები, სამოქალაქო ასოციაციები, სოციალური მოძრაობები, არაკომერციული ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დიდი კორპორაციები, მრავალფეროვანი კორპორაციები, ინდუსტრიული ასოციაციები, ბიზნეს ასოციაციები, შრომითი პროფკავშირები და ფედერაციები, სამეზობლო ასოციაციები, ადმინისტრაციული სააგენტოები, კორპორაციები, რომლებიც განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსით სარგებლობენ, ადგილობრივი თვითმმართველობა, გავლენიანი პირები, იდეოლოგიური ორგანიზაციები (Tsujinaka, 2007).

ინტერესთა ჯგუფები არსებობენ ყველა საზოგადოებაში, დემოკრატიულ და ავტორიტარულ, განვითარებულ და განვითარებადში. თუმცა, მათი მრავალფეროვანი კლასიფიკაცია სრულყოფილი ფორმით წარმოდგენილია მონინავე პლურალისტურ დემოკრატიებში. შემდგომში ეს ჯგუფები შეიძლება დაიყოს ბიზნეს, შრომით, სასოფლო და პროფესიულ ჯგუფებად. ამის მაგალითებია: ბიზნესის, კანადის დამოუკიდებელი ბიზნესის ფედერაციის და შვეიცარიის Nestles Corporation- ის და მრავალი (the Canadian Federation of Independent Business and the Nestles Corporation in Switzerland), ქვეყანაში მისი საქმიანობის შესახებ; შრომითი (the Metal Workers Union, Germany's largest trade union), სასოფლო-სამეურნეო (the Irish Farmers' Association in the Republic of Ireland), პროფესიული ჯგუფები (the Czech Chamber of Doctors) (Thomas; 2004).

ამ ორგანიზებულ ინტერესებში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი, რომ გავლენა მოახდინოს სამთავრობო პოლიტიკაზე. ინტერესთა ჯგუფების მიერ ზეგავლენის მოხდენის მიზნით ფართოდ გამოყენებული ტაქტიკაა ლობირება. საგულისხმოა, რომ ინტერესთა

ჯგუფების წარმომადგენელთა ანალოგიურად, არც ინდივიდუალური ლობისტები, განსხვავებით პოლიტიკური ორგანიზაციებისგან, არ არიან დაინტერესებულნი იყვნენ არჩეულნი სხვადასხვა პოზიციებზე ან არჩევნების შედეგად. ბრუკერი (Bruycker, 2014) ნაშრომში „როგორ ავითარებენ ინტერესთა ჯგუფები ლობისტურ სტრატეგიებს - ენდოგენური ფაქტორების ანალიზი“ განმარტავს, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთი – ერთი მთავარი პირობა მოქალაქეთა უფლებაა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მიმართონ არჩეულ ჩინოვნიკებსა და მთავრობას. შედეგად, ყალიბდება ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფები, რომელიც აერთიანებს ინდივიდებს, კომპანიებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს. ინტერესთა ჯგუფები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს, რომ გავლენა მოახდინონ მთავრობის პოლიტიკაზე (Bruycker; 2014). დემოკრატია, როგორც თავისუფლებას, სამართლიანობასა და უსაფრთხოებას შორის კონფლიქტების მოგვარების მეთოდი, საშუალებას იძლევა, ინტერესთა შორის დაპირისპირება მოწესრიგდეს არა ძალადობის გამოყენებით, არამედ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველა მონაწილისთვის მისაღები ვერ იქნება (გველესიანი, 2019).

ტერმინოლოგიური ასპექტების განხილვისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლობირებისა და ლობისტების განმარტება, არა მხოლოდ აკადემიური თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკული მიზნების გამო. განმარტება საკმაოდ რთულია, რადგან სხვადასხვა პერსპექტივასა და გამოცდილებას ეფუძნება. აშშ-შიც კი, სადაც ამ ტერმინებს დიდი ისტორია და გამოყენების მასშტაბები გააჩნია, ამ მხრივ კონსენსუსი არ არსებობს. საგულისხმოა, რომ გარდა ზემოთაღნიშნული „პირდაპირი“ ლობირებისა, რომელიც ორიენტირებულია სამთავრობო ინსტიტუტებზე, უფრო მეტი ყურადღება ექცევა ლობირებას, რომელიც ცდილობს გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე არაპირდაპირი გზით. დემოკრატიულ საზოგადოებაში ლობირება მმართველობის ბუნებრივი ნაწილია. ყოველივე ამის შემდეგ, ინდივიდს ეძლევა თავისი ქვეყნის მთავრობაში მონაწილეობის უფლება გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლით, შესაბამისად, ლობირება შეიძლება ჩაითვალოს სრულად ლეგიტიმურ საქმიანობად.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა ჯგუფებს აქვთ მისია მაქსიმალურად დაიცვან თავიანთი სეგმენტის ინტერესები და, შესაბამისად, გამოიყენონ გარკვეული ტაქტიკა ეკონომიკურ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით (Beyers, 2008; Michalowitz, 2007; Schmitter & Streeck, 1999). თუმცა, მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, ლობირების სტრატეგიები ასევე უკავშირდება ორგანიზაციის შენარჩუნებასა და ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ მიზნებს და მხოლოდ გადანყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მოტივებით არ განისაზღვრება (Berkhout, 2013; Binderkrantz, 2005; Lowery, 2007; Pfeffer & Salancik, 1978; Schmitter & Streeck, 1999). გარდა ამისა, ინსტიტუციური გარემო და პოლიტიკის დღის წესრიგი, დამატებით გავლენას ახდენს ინტერესთა ჯგუფების მიერ შერჩეულ სამოქმედო ტაქტიკაზე (Baumgartner, Berry, Hojnacki, Leech, & Kimball, 2009; Mahoney, 2007). მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა, პირველადი და მეორეული აუდიტორიების იდენტიფიცირება და სამოქმედო სტრატეგიის შემუშავება ეროვნულ და ზეეროვნულ მმართველობის დონეებზე (Vance, 2012; Klüver, 2012).

თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ პლურალისტული სამთავრობო სისტემა საჭიროებს დაბალანსებულ თანამონაწილეობას მართვის პროცესში, შესაბამისად, ლობირება ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას გადანყვეტილების მიმღებ პირებსა და მოქალაქეების იმ ნაწილს შორის, რომელსაც გადანყვეტილების მიღებაზე წვდომა არ აქვს. აქედან გამომდინარე, ლობირება განიხილება, როგორც დემოკრატიული სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი (Jaatinen; 2003).

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა თომასის (Thomas; 2004) კვლევაში „ინტერესთა ჯგუფები, ლობირება და ლობისტები დასავლურ სამყაროში და მის ფარგლებს გარეთ“ წარმოდგენილ ინტერესთა ჯგუფების განმარტებას, რომელიც საკმაოდ მრავლისმომცველია და გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- სპეციალურ ინტერესთა ჯგუფები (Special Interest Cause Groups) - ეს არის ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების იმ სეგმენტს, რომელთა ძირითადი

მიზანი არა ეკონომიკურია და უკავშირდება რელიგიურ ღირებულებებს, ვეტერანთა გაერთიანებას და ა.შ;

- საზოგადოებრივი ინტერესის ჯგუფები (Public Interest Groups) - ჯგუფების უმეტესობა მიდრეკილია ვიწრო ელექტორატის სასარგებლოდ. საზოგადოებრივი ინტერესების ჯგუფები ხელს უწყობენ საზოგადოებრივი ინტერესების საკითხებს, როგორცაა გარემოს დაცვა ან ადამიანის უფლებების დაცვა. საზოგადოებრივი ინტერესების ჯგუფები მოქმედებენ როგორც მხოლოდ ერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში „მოქალაქეების გარემოსდაცვითი სამოქმედო ჯგუფების ფედერალური ასოციაცია“ (BBU), აგრეთვე, საერთაშორისო დონეზე (Greenpeace, Amnesty International);
- კერძო და საზოგადოებრივი ინსტიტუციური ინტერესები - ეროვნულ დონეზე ამის მაგალითია ბრიტანეთის გარემოს დაცვის დეპარტამენტი; კანადაში ადგილობრივ დონეზე ალბერტას უნივერსიტეტი, საჯარო უნივერსიტეტი, რომელიც პროვინციის მთავრობას ლობირებს თავისი ბიუჯეტისთვის; ადგილობრივ დონეზე, სკოლის საბჭო, საერთაშორისო დონეზე - გაერო ლობირებს აშშ-ს კონგრესსა და პრეზიდენტს, რომ გადაიხადოს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი ამ ორგანიზაციაში. მთავრობის ინსტიტუციური ინტერესები ხშირად ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერესებია ავტორიტარული რეჟიმებისთვის, სადაც კერძო ინტერესთა ჯგუფები შებლუდული ან აკრძალულია;
- არა-ასოციაციური ჯგუფები (Non-associational Groups) - ამ ჯგუფების მაგალითია კონკრეტული მოვლენის საპასუხოდ გამოხატული შეკავშირებული ინტერესი. მაგ., სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უსამართლობის და ძალადობის წინააღმდეგ გამოხატული მიტინგი აშშ-ში, რომელიც ძალადობისა და რასიზმის პროტესტს ემსახურებოდა და რომელსაც ადგილი ჰქონდა 2020 წლის გაზაფხულზე. წინააღმდეგობრივი მოძრაობის საფუძველი გახდა აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის დაღუპვა ყალბი ოცდოლარიანის გამოყენების ბრალდებით დაპატიმრების მომენტში.
- არაფორმალური ჯგუფების და ინტერესების სხვა მაგალითებია (informal groups and interests) გავლენიანი თურქი ბიზნეს ლიდერების დროებითი ჯგუფი, რომელიც

ბრიუსელში კონკრეტულ შეხვედრაზე ლობირებენ თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციას. აგრეთვე, ორიენტირებულნი არიან თურქეთის ევროკავშირში შესვლისკენ; ლიბერალური კათოლიკე ეპისკოპოსები ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, რომლებიც მუშაობენ თავიანთ ქვეყნებში ადამიანის უფლებების განვითარების მიზნით;

- საგარეო უწყებები და საერთაშორისო ორგანიზაციები (Foreign Governments and International Organizations) - მაგალითად, დაახლოებით 170 ქვეყანას აქვს საელჩოები ვაშინგტონში და მათგან სავარაუდოდ, 120 დაქირავებული ამერიკელია, რომელიც საკუთარი სახელით მიმართავენ ლობირებას დახმარების მიღების, უცხოური ინვესტიციების და სამხედრო დახმარების საკითხებზე. საერთაშორისო ორგანიზაციებში შედიან გაერო და მისი სხვადასხვა პარტნიორები, როგორცაა UNESCO (გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია) და ევროკავშირი. ბიზნეს-კორპორაციები და სავაჭრო ასოციაციები, მაგ., საერთაშორისო სავაჭრო პალატა, რომელიც მოქმედებს მრავალი ქვეყნის დედაქალაქში, აგრეთვე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მწარმოებელთა ევროპული ასოციაცია (EUROBIT), რომელიც აქტიურია ევროკავშირში - ბრიუსელსა და სტრასბურგში. (Thomas; 2004);

თომასი (Thomas; 2004) აგრეთვე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პოლიტიკური სისტემების განვითარების სხვადასხვა დონეზე განსხვავებული ტიპის რეჟიმები ახდენენ ინტერესთა ჯგუფების ამ ხუთი ტიპის არაერთგვაროვან შერწყმასა და სხვადასხვა დიაპაზონს. მაგალითად, მონინავე ან პოსტინდუსტრიულ დემოკრატიებს - როგორცაა დასავლეთ ევროპა, იაპონია, შეერთებული შტატები და კანადა - ახასიათებთ ინტერესთა ჯგუფების ხუთივე სახეობა. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, როგორცაა აფრიკის უმეტესი ნაწილი და ის სახელმწიფოები, სადაც ავტორიტარული რეჟიმებია, გააჩნიათ ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების უფრო ვიწრო სპექტრი. ამ რეჟიმებში არათორმალური ინტერესები ზოგადად ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანია. ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონესა და პოლიტიკურ რეჟიმებში ვლინდება ინტერესთა ჯგუფების განსხვავებული შერწყმა და დიაპაზონი. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში,

კანადაში, შეერთებულ შტატებში და იაპონიაში, თითოეული წარმოდგენილია დიდი რაოდენობით და შემუშავებული აქვთ დახვეწილი სტრატეგიები და ტაქტიკა. განვითარებად და ავტორიტეტული რეჟიმების მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ჯგუფების საკმაოდ ვიწრო დიაპაზონი არსებობს, ძალიან მცირე - საზოგადოებრივ ინტერესთა „მიზნობრივი“ და სამთავრობო ინტერესების ჯგუფები. ამ რეჟიმებში, არათორმალური ინტერესები ზოგადად ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მრავალრიცხოვანია. რაც შეეხება სამთავრობო ინსტიტუციურ ინტერესებს, ისინი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ავტორიტარულ რეჟიმებში, სადაც კერძო ინტერესთა ჯგუფების აზრის გამოხატვის თავისუფლება შეზღუდული ან აკრძალულია.

შეტამების სახით შეიძლება ითქვას, ინტერესთა ჯგუფი მოიცავს ინდივიდებს, რომლებიც ერთად ისწრაფვიან კონკრეტული მიზნისკენ, ან ერთიანდებიან საერთო საკითხის მხარდასაჭერად და ცდილობენ გავლენა მოახდინონ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ინტერესთა ჯგუფების კლასიფიკაცია ხდება ორგანიზაციული სტრუქტურის, მიზნის, წევრთა რაოდენობის, საქმიანობის სფეროს მიხედვით, თუმცა, მიუხედავად ორგანიზაციული ფორმების მრავალგვარობისა, თითოეული მათგანი დაფუძნებულია მოტივზე - მოახდინოს გავლენა კანონმდებელზე სასურველი მიზნის მისაღწევად. აზრთა სხვადასხვაობაა ინტერესთა ჯგუფების შემსწავლელ მეცნიერებს შორის და არ არსებობს ცალსახა, საყოველთაოდ აღიარებული კონსენსუსი ცნების დეფინიციასთან დაკავშირებით. თუმცა, ნაშრომი ეყრდნობა განსაზღვრებას, რომელიც ახდენს ზემოთ ჩამოთვლილი დეფინიციების ერთგვარ შეჯერებას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა ჯგუფების ფორმირებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელი გლობალიზაციის თანმდევმა პროცესებმა, საერთაშორისო ორგანიზაციათა რიცხვის ზრდამ, რამაც დღის წესრიგში დააყენა კონკრეტულ სახელმწიფოსა თუ ქვეყნის შიგნით მოქმედ ინტერესთა ჯგუფთათვის სასურველი საკითხის ზეგავლენა დონეზე ლობირების საჭიროება. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იმის გაცნობიერებაც, რომ სასურველი შედეგის მიღწევისთვის გაცილებით ეფექტიანი გახდა

კოორდინირებული ძალისხმევა, ვიდრე ინდივიდუალური მცდელობა, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა ინტერესთა ჯგუფების რაოდენობა.

1.1.1. ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები ციფრული ტექნოლოგიების სფეროში

მოცემულ ქვეთავში განხილულია ინტერესთა ჯგუფების საქმიანობას ციფრული ტექნოლოგიების სფეროში. ჩვენს თანამედროვეობაში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, შესაბამისად, ციფრული ტექნოლოგიების მიღწევების - ხელოვნური ინტელექტის, ბლოკჩეინ ტექნოლოგიების, კრიპტოგრაფიული ვალუტის და ა.შ. - გავლენა ეკონომიკურ პროცესებზე მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ეპოქაში დღითიდღე იზრდება.

ციფრული ეკონომიკა ის სფეროა, რომელიც ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების მხრივ. ციფრული ინდუსტრიის, კრიპტოგრაფიული ვალუტისა თუ ბლოკჩეინ სისტემების დანერგვა-გამოყენების მარეგულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილში არ მოქმედებს. შესაბამისად, კანონმდებლობის მიღება და იმპლემენტაცია სამომავლო საკითხია, რაც განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის აღნიშნულ სფეროში მოქმედი ინტერესთა ჯგუფებისა და ლობისტებისთვის, რომლებიც აქტიურად მუშაობენ კანონმდებელზე ზეგავლენის მოხდენის და საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით (Abuselidze and Mamaladze; 2021). ციფრული ტექნოლოგიების განვითარება შეუქცევადი პროცესია და მოიცავს მოვლენებს, (მაგ., კრიპტოვალუტის დამკვიდრება), რომელიც შემთავრებელი გარემოებაა ცენტრალურ ბანკებისთვის ოფიციალური მაკრო-ეკონომიკური სტატისტიკის წარმოებისა და მონეტარული პოლიტიკის სწორად განხორციელების მიმართულებით. მიმდინარე ეტაპზე არ არსებობს ერთობლივი მიდგომა ვირტუალური ვალუტების რეგულირებასთან დაკავშირებით. (მამალაძე; 2018). ინოვაციური ტექნოლოგიის შემოტანა მოითხოვს განსხვავებული სახის რისკ-ფაქტორების შეფასებასა და ახალი ცნებებისა და სტანდარტების დანერგვას არსებულ საკანონმდებლო სისტემაში. სიახლე, რომელსაც თან სდევს გარკვეული კითხვის ნიშნები რეგულირების მიმართულებით, ქმნის რიგ გამოწვევებს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას

(Lekashvili and Mamaladze, 2019). თანამედროვე მსოფლიოში განვითარების ეფექტიანი პოლიტიკა უმრავლეს ქვეყნებში ეფუძნება ნაციონალურ ციფრულ გადაწყვეტილებებსა და გეგმებს (გოგორიშვილი, 2019), გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები მოიცავს სხვადასხვა ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას კომპანიების, საზოგადოებისა და სამთავრობო უწყებების მიერ (Gogorishvili; 2020), პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ძირითადი რესურსი არის ინფორმაცია და ცოდნა, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების დეტერმინანტი ხდება (ბელიანაშვილი, 2019). ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენას კი ეკონომიკურ ზრდაზე აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის (კაკულია, 2019).

აქედან გამომდინარე, ხორციელდება აქტიური ლობირება ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. ამ არგუმენტს ამყარებს ლობისტურ აქტივობებზე დროის მოკლე მონაკვეთში დახარჯული კოლოსალური ფინანსებიც. აშშ-ს ხუთმა უმსხვილესმა ტექნიკურმა კომპანიამ ჯერ კიდევ 2018 წელს 64,2 მილიონი აშშ დოლარი დახარჯეს ფედერალურ დონეზე ლობირებაზე, რომელიც წინა წლის იგივე მონაცემთან შედარებით 10%-ით მეტია. Google-ის მიერ - 21.2 მილიონი, ამაზონის - 14.2 მლნ, ფეისბუქის - 12.6 მლნ, მაიკროსოფტის 9.5 მლნ, ხოლო ეფლის მიერ - 6.6 მლნ ლარი დაიხარჯა ლობირებაზე. აღნიშნული ინვესტიციის შედეგად ასახელებენ აშშ-ს პოლიტიკურ დღის წესრიგში დებატების გააქტიურებას საკითხების ფართო სპექტრზე - საარჩევნო უსაფრთხოების კონფიდენციალურობიდან დაწყებული, ანტიმონოპოლიური თემით დასრულებული. ხოლო კარგად დაფინანსებულმა ლობისტურმა მექანიზმმა შესაძლოა გადააჭარბოს ამომრჩევლის ხმებს (Romm; 2019). ბიზნესის ინტერესთა ჯგუფები განსაკუთრებით წარმატებულია იმ ფინანსური რესურსების გამო, რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ ლობირებისთვის გამოყონ (Schmitter; 2000);

ბევრმა სახელმწიფომ უკვე დაინერგა ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება საკანონმდებლო, სასამართლო, განათლების, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და სხვ. სფეროებში. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ბლოკჩეინ ტექნოლოგიების დამკვიდრებას აქტიურად უწყობენ ხელს ლობისტური ჯგუფები. მაგ., კრიპტოვალუტების ინვესტორებისა

და ბირჟების წარმომადგენელთა მიერ დაფუძნებული „ბლოკჩეინის ასოციაცია“ წამყვანი ლობისტური ორგანიზაციაა, რომელიც იცავს ბლოკჩეინ-ტექნოლოგიით დაკავებული ინვესტორებისა და ბიზნესების ინტერესებს. ორგანიზაციისთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს ცნობიერების ამაღლება აშშ-ის საგადასახადო კოდექსით კრიპტოვალუტების დაბეგვრაზე და კრიპტოვალუტის ინდუსტრიის საუკეთესო ლობისტური ორგანიზაციად ჩამოყალიბება (მამალაძე; 2019).

ქვემოთჩამოთვლილი ორგანიზაციები მცირე ნაწილია ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით არსებული ინტერესთა ჯგუფებისა, რომლებიც თავიანთი ინტერესების გატარებას ევროკავშირის მასშტაბით ცდილობენ.

- ბლოკჩეინი და ხელოვნური ინტელექტი ბიზნესის, ეკონომიკისა და სამართლისათვის (Blockchains and Artificial intelligence for Business, Economics and Law (BABEL) - წარმოადგენს ბლოკჩეინებსა და ხელოვნურ ინტელექტს ბიზნესის, ეკონომიკისა და სამართლის საკითხებში და არის სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება, რომელიც შეიქმნა ფირენცის უნივერსიტეტის (იტალია) ეკონომიკისა და მენეჯმენტის დეპარტამენტში. BABEL მიზნად ისახავს ტრანსდისციპლინარული უნარების განვითარებას, რაც აღრმავებს სამეცნიერო პროექტებს, ასევე გრძელვადიან და სამაგისტრო კურსებს ბლოკჩეინებზე, ჭკვიან კონტრაქტებსა და ხელოვნურ ინტელექტზე. BABEL-ის მიზანია ხელი შეუწყოს კანონმდებლებს შემუშაონ რეგულირებადი, რეალობაზე მორგებული სქემა. აგრეთვე, აუცილებელია აღინიშნოს - ხელოვნური ინტელექტის კვლევის ლაბორატორიების კონფედერაცია ევროპაში (Confederation of Laboratories for Artificial Intelligence Research in Europe - CLAIRE) - რომელიც არის არაკომერციული საერთაშორისო ასოციაცია ბელგიის კანონმდებლობის შესაბამისად, დაარსებულია ევროპის ხელოვნური ინტელექტის საზოგადოების მიერ, რათა გაძლიერდეს ევროპული უპირატესობა ამ სფეროს კვლევისა და ინოვაციების დანერგვაში. ამის მისაღწევად, CLAIRE გვთავაზობს ევროპაში ხელოვნური ინტელექტის კვლევის ლაბორატორიების პან-ევროპული კონფედერაციის შექმნას.

- ხელოვნური ინტელექტის ევროპული ასოციაცია (European Artificial Intelligence Association (EurAI, ყოფილი ECCAI) დაარსდა 1982 წლის ივლისში, როგორც ევროპული ხელოვნური ინტელექტის საზოგადოების წარმომადგენლობითი ორგანო. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ევროპაში ხელოვნური ინტელექტის შესწავლას, კვლევასა და გამოყენებას.
- ხელოვნური ინტელექტისა და ქცევის სიმულაციის შესწავლის საზოგადოება (Society for the Study of Artificial Intelligence and Simulation of Behaviour - AISB) წესდებით გათვალისწინებულია, რომ ორგანიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს ინტერდისციპლინარულ კვლევებს ხელოვნური ინტელექტის სფეროში, ხელოვნური ინტელექტის შესწავლას, ქცევის სიმულაციას, შემეცნებას და ინტელექტუალური სისტემების დიზაინს, მიიღოს ეთიკური და პროფესიული სტანდარტები, ხელი შეუწყოს ამ სფეროებში დაინტერესებულ პირებს შორის თანამშრომლობას და კომუნიკაციას. .გემოთ ჩამოთვლილ სფეროებში ინდუსტრიის, აკადემიის და მთავრობის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მხარდაჭერა. გავლენა მოახდინოს განვითარებადი ტექნოლოგიების პოლიტიკაზე და მონაცემთა მართვის საკითხებზე.
- ხელოვნური ინტელექტის გერმანიის კვლევითი ცენტრი (Deutsches Forschungszentrum für Künstliche Intelligenz – DFKI) არის წამყვანი კვლევითი ინსტიტუტი ინოვაციური პროგრამული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის კვლევის სფეროში, რომელიც ევროკავშირის დონეზე აქტიურად იყო ჩართული ჰორიზონტი 2020-ის შემუშავების პროცესში.

ბიზნეს ინტერესთა ჯგუფების მაღალი ლობისტური აქტივობა ევროკავშირის დონეზე დასტურდება ევროპარლამენტის (Zibold, 2013) მიერ მომზადებული დოკუმენტის თანახმად, სადაც „ევროპის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიური ინდუსტრიის ასოციაცია“ (European Information and Communications Technology Industry Association (EICTA), რომელიც 22 ეროვნულ ასოციაციას, და კომპანიის 10 000 წევრსა და 31 გლობალურ აქტორს აერთიანებს (Agilent, Alcatel, Apple, Bull, Cisco, Compaq, Ericsson, HP,

IBM, ICL, Indra, Infineon, Intel, Italtel, Lucent, Marconi, Matsushita, Microsoft, Motorola , NCR, NEC, Nokia, Nortel, Olivetti, Philips, Siemens, Sony, Sun, Thales, Thomson-Multimedia და Xerox) და ციფრული ეკონომიკის სფეროს წამყვან ინდუსტრიულ გაერთიანებად არის მოხსენიებული. მთავარი კომიტეტები კი ჩამოყალიბებულია 7 მიმართულების ირგვლივ:

- ინფორმაციული საზოგადოება და ელექტრონული კომერცია;
- ინდუსტრიული პოლიტიკა;
- სავაჭრო პოლიტიკა
- გარემოსდაცვითი პოლიტიკა;
- კვლევის, განვითარებისა და განათლების პოლიტიკა;
- სამართლებრივი საკითხები და სამომხმარებლო პოლიტიკა;
- რადიო და ტელემაუწყებლობა (European Parliament; 2013).

კოსოვოს ინფორმაციული ტექნოლოგიისა და კომუნიკაციის ასოციაცია (The Kosovo Association of Information and Communication Technology – STIKK) არის წარმატებული ინტერესთა ჯგუფის მაგალითი ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში, რომელმაც შეძლო შეეკრიბა მრავალი კომპანია, პროფესიონალი და სტუდენტი, დაკავშირებული დარგიდან, რათა ემუშავათ აღნიშნულ სექტორში შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ადვოკატირება გაეწიათ ინტერესებისთვის. STIKK დაარსდა 2008 წელს, ამ სექტორის მენარმეთა ინიციატივით. ადვოკატირების სფეროში მისი მთავარი მიღწევაა ინფორმაციული ტექნოლოგიის ზოგიერთი პროდუქტის მოხვედრა გადასახადისაგან გათავისუფლებული საქონლის ჩამონათვალში „გადასახადისაგან გათავისუფლებული საქონლის შესახებ“ კანონზე დაყრდნობით, რომლის ადვოკატირებაც 2010 წელს დაიწყო, ხოლო კანონპროექტის იმპლემენტაცია კოსოვოს ასამბლეის მიერ 2014 წლის იანვარში მოხდა. ინტერესთა წინ წამოწევის პირველ ეტაპზე არსებობდა რიგი წინააღმდეგობები, თუმცა, საბოლოოდ ზემოაღნიშნული საქონლის ჩამონათვალში შევიდა ოპტიკური ბოჭკოვანი კაბელები, საბეჭდი მოწყობილობები, ეკრანები და ა.შ. STIKK– ის საქმიანობის ეფექტური ერთ – ერთი მიზეზი არის კარგად ორგანიზებული მუშაობა. ეს საშუალებას აძლევს მიიღოს გარკვეული შედეგები, შექმნას წევრების მხრიდან ნდობა და დატოვოს კარგი შთაბეჭდილება საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორის დონორებთან

თანამშრომლობის დროს, რომელთა მხარდაჭერა გადამწყვეტია STIKK-ის ფუნქციონირებისთვის. STIKK-სა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ამ თანამშრომლობის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ ინტერესთა ჯგუფის მიერ ადვოკატირების მიდგომა უნდა იყოს ძალიან კონსტრუქციული და რადიკალური ზომების გატარება, როგორცაა პროტესტი ან საზოგადოებრივი კონფლიქტი, უნდა დარჩეს მხოლოდ სათადარიგო ვარიანტების ჩამონათვალში.

გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საკითხი, რომელზე მხარდაჭერაც ხდება, უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ ხაზი გაესვას ზოგად სოციალურ კეთილდღეობისკენ გადადგმულ ნაბიჯს და არა კონკრეტული პირების ან კომპანიების სარგებელს. რაც შეეხება ორგანიზაციულ დონეს, მნიშვნელოვანია, ორგანიზაციის წესდების დებულებების სწორად და სისტემატურად შესრულება ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც ინტერესთა ჯგუფის სრულყოფილი ფუნქციონირების წინაპირობაა. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის წევრთა მიუკერძოებელი მართვა და მესამე, წევრების აქტიური მიდგომა მოვალეობების შესრულების მიზნით. საგადასახადო პოლიტიკის შეცვლის ლობირების დროს, ორგანიზაციამ მოახდინა ა) იმ მხარეთა იდენტიფიცირება, ვინც გავლენას ახდენდა კონკრეტულ საკითხზე ბ) მოტივირება აქტიური მოქმედებებისთვის და გ) ფართო კოალიციის შექმნა ცვლილების გასატარებლად (Delibashzade; 2014). თავის მხრივ, GSM-ის მომზადება და დანერგვა კი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ვერ განხორციელდა პირველადი ეროვნული ლობირება ევროკავშირის დონეზე მობილური ტელეფონების არსებული მემკვიდრეობითი სისტემების მიღებაზე და შედეგად მოხდა ახალი, საერთო და მოწინავე ტექნოლოგიის, GSM სტანდარტის ჩამოყალიბება. (European Parliament, 2003).

უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული ინდუსტრიის სფეროს წარმატებული კომპანიის მაგალითია „ტესლა“, რომლის დიდ წილსაც ფლობს ილონ მასკი, ციფრული ტექნოლოგიების ინოვაციებით ცნობილი ბიზნესმენი. კომპანია 2003 წელს დაფუძნდა და მიზანს ხარისხიანი, ფინანსურად ხელმისაწვდომი ელექტრო ავტომობილების წარმოება წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის თავდაპირველმა მოდელებმა ვერ გაამართლა (პირველი წარმატებული მოდელი მხოლოდ 2008 წელს შექმნეს),

დღესდღეობით “ტესლას“ ქარხნებში მანქანებს რობოტები აწყობენ. კომპანიამ 2019 წელს 368 ათასი ავტომობილი გამოუშვა და 25 აშშ მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო, ხოლო მთლიანი აქტივები 34 მილიარდი დოლარია (Forbes.ge).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ინდუსტრიის მნიშვნელობის ზრდა, ბლოკჩეინ ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის დანერგვა და კრიპტოგრაფიული ვალუტის გამოყენება ქმნის საფუძველს, რომ ერთი მხრივ, (1) შეფასდეს არსებული გამონგვევები ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, (2) უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით მონესრიგდეს ტერმინოლოგიურ განმარტებებთან დაკავშირებული გაურკვევლობა, (3) მოხდეს აღნიშნული საკითხების (ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, კრიპტოგრაფიული ვალუტის შექმნა) სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს შემუშავება და (4) საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება. ხოლო მეორე მხრივ, აუცილებელია, ინტერესთა ჯგუფებსა და ლობირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მექანიზმების დახვეწა კორუფციის რისკების თავიდან ასარიდებლად, რამეთუ, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ იზრდება ამავე სექტორში არსებული ინტერესთა ჯგუფების რიცხვი და გავლენა, რაც ხელს უწყობს კონკურენციის ზრდას ცალკეულ ტექნოლოგიურ ფირმებს შორის და იწვევს ლობირების ინსტრუმენტის კიდევ უფრო ხშირ გამოყენებასა და ლობისტური დანახარჯების ზრდას.

1.2. ინტერესთა ჯგუფების საქმიანობისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების ინსტრუმენტების შედარებითი ანალიზი

მიმდინარე ნაწილი მოიცავს ინტერესთა ჯგუფების კლასიფიკაციას, მათ მიერ გამოყენებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების შედარებით ანალიზს, ეფექტიანი ლობირების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს და შემაფერხებელ ბარიერებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ტრადიციული დეფინიციით, ინტერესთა ჯგუფი, როგორც ინდივიდთა მოხალისეობრივ გაერთიანებაზე დაფუძნებული და დემოკრატიულად ანგარიშვალდებული ერთობა:

- დაფუძნებულია კონკრეტული (მიღწევადი) ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის გარშემო, თუმცა, არ არის სახელისუფლებო სტრუქტურის ანალოგიური;
- ჯგუფი შესაძლოა დაიშალოს ამ მიზნის მისაღწევად ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში;
- დაინტერესებულია სამთავრობო ორგანოებზე ზეგავლენით და არა ხელისუფლებაში მოსვლით;
- ინტერესთა ჯგუფის მიზნები შესაბამისობაშია წევრთა ინდივიდუალურ ინტერესებთან, რაც წარმოადგენს გრძელვადიანი წევრობის საფუძველს (Jordan, Halpin and Maloney, 2004).

ბაუმგარტნერისა და ლიჩის (Baumgartner and Leech, 1998) მოსაზრებით, შეერთებულ შტატებში ინტერესთა ჯგუფების კვლევაში გამოიყენება ათეულობით განმარტება:

- მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური/დემოგრაფიული კატეგორიები (ფერმერები, ქალები, აფრო-ამერიკელები);
- სანევრო ორგანიზაციები, ასოციაციები;
- საერთო ინტერესების, რწმენის ან იდენტობის მქონე ინდივიდების გაერთიანებები;
- სოციალური მოძრაობები;
- კანონიერად რეგისტრირებული ლობისტები (American institution);

- პოლიტიკური სამოქმედო კომიტეტები (American institution);
- საკანონმდებლო მოსმენის მონაწილეები, დაინტერესებული მხარეები;
- ინსტიტუტები, მათ შორის კორპორაციები და სამთავრობო უწყებები;
- ორგანიზაციათა და ინსტიტუციათა კოალიციები;
- გამოჩენილი პირები, რომლებიც მოქმედებენ როგორც პოლიტიკური მენარმეები ან ლობისტები.

თითოეული კატეგორია წარმოადგენს თავისთავად ცალკე სწავლების სფეროს და მათზე უამრავი კვლევები იწერება. გარდა ამისა, თითოეული პოლიტიკურად არსებითია და მათი მნიშვნელობის დადგენა შეუძლებელია იზოლირებულად, სხვა აქტორების გაუთვალისწინებლად. დაბოლოს, თითოეულის შეფასება მოიცავს როგორც დადებით არგუმენტებს (საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა, სამოქალაქო აქტივობა), აგრეთვე კრიტიკას (Tsujinaka; 2014).

ინტერესთა ჯგუფის ზემოთაღწერილი ფართო განმარტებისგან განსხვავებით, ცნების ვიწრო დეფინიცია ვრცელდება მხოლოდ კონკრეტული ინტერესის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კერძო ასოციაციებზე. მაგალითად, გენერალური ინდუსტრიული კონფედერაცია იტალიაში, აშშ-ის ეროვნული განათლების ასოციაცია და სხვ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა ჯგუფის ვიწრო განმარტება ცნების მიღმა ტოვებს ისეთ ფორმალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არის კერძო და იმ გავლენიან ჯგუფებს, რომლებიც არ არიან აღიარებული ფორმალურ ორგანიზაციებად, მაგრამ აქვთ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე არაფორმალური გავლენის მოხდენის რესურსი. შესაბამისად, აკადემიური წრეების მიერ კვლევებში გამოყენებულია ფართო დეფინიცია, რომელიც მოიცავს არამხოლოდ ინდივიდებით დაკომპლექტებულ „ინტერესთა ჯგუფს“, არამედ ბიზნესსა და სამთავრობო დეპარტამენტებს, რომლებიც ინტერესთა ჯგუფების ანალოგიურად ცდილობენ ზეგავლენის მოხდენას გადაწყვეტილებებზე. კერძო ინსტიტუციური ინტერესი მოიცავს უნივერსიტეტებს, სხვადასხვა ფორმის საინფორმაციო მედიას. ამ კატეგორიის ყველაზე მასშტაბურ კომპონენტს წარმოადგენენ ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი დონის სამთავრობო უწყებები.

რაციონალური არჩევანის თეორიის გათვალისწინებით, ინტერესთა ჯგუფები არიან რაციონალური, მიზნებზე ორიენტირებული და მიზანდასახული აქტორები, რომლებიც მიჰყვებიან დასახული მიზნების განსაზღვრულ სიმრავლეს (Downs, 1957). ვოლი (Woll, 2008) განასხვავებს ოთხი ტიპის მიზანს:

- ძირითადი (საბაზისო) ინტერესები - არის ორგანიზაციების ზოგადი ან უნივერსალური ინტერესი;
- სპეციფიკური ინტერესები, რომელიც შედარებით ვიწრო განზომილების საბაზისო ინტერესს აძლევს მიმართულებას კონკრეტული სიტუაციისკენ;
- პრეფერენციები - ის სტრატეგიებია, რომელთა საშუალებითაც ორგანიზაციებს შეუძლიათ გაზარდონ თავიანთი სპეციფიკური როლი მათი ძირითადი ინტერესების მისაღწევად;
- პოლიტიკის პრეფერენციები საბოლოოდ წარმოადგენს პოლიტიკის პოზიციებს კონკრეტული პოლიტიკის საკითხებზე, რომლებიც მოიცავს მათი როლის სპეციფიკურ ინტერესებს (Klüver, 2011).

ასოციაციებსა და კომპანიებს შორის მთავარი განმასხვავებელი არის წევრობა. ასოციაციები არიან წევრობის ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ პირები, კომპანიები, საჯარო დაწესებულებები ან სხვა ასოციაციები, როგორც წევრები, კომპანიები არიან კორპორატიული აქტორები, რომლებსაც არ ჰყავთ წევრები. შესაბამისად, ასოციაციებსა და კომპანიებს აქვთ განსხვავებული შიდა სტრუქტურები და ფუნქციები (McCarthy and Zald, 1977).

ლიტერატურაში გვხვდება ინტერესთა ჯგუფების კატეგორიზაცია ინტერესის ბუნებისა და მიზნის მიხედვით. ინტერესთა ჯგუფების ბუნება შეიძლება იყოს „პირადი“ ან „საზოგადოებრივი“ და მათი მიზანი შეიძლება იყოს „სპეციალიზებული“ ან „ზოგადი“. ეს ძირითადი მნიშვნელოვანი დიქოტომია, რომელიც გამომდინარეობს ოლსონის გავლენიანი ნაშრომებიდან კოლექტიური მოქმედების ლოგიკაზე, რომ „სპეციალიზირებული“ (ან კერძო) ინტერესები უფრო მცირე კოლექტიური მოქმედების პრობლემებს განიცდის, ვიდრე საზოგადოებრივი, რომელიც ძალზე ზოგადია და მოიცავს უამრავ აქტორს.

კვლევით ლიტერატურაში რამდენიმე ტერმინი გამოიყენება დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობის აღწერის მიზნით, კერძოდ, „ლობირება“ (Mazey and Richardson, 1993), „წარმომადგენლობა“ (Greenwood, 1997) და „მობილიზაცია“ (Marks, 1992). ლობირება არის ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო-ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მცდელობა ან წარმატებული გავლენა დაინტერესებული წარმომადგენლების მეშვეობით. გავლენა გულისხმობს კომუნიკაციის გამოყენებას და გამიზნულია საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ორგანოებისთვის (Koepl, 2001). ტერმინი „მობილიზაცია“ კი „რესურსების მობილიზაციას“ ეხება, განსაკუთრებით ადრეულ აკადემიურ ლიტერატურაში, რომელიც განიხილავს სოციალურ საპროტესტო მოძრაობებს ამერიკის მაგალითზე (McCarthy and Zald, 1977), მაგრამ ამ პირობებშიც კი განხილვის მიღმა რჩებოდა ინტერესთა ჯგუფების ის კატეგორია, რომელიც არ იდენტიფიცირდება სოციალური საპროტესტო მოძრაობების ნაწილად (Warleigh and Fairbrass, 2002). თუმცა, კითხვითი აღნიშნავს, რომ მკვლევარებმა ამ ტერმინის გამოყენებით ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის აღსანიშნავად, ფოკუსირება მოახდინეს რესურსებზე ინტერესთა ჯგუფების დაფინანსების თვალსაზრისით და გამოტოვეს ის საგარეო და პოლიტიკური გარემო, რომელშიც ეს ჯგუფები ოპერირებენ (Kitschelt, 1986). „ინტერესთა წარმომადგენლობას“ არ გააჩნია რაიმე შებლუდვა გარკვეულ კონკრეტულ სფეროებთან მიმართებაში, ამიტომ აკადემიურ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ცნებაა და ეხება იმ საქმიანობას, ტაქტიკასა და სტრატეგიას, რომელსაც იყენებენ სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები. ვარლეიჰის და ფეარბრასის განმარტებით, ინტერესთა წარმომადგენლობა მოიცავს ლობირებას, ინფორმაციის გაცვლას, ალიანსის ჩამოყალიბებას, ოფიციალურ და არაოფიციალურ კონტაქტს, დაგეგმილ და დაუგეგმავ ურთიერთობებს: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ურთიერთქმედების ყველა ფორმა, რომელიც შექმნილია კონკრეტული იდეების დასადგენად, მოითხოვს გადაწყვეტილების მიმღებებმა მიიღონ განსხვავებული პოზიციები ან პერსპექტივები და, საბოლოოდ, გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე (Warleigh and Fairbrass, 2002). ამ ტერმინის ფართოდ გამოყენების კიდევ ერთი მიზეზი არის ტერმინი

„წარმომადგენლობის“ გამოყენება ევროკავშირის ლეგიტიმურობის შესახებ მიმდინარე დებატებში (Goehring, 2002).

ბეიმის თანახმად, ლობირება არის „მრავალფეროვანი ინტენსიური საქმიანობა სოციალური ჯგუფების, პალატების და კომპანიების პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ ვესტიბულში“ (Beyme, 1980; 3), ხოლო კომუნიკაცია ერთადერთი საშუალება გავლენის მოხდენის ან აღქმის შეცვლის შესახებ. ამრიგად, ლობისტური პროცესი კომუნიკაციის პროცესია (Milbrath, 1960). ლობირების ცნება, მინიმალისტური მნიშვნელობით გულისხმობს საჯარო ინფორმაციის არათორმალურ გაცვლას ხელისუფლებასთან, ხოლო მაქსიმალისტური კონცეფციით, განიხილება როგორც სახელმწიფო ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენის მცდელობა (Van Schendelen, 1993). შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინტერესთა ჯგუფების ჩართულობისა და ლობირების მნიშვნელობის ხაზგასმა საჯარო პოლიტიკურ პროცესებში (Richardson, 2006; Bouwen, 2001) და ცვლილებები, რომელიც დგება ლობისტებსა და საჯარო მოხელეებს შორის იდეების, ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლის შედეგად. (Bouwen, 2001). გამომდინარე იქედან, რომ არ არსებობს კონსენსუსი, ლობირების ცნება იშვიათად თუ გამოიყენება სხვადასხვა კვლევებში ერთი და იმავე მნიშვნელობით (Baumgartner and Leech, 1998). დაპირისპირება ლობისტების განმარტებასთან და ლობირებასთან დაკავშირებით იყო ერთ-ერთი მთავარი სირთულე, რომელიც ევროპარლამენტმა განიცადა 90-იანი წლების დასაწყისში ამ საქმიანობის მიმართ სტრატეგიის შემუშავების პროცესში. გარკვეული წესების მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავიდან აიცილეს ტერმინოლოგიური წინააღმდეგობები. როდესაც კომისიამ გადაწყვიტა ამ საკითხის განხილვა, შეირჩა ამერიკულ, სპეციფიკურ, ტექნიკურ სამართლებრივ დეფინიციასთან შედარებით ძალიან ფართო განმარტება. ლობირება გამარტებულ იქნა როგორც „ლონისძიებები, რომლებიც ხორციელდება პოლიტიკის ფორმულირების პროცესში გავლენის მოსახდენად ევროპულ ინსტიტუტებზე“, ხოლო ლობისტები, როგორც პირები, რომლებიც ახორციელებენ ასეთ საქმიანობას, მუშაობენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, როგორებიცაა საზოგადოებრივ საკითხთა კონსულტაციები, იურიდიული ფირმები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კვლევითი ცენტრები, კორპორატიული ლობის განყოფილებები ან სავაჭრო ასოციაციები (European

Commission, 2006). აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტი დათანხმდა ლობირების ამ განმარტებას, რადგან იგი შესაბამისობაში მოვიდა მისი რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-4 თავთან. (European Parliament, 2007). შედარება ევროპულ და ამერიკულ დეფინიციებს შორის ეფუძნება საბაზისო განსხვავებას - ლობირების პროფესიონალიზაციას. კლაივ თომასი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეტაპობრივად ყალიბდება ლობისტური პროფესიები კანადაში, ავსტრალიასა და ბრიტანეთში, შეერთებულ შტატებში ეს პროფესია უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ითვლის მნიშვნელოვან მიღწევებს როგორც ციფრებით, ისე პროფესიონალიზმის დონეზე (Thomas; 2004).

ევროპული კომისიის (2011) მიხედვით, ლობირება არის „დემოკრატიული სისტემის ლეგიტიმური ნაწილი, მიუხედავად იმისა, ვის მიერ ხორციელდება: მოქალაქეების, კომპანიების, მესამე პირის სასარგებლოდ მომუშავე ფირმების, იურისტების თუ საზოგადოებრივი მოღვაწეების მიერ (European Commission, 2011). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD, 2012) განმარტებით კი, ლობირების მიზანია ზეგავლენა ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და ზეეროვნული გადაწყვეტილების მიღების დონეზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოებზე, იქნება ეს სასამართლო, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი.

გარდა ამისა, მეცნიერთა ნაწილი სამ შტოსთან ერთად განიხილავს მედიას, როგორც ძალაუფლების მქონე მეოთხე შტოს (Leif and Speth, 2006), რომლის როლიც უპირობოდ დიდია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში და ზოგიერთი მკვლევარი, თვით ლობირებას განიხილავს, როგორც ძალაუფლების მქონე მე-5 შტოს (Leif and Speth, 2006). თეორეტიკოსები გვთავაზობენ ლობისტების მრავალგვარ განსაზღვრებას, როგორც გამჭვირვალე და ლეგალურ საშუალებას, თუ როგორ წარმოადგენენ ისინი უმცირესობათა ჯგუფების ინტერესებს. მიუღწერის მიხედვით, ლობირება, არსებითად, ცალმხრივი ინფორმაციის გადაცემაა დაინტერესებული ჯგუფიდან მთავრობის წევრებამდე (Müller, 2003). ლუიჯი გრაციანოს (Luigi Graziano, ექსპერტი ევროკავშირის ლობირების პრობლემურ საკითხებში) განმარტებით, „ლობირება არის ინტერესთა სპეციალიზებული და პროფესიონალური წარმომადგენლობა ფართო სპექტრის საშუალებით, რაც

პრინციპში გამოორიქხავს კორუფციულ ასპექტებს მომსახურებაში. როგორც განსაკუთრებული ინტერესების წარმომადგენელი, ლობისტი აწვდის ინფორმაციას და ტექნიკურად პროფესიონალურ ექსპერტიზას, რაც შეიძლება სასარგებლო და ზოგჯერ გადამწყვეტი იყოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულირების განსაზღვრისთვის.” (Dancak, Hlousek and Simicek, 2006). გარდა ამისა, არსებობს შანდელენის განმარტება, რომ „ლობირება გულისხმობს ინტერესთა ჯგუფების არაკონვენციური ქცევის სხვადასხვა ტიპებს, რომლებიც მიმართულია მოთხოვნილი შედეგების მიღწევისკენ” (Van Schendelen, 2010: 210).

ზიბოლდი (Zibold, 2013) გამოყოფს სამ გზას ლობისტური ორგანიზაციების სხვა ფორმებისგან განსხვავების მიზნით:

- ორგანიზაციულ ფორმას;
- ინტერესთა ბუნებას
- და მოგებაზე ორიენტირებას (Laboutkova; Zak; 2016)

ევროპული კომისიის (EP-Commission Transparency Register) კლასიფიკაციით, ორგანიზაციული ფორმის მიხედვით, გამოიყოფა:

- იურიდიული ფორმები, პროფესიონალი და თვით-დასაქმებული კონსულტანტები;
- ლობისტები და სავაჭრო/პროფესიული ასოციაციები სავაჭრო გაერთიანებებისა და კომპანიების ჩათვლით;
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტები;
- ეკლესიის წარმომადგენელი ორგანიზაციები და რელიგიური გაერთიანებები;
- ადგილობრივი, რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენელი ორგანიზაციები, სხვა საჯარო და შერეული ფორმები (Laboutkova and Zak; 2016).

2013 წლის ბარსონ-მარსელერის (Burson-Marseller) გამოკითხვის „ეფექტიანი ლობირება ევროპაში - პოლიტიკის შემქნელთა თვალთახედვა“ (Effective Lobbying in Europe – The View of Policy-Makers) მიხედვით რესპონდენტთა 66%-მა დააფიქსირა, რომ ლობირება მათთვის პირველ რიგში, სავაჭრო ასოციაციებთან ასოცირდებოდა, შემდეგი

იყო საზოგადოებრივ საქმეთა სააგენტოები (58%), პროფესიული ორგანიზაციები (57%), ჟურნალისტები (14%) და მოქალაქეები (15%). გამოკითხულთა შორის იყვნენ ეროვნული პარლამენტის წევრები, ევროპული პარლამენტის წევრები და ეროვნული ხელისუფლებისა და ევროკავშირის ინსტიტუტების მაღალი რანგის ოფიციალური პირები. სტატისტიკურად, ბიზნეს და პროფესიული ორგანიზაციები ევროკავშირის ინტერესთა ჯგუფების 76%-ს წარმოადგენენ (Greenwood, 2013).

პროფესიონალი ლობისტის საქმიანობის მთავარი ელემენტებია:

- საკანონმდებლო და მარეგულირებელი საკითხების კვლევა და ანალიზი;
- მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და ანგარიშგება დამკვეთთან;
- მაღალი რანგის შეხვედრებზე დასწრება და ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეობა;
- თანამებრძოლების მოძიება და კოალიციების შექმნა;
- ხელისუფლების წარმომადგენელთათვის ან/და დამკვეთთათვის შესაძლო ცვლილებების განხორციელების ინიციატივათა წარდგენა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა.

თუ დავუშვებთ, რომ პოლიტიკოსის მიზანს დიდწილად შესაძლოა წარმოადგენს ხელახალი არჩევა კონკრეტულ პოზიციაზე, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შესაბამისი ელექტორატის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე სიღრმისეული ინფორმირების აუცილებლობას. ინტერესთა ჯგუფების მიერ ინფორმაციის გენერირების და გადანაცვტილებების მიმღებ პირებამდე მითანის მნიშვნელობა, უპირობოდ დიდია ამ მხრივაც (Milyo; 2001).

ინტერესთა ჯგუფების გავლენის გაზომვა ათწლეულებია კამათის საგანია (Salisbury, 1984) და მიუხედავად ინოვაციური გაზომვის ტექნიკის გამოყენებისა (Klüver, 2009), ინტერესთა ჯგუფების შესახებ კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა თუ როგორ გავზომოთ მათი გავლენა პოლიტიკის შემუშავებაზე (Baumgartner and Leech,

1998; Bouwen, 2004; Mahoney, 2007; Klüver, 2009; 2013; Lowery, 2013). ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ მოდელებში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული ის ზეგავლენა, რომელსაც მმართველი პარტია, ინტერესთა ჯგუფები და სახელმწიფო ბიუროკრატია საკუთარი ინტერესებით გადანყვეტილებათა მომზადებაზე ახდენს. ღირებულებათა სისტემა, რომელიც გადანყვეტილებათა თვალსაზრისით არსებითია, მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოვლენილი (გველესიანი, 2019).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი კითხვა, რასაც მკვლევარები სვამენ, არის, თუ ვინ შეიძლება იყოს ლობირების სამიზნე - მოკავშირე თუ ოპონენტი? მკვლევარების ნაწილი მიიჩნევს, რომ ინტერესთა ჯგუფები ლობირებენ მოკავშირეებსა და მათ მიმართ კეთილგანწყობილ პოლიტიკოსებთან (Hall and Daerdruff, 2006). სხვები ამტკიცებენ, რომ საპირისპიროდ ხდება (Austen-Smith and Wright, 1994). თუმცა, პრაქტიკაში, ინტერესთა ჯგუფები გავლენის მოხდენას ცდილობენ როგორც მოკავშირე, ასევე, მონინაალმდევე ოფიციალურ პირებთან. (Braun, 2012; Hojnacki & Kimball, 1998). მიუხედავად ამ მიმდინარე კამათისა, არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ გავლენიანი კანონმდებლები, რომელთაც აქვთ დღის წესრიგის დანესების უფლებამოსილება, არიან ლობისტების ძირითადი სამიზნეები (Hojnacki & Kimball, 1999), ასევე, კომიტეტის თავმჯდომარეები, მაღალი რანგის წევრები ან უმრავლესობის ლიდერები (Evans, 1996), განსაკუთრებით, თუ საკითხი ეხება ისეთ კომიტეტებს, რომლის უფლებამოსილებაცაა ფინანსების განაწილება, ბიუჯეტი, პროექტების თანადაფინანსება (Drope & Hansen 1998; Hojnacki & Kimball 2004). მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ხშირად, ინტერესთა ჯგუფები განსაზღვრავენ პოლიტიკურ დღის წესრიგს, ირჩევენ კოალიციებს და ხელს უწყობენ პრობლემების გარშემო რესურსების მობილიზებას ინტერესთა ჯგუფების მეშვეობით, ინდივიდები და ორგანიზაციები სხვებთან შედარებით უპირატესობას აღწევენ სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში (Scott, 2017). თუმცა, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი „საზოგადოებრივი სიკეთეების“ მისაღწევად, რომელიც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სასარგებლო იქნება (Holyoke, 2016).

საინტერესოა, თუ რა ფაქტორით აიხსნება, რომ ზოგიერთ ინტერესთა ჯგუფს შეუძლია მეტი გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შემუშავებაზე, ზოგს კი - ვერა? მიუხედავად იმისა, რომ ეს კითხვა ცენტრალურ ადგილს იკავებს ინტერესთა ჯგუფების შესწავლაში, რადგან არც ისე ბევრი რამ ვიცით იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ეფექტიანობას. ლობირების წარმატების გაცნობიერება განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ევროპული პოლიტიკის მეცნიერებს შორის, რადგან ევროკავშირი წარმოადგენს პერსპექტიულ პოლიტიკურ შესაძლებლობათა პლატფორმას ორგანიზებული ინტერესებისთვის. კლუვერი განიხილავს ინტერესთა ჯგუფების გავლენას ევროპულ პოლიტიკის შემუშავებაზე და მნიშვნელოვან წვლილი შეაქვს ევროკავშირის პოლიტიკის და ზოგადად, დაინტერესებული ჯგუფების შესწავლაში. კლუვერმა ნაშრომში „ლობირება ევროკავშირში: ინტერესთა ჯგუფები, ლობისტური კოალიციები და პოლიტიკის ცვლილებები“ შეიმუშავა ყოვლისმომცველი თეორიული მოდელი ლობისტური წარმატების გასაგებად, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირში პოლიტიკის შემუშავებაზე დაინტერესებული ჯგუფების გავლენის ფართო ემპირიულ ანალიზს. წიგნი ეყრდნობა ახალ და ინოვაციურ მონაცემთა ბაზას, რომელიც აერთიანებს მონაცემთა მრავალფეროვან წყაროს, მათ შორისაა ევროკომისიის კონსულტაციების რაოდენობრივი ტექსტების ანალიზი, ინტერესთა ჯგუფების ონლაინ გამოკითხვა, დაინტერესებული ჯგუფების ვებსაიტებზე შეგროვებულ ინფორმაცია და ევროკავშირის მიერ მიღებული საკანონმდებლო მონაცემები. ეს წიგნი აანალიზებს ინტერესთა ჯგუფების გავლენას 56 პოლიტიკის საკითხში და 2,696 ინტერესთა ჯგუფში და აჩვენებს, რომ ლობირება არის გაცვლითი ურთიერთობა, რომლის დროსაც ევროპული ინსტიტუტები იბრძვიან ინფორმაციისა და გავლენისთვის. რაც მთავარია, ეს წიგნი ცხადყოფს, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ინტერესების ჯგუფებზე ფოკუსირება, არამედ მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხვდებიან ინტერესთა ჯგუფები საკითხის სპეციალურ ლობირების კოალიციებში. ლობირება არის კოლექტიური ქმედება, რომლის დროსაც ინფორმაციის მიწოდება, მოქალაქეების დახმარება და მთელი კოალიციების ეკონომიკური ძალა გადამწყვეტია წარმატების მისაღწევად (Klüver; 2015).

ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკური გავლენის პოზიტიური თეორიის მიდგომები შეიძლება დაიყოს გავლენის კონცეფციის მიხედვით. კერძოდ, შეიძლება განვასხვავოთ მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება ინფორმაციის მინოდებაზე (Austen-Smith and Wright, 1994) და მიდგომა, რომელიც ორიენტირდება პოლიტიკურად ღირებული რესურსების მინოდებასა და არჩევნებში მხარდაჭერაზე (Grossman and Helpman, 1994; Krueger, 1974) საერთო ჯამში, ინტერესთა ჯგუფებმა შეიძლება განახორციელონ მაღალი პოლიტიკური გავლენა, მაგრამ საბოლოო ზეგავლენა პოლიტიკის წარმოების საკითხზე საკმაოდ დაბალია, რადგან სხვა დაინტერესებული ჯგუფების ქმედებები აბალანსებს მათ (Klüver; 2011).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევით დოკუმენტში „ლობირება: ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე გამჭვირვალე და ინტეგრირებული პროცესებით წარმატებული ლობირების გარემოს შესაქმნელად“, დასმულია რამდენიმე ცენტრალური კითხვა.

- 1) რამდენად აქვთ ყოველ მონაწილეს მხარეს თანაბარი ხელმისაწვდომობა საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესზე?
- 2) რამდენად ითვალისწინებს ლობირების რეგულირება არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ კონტექსტს?
- 3) შეესაბამება თუ არა წესები ფართო მარეგულირებელ ჩარჩოებს?
- 4) რამდენად მკაფიოაა განმარტებული „ლობირება“ და „ლობისტი“?
- 5) არის თუ არა ლობისტური აქტივობების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი?
- 6) შესაძლებელია თუ არა ლობისტური საქმიანობის შემოწმება?
- 7) განწერილია თუ არა საჯარო მოხელეთა ლობისტებთან ურთიერთქმედების კანონები?
- 8) ემორჩილება თუ არა ლობისტების ქმედება პროფესიონალიზმსა და გამჭვირვალობას?

9) არსებობს თუ არა წესების ერთობლიობა, რომელიც პერიოდულად განახლდება?
(OECD, 2012; 4).

ლინდენი (2015) კვლევაში სახელწოდებით „რა ემნის ინტერესთა ჯგუფს წარმატებულს?“ გამოყოფს წარმატების განმაპირობებელ ფაქტორებს (იხ. ნახაზი 1)

ნახაზი N1: ეფექტიანი ლობირების განმსაზღვრელი ფაქტორები

წარმატებული ლობირების განმაპირობებელი ფაქტორები
❖ საერთო ინტერესებით შეკავშირებული წევრები
❖ მამოტივირებელი ნახალისება
❖ ცოდნის, სტატუსის, მიზნების გაზიარება
❖ სოლიდარობა და პასუხისმგებლობის ქონა
❖ მედია კამპანია - საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა სატელევიზიო, რადიო, ინტერნეტ ან ბეჭდური გამოცემების მეშვეობით

წყარო: (Linden, 2015)

ავტორი ხაზს უსვამს შიდა ორგანიზაციულ მახასიათებლებსაც.

ნახაზი N2: ორგანიზაციული მახასიათებლების მნიშვნელობა

შიდა ორგანიზაციული მახასიათებლები
❖ წევრების საერთო ინტერესის მკაფიო იდენტიფიცირება;
❖ ასოციაციის სისტემური და რეგულარული ფუნქციონირება წესდების შესაბამისად;
❖ ასოციაციის თანამშრომლების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი როლი და პარტნიორებისადმი ნდობა;
❖ საუბარი გარე პარტნიორებთან საერთო პოზიციით;

❖ მომსახურების შეთავაზება და წევრებისთვის გარკვეული სარგებელი;
❖ შემოსავლის გამომუშავება ღონორების რიცხვის ზრდის მეშვეობით

წყარო: (Linden, 2015).

გარდა ამისა, ლინდენი აღნიშნავს ფაქტების არგუმენტირების მნიშვნელობას:

- მკაფიო არგუმენტები ადვოკატირების მხარდასაჭერად;
- ინფორმაციის წარმოდგენა, მაგალითად, არგუმენტები საკანონმდებლო ინციატივის ფისკალური ეფექტების შესახებ ხარჯების დათვლის სახით;
- საკითხის გარშემო არსებული ინფორმაციისა და გარემოებების შედარებითი ანალიზი (Linden, 2015).

რიჩარდ კოენის (Coen, 2007) აზრით, წარმატებული ლობირება მოითხოვს, რომ ორგანიზაციებმა ჩამოაყალიბონ გარკვეული სტრატეგიული შესაძლებლობები:

ნახაზი N3: ორგანიზაციათა სტრატეგიული შესაძლებლობები

სტრატეგიული შესაძლებლობები
❖ პროაქტიული სტრატეგია, რომელიც იშვიათია, რადგან მასში მოიაზრება ლობისტის მიერ კანონმდებლისთვის ტექნიკურად გამართული და სანდო ცოდნის/ინფორმაციის გადაცემა;
❖ მიზნების განსაზღვრა და მკაფიო იდენტიფიცირება;
❖ პოლიტიკის შემუშავების პროცესებში ჩართვა, ურთიერთობის განვითარება და ნდობის მოპოვება;
❖ პოლიტიკური პროცესის ხასიათისა და ინსტიტუციური წვდომის გაცნობიერება;
❖ მოკავშირეებთან კონტაქტის დამყარება და ურთიერთობის ჩამოყალიბება.

ლობირების პროცესი იყოფა რამდენიმე ეტაპად: ფაქტების მოძიება, ანალიზი, გავლენა და შემდგომი ღონისძიებები (Coen, 2007). გარდა ამისა, წარმატებისთვის მნიშვნელოვანია 4 ძირითადი ფაქტორი:

ნახაზი N4: წარმატებული ლობირების განმსაზღვრელი ფაქტორები

ქმედება	თანმდევი ეტაპები
ატმოსფეროს შექმნა (Atmosphere setting)	კორპორატიული პროფილის გაზრდა, პოლიტიკის შემქმნელებზე წვდომის მოპოვება, ურთიერთქმედება, სანდოობის ჩამოყალიბება.
მონიტორინგი (Monitoring)	მონიტორინგს ხშირად იყენებენ პრაქტიკოსები, როგორც მათი მუშაობის მთავარი ელემენტს და ეს ფუნქცია ხშირად უგულებელყოფილია აკადემიურ ლიტერატურაში. მონიტორინგი შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკური დაზვერვის ფორმებსაც.
კომუნიკაცია ოფიციალურ პირებთან (Communication with policy makers)	პოლიტიკოსები და ოფიციალური პირები ხშირად აღიარებენ, რომ ლობისტებს აქვთ მათზე ბევრად მეტი ინფორმაცია და საკითხის სიღრმისეული ცოდნა.
ადვოკატირება და გეგავლენის მოხდენა (Advocacy and influencing)	ლობისტი ამზადებს სტრატეგიას და იწყებს ადვოკატირების კამპანიას.

წყარო: (Coen, 2007)

ერთი მხრივ, რამდენადაც ინტერესთა ჯგუფების ჩართულობა დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპად განიხილება, მეორე მხრივ, იგი გაკრიტიკებულია, რადგან სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ხელმისაწვდომობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში განსხვავებულია. გამომდინარე იქედან, რომ ზოგიერთ (მაგალითად, კორპორატიულ) ჯგუფს აქვს შედარებითი უპირატესობა ფინანსების მობილიზებისა და ორგანიზაციული

უნარების მხრივ, ვიდრე სხვებს (ადამიანების უფლებათა დამცველ და გარემოს საკითხებზე მომუშავე ჯგუფებს) (Coen, 2007), შესაბამისად, გააჩნიათ შედარებითი უპირატესობა პოლიტიკური რესურსების ხელმისაწვდომობის მხრივაც. გარდა ფინანსურისა, წარმატებული ლობირებისთვის არსებითია სხვა რესურსების მობილიზაცია: ინფორმაცია, ლეგიტიმურობა, წარმომადგენლობა, ცოდნა, ექსპერტიზა (Zibold, 2013).

ლობირების მიზნების გზა პირდაპირ ინდივიდზე, კომიტეტზე, პლატფორმაზე, ფართო აუდიტორიაზე გადის და, ამრიგად, შემოთავაზებულია არაფორმალური და ფორმალური მიდგომების ფართო სპექტრი (van Schendelen, 2010). ლობირების მეთოდები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ლობირებად. პირდაპირი ლობირება არის ლობირების ტრადიციული ხედვა, ძირითადად, პირადი კომუნიკაციით გადანაცვლებების მიღების პროცესის უფრო მაღალ დონეზე კონცენტრირება (Milbrath, 1963; Jaatinen, 2003). მილბრათი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ყველა ლობირება მოიცავს სისტემურ კომუნიკაციას (Milbrath, 1963). ტრადიციულად, მხოლოდ პირდაპირი და არაფორმალური კომუნიკაცია ითვლება ლობირებად (Milbrath, 1963), მაგრამ თანამედროვეობაში (Van Schendelen, 2010) ეფექტიანი ქმედებებისთვის აუცილებელია სხვადასხვა არხის გამოყენება. ვან შენდელენი აღნიშნავს, რომ ყველაზე წარმატებული ლობისტური ჯგუფები ირჩევენ სამოქმედო ტაქტიკას (პირდაპირი, ირიბი, ფორმალური, არაფორმალური) „არენაზე არსებული ვითარების“ შესაბამისად. ამასთან, იგი ირწმუნება, რომ ყველა ლობისტური ჯგუფი, პირველ რიგში, ირჩევს არაპირდაპირი და არაფორმალური გზით ლობირებას, თუ ეს ხელმისაწვდომია (Van Schendelen, 2010). პირდაპირი ლობირება ძირითადად კონცენტრირებული გადანაცვლებების მიღების მაღალ დონეზე პირადი კომუნიკაციით (Milbrath, 1963), განსხვავებით არაპირდაპირი ლობირებისაგან მიზნად ისახავს გადანაცვლებების მიღების პროცესის მრავალ სხვადასხვა დონეზე ჩართვას (Jaatinen, 2003). ტრადიციულად მხოლოდ პირდაპირი და არაფორმალური კომუნიკაცია ითვლება ლობირებად (Milbrath, 1963), მაგრამ თანამედროვე პოლიტოლოგები (van Schendelen, 2010), ხაზს უსვამენ იმას, რომ აუცილებელია სხვადასხვა არხის გამოყენება ეფექტიანი ლობირებისთვის. ბენდერი და რეულეკი განასხვავებენ სამი სახის ლობირებას: „ლობირება, როგორც პრევენცია“, „ლობირება, როგორც რეაქცია“ და „ლობირება,

როგორც მოქმედება” (Bender and Reulecke, 2003). ავტორების აზრით, ყველაზე რთული პრევენციული ლობირებაა, რომლის მიზანია საკანონმდებლო მოქმედების ზარის მიღებამდე კონკრეტული კანონმდებლობის პრევენცია ან გადადება. ლობირება, როგორც რეაქცია, ნიშნავს, რომ საკანონმდებლო წინადადება უკვე არსებობს და ლობირება რეაგირებს საკანონმდებლო პროცესზე. ლობირება, როგორც მოქმედება, ეხება ლობისტების მიერ დანახული კანონმდებლობის საჭიროებას და მისი ქმედებების განხორციელებას კანონმდებლობის წამოწყების მიზნით (Charrad, 2009).

დაინტერესებულ ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი მახასიათებლები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს საზოგადოებრივ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის შანსები. ამ მახასიათებლების ზოგიერთი ნაწილი შედარებით სტაბილურია, მაგალითად, ორგანიზაციის რესურსები ან ამომრჩეველთა სახეობა, ხოლო სხვა მახასიათებლები მოითხოვს ადაპტირების უნარს კონკრეტულ გარემოსთან მიმართებაში. მაგალითად, გავლენისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია, არის თუ არა გაგზავნილი შეტყობინება ერთი ინტერესთა დამცველის მიერ, ან ორგანიზაციების ალიანსის მიერ. ინტერესთა ჯგუფებს, როგორც ლობისტური კომუნიკაციის მაცნეებს, შეუძლიათ უფრო მეტად გაამყარონ თავიანთი პოლიტიკური მოთხოვნები სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოალიციების შექმნით (Mahoney, 2007).

კვლევაში „როგორ ავითარებენ ინტერესთა ჯგუფები ლობისტურ სტრატეგიებს“ (Bruycker, 2014) დასახელებულია ლობისტის მიერ გამოყენებული ის არაფორმალური ინსტრუმენტები, რომელიც კონტაქტში მონაწილე პირების გარდა მიუწვდომელია და კიდევ უფრო ართულებს ლობირების ეფექტიანობის გაზომვას. კერძოდ, ლობისტური კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი კომპონენტია ლობისტური შეტყობინება. ლობისტური გზავნილის გავება ხდება, როგორც ორგანიზებული შინაარსი, რომელიც პოლიტიკის შემქმნელებს აცნობს ინფორმაციას. დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთ შეტყობინებებში ტაქტიკურად შეიტანონ ან გამორიცხონ კონკრეტული საკითხები, ინფორმაცია და არგუმენტები. გზავნილების შინაარსი, რომელსაც ინტერესთა ჯგუფები გადასცემენ პოლიტიკოსებს, გადამწყვეტ როლს თამაშობს ლობისტურ პრაქტიკაში. ამასთან, ლობისტური შეტყობინების როლი და ბუნება განსხვავდება

ინტერაქციული რეჟიმისგან. ინტერაქციის შემდეგი რეჟიმები არსებობს: დღის წესრიგის განსაზღვრა, ინფორმირება და არგუმენტირება (agenda-setting, informing, arguing). ლობირება, უპირველეს ყოვლისა, ემყარება პოლიტიკის შემქმნელებსა და ლობისტებს შორის გაცვლით ურთიერთობებს, სადაც ინფორმაცია ძირითადია. დაინტერესებული ორგანიზაციები ინფორმაციას აწვდიან პოლიტიკოსებს, იმის სანაცვლოდ, რომ მიიღონ წვდომა ან გავლენა (Bouwen, 2004; Klüver, 2013; Woll, 2007); არგუმენტირება ფოკუსირებულია საჯარო მოხელეთა შეხედულებებისა და რწმენის შეცვლაზე (Beyers, 2008). დღის წესრიგის ფორმირება კი გულისხმობს აქტიური პოლიტიკური საკითხების მიწოდებას ინტერესთა ჯგუფების მიერ ხელისუფლებასა და ფართო პუბლიკასთან (Jones and Baumgartner, 2005). შესაბამისად, ლობირება მოიცავს არა მხოლოდ ინფორმირებას, არამედ წარმოდგენილი საკითხის მყარად არგუმენტირებასაც. დაინტერესებული მხარისთვის მნიშვნელოვანია საკითხზე ყურადღების მიპყრობა და ნდობის მოპოვება (Princen, 2011).

ლობისტური საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკომუნიკაციო არხების გამოყენება, სამიზნე ინსტიტუტის ან ინდივიდების განსაზღვრა, კონკრეტული გარემოს მახასიათებლების გათვალისწინება. ლობისტური სტრატეგიის შემუშავებისას, ინტერესთა ჯგუფები ირჩევენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენისთვის. ზოგი არხი უფრო ღიაა, მოიცავს საზოგადოებას, ზოგიც - კერძო, არ ექვემდებარება საზოგადოებრივ შემოწმებას. ლობისტური გზავნილის მიწოდება შეიძლება პირდაპირ პოლიტიკის შემქმნელებზე, იზოლირებული არხების საშუალებით, ან საჯაროდ, მედიისა და ფართო საზოგადოების გამოყენებით. დაინტერესებული ორგანიზაციების უშუალო საკომუნიკაციო მცდელობები პოლიტიკის შემქმნელების მიმართ, მაგალითად, ფოსტით ან ტელეფონით. ლობირების ეს გზა უზრუნველყოფს პოლიტიკის შემქმნელებსა და დაინტერესებულ ჯგუფებს შორის კონტაქტი დარჩეს პირადი. ამისგან განსხვავებით, გარე ლობის საშუალებით, დაინტერესებული ორგანიზაციები აცნობებენ თავიანთ მესიჯებს ღიად და მოიცავენ ფართო საზოგადოებას, სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და მედიას (Kollman, 1998). საზოგადოებრივ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით, დაინტერესებული ჯგუფები

მიზნად ისახავენ ერთ ან მრავალ ინსტიტუტზე ან/და პოლიტიკის შემქმნელებზე ზეგავლენას. მაგალითად, სამიზნე შეიძლება იყოს პოლიტიკის ფორმირების ადგილი, მაგალითად, დაწესებულება ან საზოგადოებაში არსებული ჯგუფი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება საკითხთან დაკავშირებით. (Baumgartner and Jones, 2010). საჯარო მოხელეები, პარლამენტარები და სხვ. ითვლებიან ლობირების სამიზნე ინდივიდებად. ლობისტური შეტყობინებების შინაარსი, სავარაუდოდ, განსხვავდება იმისდა მიხედვით, ვინ არის სამიზნე - მოკავშირე თუ მოწინააღმდეგე. დაინტერესებული ორგანიზაციები ცდილობენ მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი გზავნილების ინფორმაციული მნიშვნელობა პოლიტიკის შემქმნელისთვის. ამ გზით, ისინი მიზნად ისახავენ თავიანთი პოზიციის გაძლიერებას და ინფორმაციის სანაცვლოდ პოლიტიკის ხელსაყრელი შედეგის მისაღწევ შანსებს. წინასწარ ხდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა პოლიტიკური იდეოლოგია ან პიროვნული წინასწარი განწყობები, რათა შეიმუშაონ არგუმენტები, რომლებზეც სავარაუდოდ მიზანს მიმართვენ. საგულისხმოა, რომ მოვახდინოთ ორგანიზაციული შესაძლებლობების მხედველობაში მიღება. მეტი რესურსის მქონე ორგანიზაციებს აქვთ შესაძლებლობა დაამყარონ უფრო მასშტაბური კონტაქტი და ჰყავდეთ მეტი სამიზნე პირი (Gais & Walker, 1991; Hojnacki & Kimball, 1998). მაგალითად, ევროკომისიის 2008 წლის წინადადებაზე, მომხმარებლებისთვის საკვებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ დებატების დროს, ანტიალკოჰოლური ლობი მცირედ იყო წარმოდგენილი. როგორც ერთ-ერთმა მათმა ლობისტმა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი რესურსი, რომ ყველა შესაბამის პოლიტიკოსს დაკავშირებოდნენ, ასევე, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს არ სურდათ მათთან ურთიერთობა, რადგან გააჩნდათ საკუთარი პრიორიტეტები, რაც არ მოიცავდა ალკოჰოლის ეტიკეტირების საკითხებს (European Commission, 2010).

ლობისტური ტაქტიკის გამოყენებას განსაზღვრავს სტრატეგიის შემუშავების ენდოგენური ბუნება, ანუ ერთი ტაქტიკის გამოყენება ხელს უწყობს ან ხელს უშლის სხვის გამოყენებას. საინტერესოა, თუ როგორ უწყობს ხელს სხვადასხვა ტაქტიკური კომბინაციები ლობისტურ წარმატებას. ლობისტური წარმატება ხშირად გაგებულია, თუ ლობისტები

რამდენად ახდენენ გავლენას საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე (Dür, 2008). თუმცა, გარკვეულ წარმატებად ითვლება (1) გაზრდილი ყურადღება კონკრეტულ საკითხზე, (2) გაზრდილი ცოდნა (3) და დარწმუნება (Bruycker, 2014).

გარდა დადებითი ეფექტებისა, ლობირება ხშირად გაკრიტიკებულია სხვადასხვა ფაქტორების გამო. ზოგიერთ ჯგუფს, მაგალითად, კორპორატიულ ჯგუფებს, აქვთ შედარებითი უპირატესობა ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით (Coen, 2007), ვიდრე, მაგალითად, ადამიანის უფლებების ან გარემოსდაცვით ჯგუფებს და, შესაბამისად, მათ აქვთ ბევრად უკეთესი წვდომა პოლიტიკურ რესურსებზე (Vanhanen, 2015). დამატებით, მიუხედავად იმისა, რომ ლობირება განიხილება, როგორც აუცილებელი ბერკეტი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას დემოკრატიული სახელმწიფოში, მთავარ გამოწვევად რჩება კორუფციის რისკის არიდება ან მინიმუმდე დაყვანა ლობირების პროცესში. მეცნიერები ხაზს უსვამენ გამჭვირვალების აუცილებლობაზე, რაც გულისხმობს დროულ და საიმედო ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინფორმაციის გაზრდილ ნაკადს, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის (Vishwanath and Kaufmann, 1999; Bellver and Kaufmann, 2005). საგულისხმოა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალება ასევე შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებად (Bellver and Kaufmann, 2005).

ყველაზე დიდ როლს წარმატებაში თამაშობს ლობისტის გამოცდილება, მიუხედავად იმისა, დემოკრატიულია სისტემა თუ ავტორიტარული. უმნიშვნელოვანესია პიროვნული სანდოობა. ამ ორი ფაქტორის გარდა, ყურადღება ექცევა ინტერესთა ჯგუფის ლეგიტიმაციის ხარისხს, მაგრამ აქ სუბიექტური ფაქტორებიც იჩენს თავს. მაგალითად, პროფკავშირები განიხილება, როგორც კანონიერი, მაგრამ მათი მოთხოვნები შეიძლება ნაკლებად ხელსაყრელად აღიქმებოდეს. აგრეთვე, რაც უფრო ფართოდაა გამოხატული ჯგუფის მხრიდან წინააღმდეგობა, მით უფრო რთულდება პოლიტიკური მიზნების მიღწევა. გასათვალისწინებელია ჯგუფის ფინანსური რესურსებიც, როგორც პოლიტიკურ ძალაუფლებასთან დამაკავშირებელი ხიდი, რადგან პერსონალური ლობისტების

დაქირავება, მედია კამპანიები და რიგი ღონისძიებები მოითხოვს ფინანსებს. წარმატების აუცილებელი ელემენტია ორგანიზაციული, მენეჯერული უნარით აღჭურვილ, პოლიტიკურ/ეკონომიკურ საკითხებში გათვინობიერებული ლიდერის ყოლა. აგრეთვე, გასათვალისწინებელია ჯგუფის ზომა და წევრთა გეოგრაფიული განაწილება და ჯგუფის პოტენციალი, შექმნას კოალიცია მსგავსი ინტერესის მქონე სხვა გაერთიანებებთან. ყურადსაღებია დროის სწორად შერჩევა და პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინება გონივრული გადანყვეტილებების მიღებისთვის (Thomas; 2014).

ზოგადად, შემუშავებული კონკრეტული სტრატეგიები და გამოყენებული სპეციფიკური ტაქტიკა, მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც პოლიტიკური სისტემების, პოლიტიკური პროცესის სტრუქტურისა და პოლიტიკური კულტურის მიხედვით. დემოკრატიული საზოგადოებებში ინტერესთა ჯგუფების შესახებ შეზღუდვები არ არის, მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ (მაგ., ლობისტების დაქირავება, პრესის გამოყენება და სახალხო მიტინგების ჩატარება). ამრიგად, სტრატეგიები და ტაქტიკა უფრო ფორმალური და ლიაა, ვიდრე ავტორიტარულ საზოგადოებებში, სადაც ისინი უფრო ნაკლებად ხილულნი უნდა იყვნენ. მეორე ფაქტორი პოლიტიკის პროცესის სტრუქტურაა. მესამე ფაქტორი არის პოლიტიკური კულტურა, რადგანაც ეს ეხება ჯგუფურ საქმიანობას და ლობირებას. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, უპირატესობს ანიჭებენ საკონტრაქტო ლობისტებს, რომლებიც სპეციალურად დაქირავებულნი არიან ხელშეკრულებით და ლობირებენ მთავრობას. დასავლეთის სხვა დემოკრატიებში, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში, ჩვეულებრივ ურჩევნიათ ოფიციალური პირებთან ჰქონდეთ უშუალოდ მოლაპარაკება (Britannica Encyclopedia).

მრავალი კვლევა ეძღვნება იმის ახსნას, თუ რატომ იყენებენ ინტერესთა ჯგუფები ლობის სხვადასხვა ტიპის ტაქტიკას. ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია მოტივებსა და კონტექსტურ ფაქტორებზე. ზეგავლენის მოხდენის კონკრეტული ტაქტიკის გამოყენება შეიძლება აიხსნას სტრატეგიის შემუშავების პროცესისთვის მახასიათებელი შიდა და გარე ფაქტორებით. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რა მოტივს ეფუძნება ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლის ან/და ლობისტის ქცევა გამოიყენონ კონკრეტული

ხერხი მიზნის მიღწევის შანსების მაქსიმალურად ზრდისთვის. ინტერესთა ჯგუფები ეყრდნობიან ტაქტიკის ფართო სპექტრს საზოგადოებრივ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენისთვის მათ შეიძლება მხარს უჭერდნენ სხვა მოქმედი აქტორები, რომელთაც შეუძლიათ გამოიყენონ ქვეყნის შიგნით ან მის გარეთ არსებული ტაქტიკა, მიზნად დაისახონ კონკრეტული ინსტიტუციური ადგილები მთავრობის მრავალ დონეზე და გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის არგუმენტები და ინფორმაცია. ლობისტური სტრატეგია მოიცავს ტაქტიკისა თუ მოქმედებების შესაძლებლობას, რომლებიც ერთად ემსახურება კონკრეტულ პოლიტიკურ მიზანს (Binderkrantz, 2005). ლიტერატურა ლობისტური სტრატეგიების შესახებ მრავალფეროვანია (Caldeira, Hojnacki and Wright, 2000; Hojnacki and Kimball, 1999). მიუხედავად ამისა, არ არსებობს რაიმე ძირითადი ჩარჩო, რომელიც აკავშირებს შესწავლილ სხვადასხვა ტაქტიკას ერთმანეთთან (Princen, 2011). ზოგადად, შეიძლება არასრული ან მცდარი დასკვნების გაკეთებაც, რადგან შესაძლოა კონკრეტული ტაქტიკის გამოყენების წარმატება აიხსნას გარკვეული კონტექსტით, თუმცა, რეალურად, მისი ეფექტიანობა განპირობებული იყოს სხვა სტრატეგიასთან ერთად გამოყენებით და, პირიქით. მეორეც, ლობისტების მეთოდებს შორის ურთიერთობების უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს მიკერძოებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც ტაქტიკა წარმატებულია პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. ერთი ტაქტიკის გამოყენებით მიღწეული ერთი წარმატების ანალიზისას, შესაძლოა, თვალთახედვის მიღმა დაგვრჩეს მასთან კომბინირებით გამოყენებული სხვა ხერხი. ამ მიზეზების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტულად იმის ანალიზსაც, თუ როგორ უწყობს ხელს ერთი ტაქტიკის გამოყენება პარალელურად სხვა ხერხის გამოყენებასაც. შესაბამისად, ლობისტური ტაქტიკის ტიპოლოგია გამომდინარეობს ლობისტების, როგორც საკომუნიკაციო პროცესის განხილვისაგან, რომელშიც ინტერესთა ჯგუფი გზავნის ინფორმაციას მიმღებისთვის (პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის) გარკვეული არხის მეშვეობით და გარკვეულ კონტექსტში (Austen-Smith & Wright, 1992; Milbrath, 1960).

შეჯამების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ლობირება სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთქმედებით ჩამოყალიბებული თანმიმდევრული სტრატეგიაა, რომელსაც განსაზღვრავს როგორც შიდა ორგანიზაციული, აგრეთვე გარე ფაქტორები და რომლის ეფექტიანობის გაზომვასაც მნიშვნელოვნად აფერხებს არაფორმალური ინსტრუმენტების გამოყენება. თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთი მხრივ, ლობირების ტექნიკის სწორად შერჩევა და მეორე მხრივ, შერჩეული საკითხის სიღრმისეული ცოდნის დონე, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ლობირების ეფექტიანობას გარემო ფაქტორებთან თანხვედრის პირობებში. თუმცა, აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ეფექტიანი ლობირება გულისხმობს ერთი მხრივ, სასურველი ინტერესის ადვოკატირებას, ხოლო მეორე მხრივ, არასასურველი ცვლილებების შეფერხებას.

1.3. ინტერესთა ჯგუფების მეცნიერული კატეგორიის გამოკვლევა თეორიული ეკონომიკის კონტექსტით

მიმდინარე თავში განხილულია ერთი მხრივ, ინდივიდთა ქცევის მამოძრავებელ ფაქტორებს დაინტერესებული ჯგუფების კვლევის კონტექსტით, პიროვნების მიერ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმსა და ინტერესთა ჯგუფში განწევრიანების მოტივებს. გარდა ამისა, გავანალიზებთ ინტერესთა ჯგუფების აქტივობებს ინსტიტუციური ეკონომიკის პერსპექტივიდან და გამოყოფთ სოციალური კაპიტალის საკითხებს.

ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა სწავლობს თანაბარი საწყისი პირობების მქონე ქვეყნების განსხვავებული განვითარების მიზეზებს ისტორიული და შედარებითი მიდგომების გამოყენებით. კვლევის ინტერესია ეკონომიკური ორგანიზაციების სტრუქტურა და ინსტიტუციური დღის წესრიგი, თუ როგორ მოქმედებს სტრუქტურა ხალხის ქცევაზე, რესურსების გადანაწილებასა და წონასწორობაზე. ინტერესთა ჯგუფების როლის მნიშვნელობის დადგენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იწვევს სოციალურ მეცნიერებათა დარგებით, განსაკუთრებით კი პოლიტოლოგიით, სოციოლოგიით, ეკონომიკითა და სამართლით დაინტერესებას.

დაინტერესებული ჯგუფების ქცევის სიღრმისეული შესწავლისა და ლობიზმის როლის გასაგებად, რომელსაც ხშირად მხოლოდ იმ საქმიანობად განიხილავენ, რომელიც გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენაზეა ფოკუსირებული, აუცილებელია იმ სოციალურ-ეკონომიკური ძირითადი თეორიული კონცეფციების განხილვა, რომლითაც შესაძლებელია ინტერესთა ჯგუფების ქმედებების ანალიზი. ყველაზე მნიშვნელოვან თეორიულ ცოდნას ამ მხრივ შეიძლება შეიცავდეს ინსტიტუციური ეკონომიკა (Williamson, 1998; Amable, 2004), ინტერესთა წარმომადგენლობის თეორია (Olson, 1971; Grossman and Helpman, 2002; Goehring, 2002), საზოგადოებრივი არჩევანის თეორია (Buchanan and Tullock, 1965), აგენტების თეორია (Jensen and Meckling, 1976; Rees, 1985; Stiglitz, 1987; Eisenhardt, 1989) ბიუროკრატის თეორია (Weber, 1998; Merton, 1968; Niskanen, 1971; Wilson, 1991), დაინტერესებული მხარეებისა და მმართველობის ახალი ფორმების


თეორია (Jachtenfuchs and Kohler-Koch, 2004; Sorensen and Torfing, 2007), რეგულირების თეორია (Stigler, 1971; Peltzman, 1976; Levine and Forrence, 1990; Moss and Balleisen 2009). თუმცა, „ინსტიტუციონალიზმის გასაგებად საჭიროა გარკვეული წარმოდგენის ქონა სხვადასხვა, მათ შორის, ინტერდისციპლინური ხასიათის პრობლემათა ფართო წრეზე“ (ბალარჯიშვილი, 2018; 1).

ინტერესთა ჯგუფებისა და ლობირების ეკონომიკური მოდელი ეფუძნება ეკონომიკური პოლიტიკის თეორიას, კონკრეტულად ვარაუდს, რომ ამომრჩევლები მაქსიმალურად ზრდიან სარგებლის მიღების გზებს და პოლიტიკური პარტიები (ხელისუფლება) ზრდის ამომრჩეველთა ხმების მოპოვებას. ეკონომიკური მოდელი ინტერესთა ჯგუფების გავლენის აღწერისას სვამს ორ ძირითად კითხვას: რა გზით ახდენენ გავლენას ინტერესთა ჯგუფები პოლიტიკაზე დემოკრატიულ სისტემებში? როგორ შეუძლია ხელისუფლებას მათი მხარდაჭერა ან კონტროლი? მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ იმ მექანიზმების აღწერაზე, რომლის საშუალებითაც ინდივიდუალური რაციონალური ქცევა აგებულია სხვადასხვა ინსტიტუციური მოქმედებით ირაციონალურ და არასასურველ პოლიტიკურ შედეგებამდე. ხოლო, თავის მხრივ, კონკრეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური მიმართულების რეგულაციის შემუშავებაში შესაძლოა გამოკვეთილ იქნას ინტერესთა ჯგუფების მიერ განხორციელებული წარმატებული ლობირების როლი. ემდ. ევა ლეკაშვილის (2019; 1) კვლევის თანახმად, „ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ფირმების ფორმირების, მათი აგლომერაციის, ინოვაციებისა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ხელშეწყობას ღია ეკონომიკის პირობებში.“ რეგულირებაზე ყურადღებას ამახვილებდნენ სტიგლერი (1971) და პელცმანი (1976), რომელთა მიერაც სახელმწიფო აღიქმება, როგორც რეგულირების მიმწოდებელი (მაგალითად, ფიქსირებული ფასები, შეზღუდვები, სუბსიდიები, გადასახადები და ა.შ.) მაღალი ღირებულების სერვისების სანაცვლოდ. რეგულირებულმა ინდუსტრიებმა შეიძლება შესთავაზონ კანონმდებლებს საკუთარი საარჩევნო კამპანიის მხარდაჭერა, დაჰპირდნენ მათ ამომრჩევლის მოზიდვას საკუთარი მოგების სანაცვლოდ. შედეგად,

სახეზეა გაცვლა გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, მაგრამ როგორც წესი, აღნიშნული ქმედება არ არის გარეგნულად აშკარა (Stigler, 1971; Pelzmann, 1976).

სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის წარმოდგენილი კავშირების საფუძველზე, ყალიბდება შემდეგი მოდელი (ნახაზი N5), რომელიც ეფუძნება სქემას: ინტერესები - გადანაცვტილების მიმღებნი - შედეგები. სახელმწიფო, ამ შემთხვევაში გადანაცვტილების მიმღები ბიუროკრატიული ინსტიტუტია, რომელიც ამ გადანაცვტილებებს იღებს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ხოლო წყაროს, შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც სახელისუფლებო სტრუქტურათა წარმომადგენლები, აგრეთვე, არასამთავრობო ან ბიზნეს სექტორი.


ნახაზი N5: ინფორმაციის გაცვლის სქემა



წყარო: (Laboutkova and Zak, 2016).

სახელმწიფოსთვის ლობისტური საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაცია სქემატურად გამოსახულია ნახაზზე N6, როდესაც კომპანიები ქირაობენ პროფესიონალ ლობისტებს ან ეწვეიან პროფესიონალურ ლობირებას ან იქმნება ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ-პოლიტიკური გადანაცვტილების მიღებაზე ლობირების - საშუალებით.

ნახაზი N6: სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის მიერ დაქირავებული ლობისტებისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედება;



წყარო: (Laboutkova and Zak, 2016).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია არსებობდეს სამი ჰიპოთეტური სიტუაცია: პირველი მათგანი მოიცავს ლობირების არარსებობას: ურთიერთობები მთავრობას, საზოგადოებასა და ბიზნესს შორის არ არის ინსტიტუციონალიზებული.

ნახაზი N7: ლობირების არარსებობა

<p>ლობირების არარსებობა (ურთიერთობები მთავრობას, საზოგადოებასა და ბიზნესს შორის არ არის ინსტიტუციონალიზებული)</p>	
<p>ა) მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს, ეყრდნობა საკუთარი ინფორმაციის წყაროებს, თანამდებობის პირებისა და არჩეული წარმომადგენლების ცოდნას. ამ მდგომარეობითვის დამახასიათებელია გადაწყვეტილების</p>	<p>ბ) მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს, ეყრდნობა ინფორმაციის საკუთარ წყაროს და ცდილობს საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორისგან ინფორმაციის მოპოვებას. შედეგად ვღებულობთ ინფორმაციის</p>

<p>მიღებაზე განეული დაბალი დანახარჯები, ინტერესთა ჯგუფებისა და აქტორების დაუცველობის მაღალი დონე, რაც გამოწვეულია არა ინფორმაციის ასიმეტრიულობით, არამედ არაკომპეტენტური ან ცუდი გადაწყვეტილების მიღების მაღალი ალბათობით.</p>	<p>მოპოვებისთვის გაღებულ დიდ ხარჯებს, თუმცა, შემცირებულია ინფორმაციის ასიმეტრიულობის ალბათობა. რომ ამ სიტუაციაში შესაძლებელია მიღებულ იქნას ბევრად კომპეტენტური გადაწყვეტილება, თუმცა, არაეფექტიანია ხარჯების თვალსაზრისით.</p>
--	---

მეორე ვარიანტის შემთხვევაში, ლობირება არსებობს - ურთიერთობები ნაწილობრივ ინსტიტუციონალიზებულია, თუმცა არ არის გამჭვირვალე.

ნახაზი N8: ნაწილობრივ ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობები

<p>ლობირება არსებობს - ურთიერთობები ნაწილობრივ ინსტიტუციონალიზებულია, თუმცა არ არის გამჭვირვალე</p>	
<p>ა) მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს ლობისტების მიერ შეთავაზებული სარგებელის მიღების საფუძველზე, რაც გულისხმობს ინფორმაციული ასიმეტრიის, კორუფციისა და ზნეობრივად მიუღებელი გადაწყვეტილების მიღების საფრთხეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ინფორმაციის მოპოვების ხარჯები დაბალია, შედეგად ვიღებთ</p>	<p>ბ) მთავრობა ცდილობს სხვა სუბიექტებისგან (საზოგადოებისა და ბიზნესის სექტორისგან) ინფორმაციის მოპოვებას - თუმცა, მთელი პროცესი ძალიან ძვირია.</p>

<p>არაფექტიან სოციალურ გარემოსა და კორუფციის საფრთხეს.</p>	
--	--

და ბოლოს, ლობირება არსებობს - ურთიერთობები ინსტიტუციონალიზებულია და გამჭვირვალეა. ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს თანაბარი დაშვება, რაც იწვევს ინფორმაციის ასიმეტრიისა და დაინტერესებული მხარეების გაურკვევლობის შემცირებას. შედეგი კი არის კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის საფუძველზე, რასაც როგორც წესი, უფრო მეტ სოციალური სარგებელი და ეკონომიკური ეფექტიანობა მოაქვს (Laboutkova and Zak, 2016)

გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ფაზები აღვიქვათ არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ ურთიერშეკავშირებულ და გადამკვეთ სქემად (გველესიანი, გოგორიშვილი; 2018). კოლექტიური მოქმედებების სწორად ორგანიზება ჯგუფის ცენტრალური ინტერესია. სწორედ ამრთა სხვადასხვაობამ ჩაუყარა საფუძველი ინტერესთა ჯგუფების კავშირს დემოკრატიულ პლურალიზმთან, აგრეთვე შეხედულებას, რომ ზოგიერთ პირობებში, ბიზნეს ინტერესების ჯგუფებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეკონომიკურ რეფორმას. ოლსონის (1965) კოლექტიური მოქმედების ეკონომიკური სტიმულების ანალიზის მიხედვით, რაციონალურ, ეკონომიკურ აგენტს ჯგუფში შესასვლელად უნდა მიეცეს კონკრეტული, პირადი (ან მისი თვალსაზრისით, „შერჩევითი“) სარგებელი. ოლსონის ანალიზით ვარაუდობენ, რომ ასეთი ჯგუფები წევრებს ორი ტიპის საქონელს (ან მომსახურებას) აძლევს: კერძო საკუთრება და კოლექტიური სიკეთე. დამატებით, ჯგუფური მოქმედებების გავლენა პოლიტიკაზე აქტიურად იკვეთება უკვე 50-იანი წლების სამეცნიერო ლიტერატურიდან (Castles, 1967; Truman, 1958; Moe, 1980).

ოლსონი გამოთქვამდა სკეპტიციზმს ინტერესთა ჯგუფების შესახებ 1982 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ერების ზრდა და ვარდნა: ეკონომიკური ზრდა, სტაგფლაცია და სოციალური სიმტკიცე“ (Olson, 1982). თავდაპირველად, გავრცელებული ვარაუდის მიხედვით, პოლიტიკის შემქმნელები დაცული უნდა ყოფილიყვნენ ინტერესთა ჯგუფის

ზენოლისგან (Nelson, 1989; Bates and Krueger, 1993; Williamson, 1994), თუმცა, ჰაგარდმა და ვებმა კვლევაში დაადგინეს, რომ ყველა წარმატებული რეფორმის მცდელობაში, პოლიტიკოსები დელეგირებენ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას მთავრობის შემადგენლობაში შემავალ დანაყოფებზე, რომლებიც იზოლირებულნი იყვნენ როგორც რუტინული ბიუროკრატიული პროცესებისგან, აგრეთვე, საკანონმდებლო და ინტერესთა ჯგუფის ზენოლისგან. (Haggard and Webb, 1994).

მნიშვნელოვანია ინტერესთა ჯგუფის სამი მახასიათებელი: ჯგუფის ზომა და შემადგენლობა; მათი წვდომა საზოგადოებრივ სარგებელზე; ჯგუფების შესაძლებლობები, რომ ჩაერთონ პოლიტიკის განხილვაში. ოლსონი 1965 წელს კოლექტიური მოქმედების სირთულეების შესწავლით მიგვიითითებს, რომ დაინტერესებულ ჯგუფებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ თავიანთი ინტერესების გატარება, თუ მათ ჰყავთ შეზღუდული რაოდენობის წევრები და გააჩნიათ უფრო ვიწრო ინტერესები. თუმცა, ვიწრო ინტერესების განხორციელებამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზოგად გაჯანსაღებას, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც. ექსპორტიორთა ასოციაციების ინტერესები შეიძლება ემსახურებოდეს უფრო ლიბერალურ, ზრდაზე ორიენტირებულ პოლიტიკას. ასოციაციები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ სავაჭრო პრობლემებზე (როგორც ტრადიციულ სავაჭრო პალატებში), ხელს უწყობენ ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ფასების კონტროლის მოხსნას და უცხოური ვალუტის თავისუფალ დაშვებას. მრეწველების ინტერესები შეიძლება უფრო ნათლად იყოს დაკავშირებული პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის ლიბერალიზაციასთან. რეფორმებმა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ტელეკომუნიკაცია, წყალი და ელექტროენერჯია, შეიძლება უზრუნველყოს ამ მომსახურების მუდმივი მიწოდება. (Braeutigam; 2000). პოლიტიკური ქცევისადმი საზოგადოების არჩევანის მიდგომის შესაბამისად, ოლსონი (1965) გამოყოფს აქტორებს, რომლებიც რაციონალურად იქცევიან, საკუთარი პოტენციური სარგებელის მაქსიმიზაციის მიზნით. ოლსონის თანახმად, რაც უფრო დიდია ჯგუფის ზომა, უფრო რთულია კოლექტიური მოქმედება.

რაც შეეხება ინსტიტუციონალისტურ თეორიას (როგორც ტრადიციული, ასევე, ნეოინსტიტუციონალიზმი), იგი ემყარება ინსტიტუტებს, წესებს, ჩვევებს, პროცედურებს,

ნორმებს, ორგანიზაციებს, მათ შორის ურთიერთკავშირს და ურთიერთგანმანათლებელ ქმედებებს. წესი განიმარტება როგორც რაიმე საქმიანობის ხანგრძლივად დაშვება ან აკრძალვა, ხოლო ჩვევა ჩამოყალიბებული მახასიათებელი, რომლითაც მოქმედებს ეკონომიკური აგენტი გადაწყვეტილების მიღების დროს. წესის მრავალჯერადი გამოყენება გარკვეულ გარემოში განაპირობებს მისი ჩვევად ჩამოყალიბების ალბათობას. ინსტიტუციური მიდგომა საზოგადოებას მიიჩნევს, როგორც სპეციფიკურ ინსტიტუციურ სტრუქტურას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალური გამოცდილების დაგროვებას, კანონების, ურთერთქმედებისა და აზროვნების გზების სისტემას. ტრადიციული ინსტიტუციონალიზმი ეფუძნება მოსაზრებას, რომ როცა გარკვეული ჯგუფის ან სოციალური კულტურისთვის დამახასიათებელი წესების ხშირად გამეორება ხდება, ის ვრცელდება მთელ საზოგადოებაში და ხდება გარკვეული ინსტიტუტების გაჩენის წინაპირობა. ამ მიდგომით, ინსტიტუტები ხასიათდებიან ერთგვარი სტაბილურობითა ინერტულობით, ცდილობენ თავიანთი მახასიათებლების შენარჩუნებასა და გადაცემას მომავალში. ინსტიტუტები ინდივიდის საქმიანობას აძლევენ ფორმას და ანიჭებენ თანმიმდევრულობას. ისინი წარმოადგენენ ფუნდამენტურ ამხსნელ ფაქტორებს საზოგადოების ეკონომიკურ-პოლიტიკურ ურთიერთობებსა და ურთიერთგავლენაზე.

მიდგომის თანახმად, სხვადასხვა სახელმწიფოებს გააჩნიათ ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ინსტიტუციური სისტემები, ქცევის წესები და მოდელები. ტრადიციულ მიდგომაში ინსტიტუტები განიხილება როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი. თანამედროვე ეკონომიკურ მოძღვრებაში ინსტიტუციონალიზმი დაფუძნებულია იმ ელემენტებს შორის კავშირზე, რომელსაც სისტემა მოიცავს. ახალმა ინსტიტუციონალისტურმა მიდგომამ გაათავართოვა ტრადიციული თეორიის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ანალიზის შესაძლებლობები და გამოკვეთა ის გარემოება, რომ სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთკავშირი განაპირობებს ეკონომიკის ღია სისტემის ცვლილებას. მაგ., ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია „კუმულაციური მიზეზობრიობის“ („cumulative causation“) მოდელი (Gunnar Myrdal, Thorstein Veblen), რომლის მიხედვითაც ცვლილება ინდივიდუალური მიზნებში ზემოქმედებს გარემოზე და

პირიქით. ვებლენის მიხედვით, ადამიანთა დიდი ერთობლიობისთვის დამახასიათებელია აზროვნების მყარი ჩვევები, რომლებიც აღმოცენდებიან ტრადიციებიდან, წეს-ჩვეულებებიდან, ინსტიქტებიდან და სოციალური ნორმებიდან (Hall and Ludwig, 2010) გელბრაიტის (1973; 2) თანახმად კი, „თანამედროვე ბაზარზე არავინ ფლობს სრულ ინფორმაციას. თითოეულ ცოდნას აქვს ნაწილობრივი და სპეციალიზებული ხასიათი. ინფორმაციის სისრულე მიიღწევა მხოლოდ ნაწილობრივი ცოდნის გაერთიანებით ორგანიზაციის ფარგლებში.“

ნეონსტიტუციონალიზმის თეორიაში გამოიყოფა სამი მიმდინარეობა:

- რაციონალური არჩევანის თეორია, ანუ აქტორებზე ორიენტირებული ინსტიტუციონალიზმი (რომელსაც ფართოდ გავაანალიზებთ საკვლევე თემასთან სიღრმისეული კავშირის გამო);
- სოციოლოგიური ინსტიტუციონალიზმი;
- ისტორიული ინსტიტუციონალიზმი.

თეორიის თითოეული ტიპი განსხვავებულად განსაზღვრავს ინსტიტუციურ ცვლილებებსა და აქტორთა მახასიათებლებს. მაგ., რაციონალური არჩევანის თეორია ორიენტირებულია სარგებლიანობის მაქსიმალურ ზრდაზე; სოციოლოგიური შეისწავლის კავშირს აქტორების ქცევასა და აზროვნებაში გამოხატულ სოციალურ და კულტურულ აღქმასა და ნორმატიულ ჩარჩოებს შორის, ასევე, სოციალურ წესებს. ეკონომიკური ინსტიტუციონალიზმი ფოკუსირდება აქტორთა მიერ მოქმედებების თავისუფლებასა და მოგების მაქსიმიზაციაზე. ედელინგის (Edeling et al, 1999) მიხედვით, ახალი ინსტიტუციონალიზმის კონცეფცია აერთიანებს ეკონომიკურ და სოციოლოგიურ მახასიათებლებს. ისტორიული ინსტიტუციონალიზმის (Pierson, 2004) მიხედვით კი, გრძელვადიან პერიოდში აქტორების სურვილებსა და არჩევანს ჩამოყალიბებული ინსტიტუციური ჩარჩო განსაზღვრავს, რაც მნიშვნელოვნად ავიწროებს რეფორმების არეალს და ზღუდავს არჩევანის ალტერნატივას (Kaiser et al, 2002).

აქტორებზე ორიენტირებული ინსტიტუციონალიზმის (რაციონალური არჩევანის თეორიის) მიხედვით (Scharf, 2000), ინსტიტუტები განიხილებიან როგორც რაციონალური არჩევანის შემზღვეველი გარემოებები (Peters, 1999). ანუ, საერთო ინტერესების გარშემო შეკრებილი ინსტიტუტები ინდივიდებს ერთობლივი ქმედებების საჭიროებისას სთავაზობენ თანამშრომლობას, რომელშიც „რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებისას მონაწილეების ინტერესებსა და მათ პირად სარგებელს ითვალისწინებენ“ (Edeling et al, 1999). მიდგომის ამოსავალი წერტილია ის, რომ საზოგადოების ამა თუ იმ წევრის ქმედება ემყარება ინდივიდუალური სარგებლის გაზრდას, რომლისთვისაც კოლექტიური ქმედებაა საჭირო, ხოლო თანამშრომლობა კი ვერ შედგებოდა ზემოხსენებული ინსტიტუტების გარეშე. შედეგად, ვიღებთ ხარჯთ-სარგებლიანობის რაციონალურ გათვლას. მაგ., რაციონალურად მოქმედი აქტორის პერსპექტივიდან შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ინსტიტუციური რეფორმების ინიცირებისა და განხორციელებისადმი მხარდაჭერა.

ქულმანისა და ვოლმანის (Kuhlmann and Wollman, 2019) მიხედვით, გასათვალისწინებელია, რომ აქტორთა ქმედებების მხოლოდ ინსტიტუციური გარემოთი ან კულტურული კონტექსტით ახსნა ვერ მოგვცემს ობიექტურ სურათს. არამედ, მხედველობაში მისაღებია აქტორების სტრატეგია, რაოდენობა, ინტერესები, ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი, პოლიტიკური ნება და უნარები (Schonfield, 1965).

რიჰტერი და ფორბოტი (Richter and Forubot; 1996) ინსტიტუციურ გარდაქმნას „განიხილავენ ეკონომიკური ოპტიმიზაციის პროცესის პერსპექტივიდან, სადაც გადაწყვეტილების რაციონალურობა ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით ფასდება“. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთისაგან გამიჯნულია „სტრუქტურული“ და „კულტურული“ მიმართულებები, მეორეს მხრივ - „სისტემებისა“ და „აქტორების“ ღონეები (Gohler, 1987).

ნეოინსტიტუციონალიზმის თეორიის განვითარებაში დიდი როლი მიუძღვის ჩიკაგოს უნივერსიტეტის ნობელიანტ (1991) პროფესორ ქოუზს. მან ნაშრომში "The Nature of the Firm" (1937) წარმოადგინა ეკონომიკური განმარტება ფაქტისა, რატომაც ანიჭებენ უპირატესობას კომპანიებისა და ბიზნეს ორგანიზაციების შექმნას და არა ორმხრივ

ვაჭრობას ბაზარზე. ავტორმა განავითარა „ტრანზაქციული დანახარჯების“ (transactional costs) კონცეფცია და ფირმების შებენიანი ბუნება. ნეოინსტიტუციონალიზმს ეფუძნება კვლევა "The Problem of Social Cost" (1960), სადაც ქოუზი მხარეების მიერ გარიგების დადების ეფექტიანობას ხსნის ხარჯ-სარგებლიანობის მიდგომის გამოყენებით.

საზოგადოების ან მისი სხვადასხვა სეგმენტის მიერ გამოვლენილი ინდივიდუალური ჩვევები იღებს სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების ფორმას. შესაბამისად, ეკონომიკურ მოძღვრებაში ინსტიტუტი ფართო ცნებაა და აერთიანებს როგორც კულტურულ ფასეულობებს, აგრეთვე ჩვევებისა და წესების სოციალურ გადაცემას, რაც მარტივს ხდის ინდივიდთა მოქმედებასა და ეკონომიკურ საქმიანობას.

ჩვევებისა და წესების გამოყენება აუცილებელია, როდესაც

- ცნობილია შესაძლო ალტერნატივები და გადანყვეტილების მიღებას განაპირობებს არჩევანის ოპტიმიზაცია;
- ფართო მასშტაბის ინფორმაციის მოძიება მოითხოვს სხვადასხვა რესურსების დანახარჯს;
- შესაძლო შედეგების შესახებ ცოდნა მიუწვდომელია, რაც იწვევს გაურკვეველობას;
- შებენიანია აგენტის კოგნიტური შესაძლებლობები, თუმცა, მნიშვნელოვანია საჭირო ცოდნის დაგროვება და აქტიური კავშირი სხვა აგენტებთან (ციტირებულია: მექვაბიშვილი, 2016; 284).

ინსტიტუციონალისტური ეკონომიკის წარმომადგენლის, ჯონ ქომონსის მოსაზრებით, „ინსტიტუტი“ წარმოდგენილია, როგორც ერთობლივი აქტივობა ინდივიდუალურ ქმედებათა კონტროლის მიმართულებით (Commons; 1931). ინდივიდუალური ქმედება კი მოიცავს მოგება-დანახარჯების განაწილებას, სავაჭრო გარიგებების წარმოებას და ზოგადად, ფირმის მართვას. ერთობლივი საქმიანობა ემსახურება საერთო მიზნის მიღწევას და რეგულირდება ხელმძღვანელობის მიერ საერთო შინაგანაწესის ნორმებით. რაც შეეხება საზოგადოებას, ის წარმოდგენს ერთგვარ ორგანიზაციათა ქსელს, რომლის შუაგულშიც იმყოფება არსებულ ორგანიზაციათა შორის ყველაზე მაღლა მდგომი - სახელმწიფო (Commons; 1931).

ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციებისადმი ინსტიტუციური მიდგომა ჩანს ავსტრიელი ეკონომისტის, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის ნაშრომებშიც, რომელიც მოგვიანებით ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა (მირდალთან ერთად) ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური ფენომენების ურთიერთდამოკიდებულების კვლევაში. ჰაიეკის აზრით, საზოგადოება არის სპონტანური წესრიგი, რომელიც ემორჩილება სამართლის ნორმებს და თავის მხრივ, განსაზღვრავს ორგანიზაციულ წესებს, რომელთა მორჩილებაც კეთილსინდისიერების საფუძველია (Hyek, 1989).

კომონსისა და ჰაიეკის მიდგომები შეაჯერა და განავითარა ნორტმა. ნობელიანტი ეკონომისტის (ნომინირებულ იქნა 1993 წელს Robert William Fogel-თან ერთად) ნაშრომები მოიცავს საკუთრების უფლებებს, გარიგების ხარჯებს, ბაზრების ინსტიტუციონალურ საფუძველსა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. ნორტის მიხედვით, ინსტიტუტები შექმნილია ხალხის მიერ. ხალხი ვითარდება და იცვლის ინსტიტუტებს. ამავე დროს, ადამიანის მიერ არჩევანის საფუძველზე ინსტიტუციების მიერ დაწესებული შეზღუდვები გავლენას ახდენს თვით ინდივიდზე (North, 1991).

უახლესი ინსტიტუციური მიდგომის მეთოდოლოგიურ პროგრამაში მოცემულია ტრადიციული და ახალი ინსტიტუციონალიზმის სინთეზი და ნაჩვენებია ინსტიტუციური ევოლუციური თეორიის შემდგომი განვითარების მიმართულებები. ეფექტიანი ინსტიტუციური სისტემა ის სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდას. ტრადიციული ინსტიტუციონალიზმი ემყარებოდა ძირითადად ინდუქციურ მეთოდს, ცდილობდა სპეციალური შემთხვევებიდან განზოგადებებზე გადასულიყო, ხოლო ნეოინსტიტუციონალიზმი მიდის დედუქციური გზით - ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ზოგადი პრინციპებიდან სოციალური ცხოვრების სპეციფიკური ფენომენების ახსნისკენ. საგულისხმოა, რომ ინსტიტუციონალისტური თეორიის დისციპლინათმორისი ხასიათი ჯერ კიდევ თეორიის საწყისი ეტაპიდან იღებს სათავეს და ეკონომიკური საკითხების ახსნაში იყენებს სოციოლოგიურ, ისტორიულ, სამართლის და პოლიტიკურ კვლევებსაც.

რაციონალური არჩევანის თეორია გვეხმარება ინდივიდის მოტივების ახსნაში სოციალური თუ ეკონომიკური ქცევისას. თეორიის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონია შემდეგმა სკოლებმა:

- ზნეობრიობის შოტლანდიური ფილოსოფია (ჰატჩისონი, ფერგიუსონი, იუმი, სმიტი), რომელმაც მოახდინა საზოგადოებაში რაციონალური ქცევის ინდივიდუალისტური კონცეფციის ფორმულირება;
- უტილიტარიზმი (ბენტამი), რომელიც აქცენტს აკეთებდა მორალური განსჯის და შეფასების მნიშვნელობაზე;
- ნეოკლასიკური თეორია (მარშალი), რომელიც გამოყოფდა ადამიანებს შორის ურთიერთგაცვლის როლს (ბალარჯიშვილი; 2017).

რაციონალური აქტორის მოდელის უფრო ფართოდ გამოყენება შემოთავაზებულია ნობელიანტი ეკონომისტის, გარი ბეკერის (Becker; 1976)-ის კვლევაში „ადამიანთა ქცევის ეკონომიკური მიდგომა“ (The Economic Approach to Human Behavior). ინდივიდები გადანწყვეტილებებს იღებენ სხვადასხვა ქმედებათა დანახარჯებისა და სარგებლის შედარებით. გადანწყვეტილების მიღება განიხილება, როგორც კოგნიტური პროცესი, რომელსაც შედეგად მოჰყვება რამდენიმე ალტერნატივიდან ყველაზე მისაღების არჩევა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალურ კაპიტალს. მსოფლიო ბანკის განმარტებით, „სოციალური კაპიტალი წარმოადგენს ინსტიტუციებს, ურთიერთობებსა და ნორმებს, რაც აყალიბებს საზოგადოების ინტერაქციების ხარისხსა და რაოდენობას. არსებობს მზარდი მტკიცებულებები იმისა, რომ სოციალური ერთობა გადამწყვეტი ფაქტორია სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი ადამიანური და ეკონომიკური განვითარების საქმეში“ (1998, ციტ. CRRC, 2011). რობერტ პატენემი ნაშრომში „დემოკრატიის შემუშავება: სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში“ (Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy; 1993) ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიის მაგალითზე იკვლევს, თუ რა კავშირშია დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირება კონკრეტული საზოგადოების მახასიათებელ სოციალურ და ეკონომიკურ კონტექსტთან. მეცნიერის დასკვნით, სამოქალაქო ცხოვრების თავისებურებები მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებასთან.

სოციალური კაპიტალი საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლის უმნიშვნელოვანესი გამსაზღვრელი ფაქტორია და მისი შექმნა ხდება ეტაპობრივად. განვითარებაზე ორიენტირებულ თეორიებში ხაზგასმულია სამოქალაქო საზოგადოების დადებითი ზეგავლენა სოციალურ კაპიტალზე, რადგან მოხალისეობაზე დაფუძნებული ორგანიზაციებისა თუ ასოციაციების ფუნქციონირება ხელს უწყობს როგორც თანამშრომლობის განვითარებას, ასევე, ქმნის დადებით მაგალითებს (კობერიძე; 2016).

სოციალური კაპიტალის მნიშვნელობასთან ერთად, კერძო ეკონომიკური გაერთიანებებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების თანამშრომლობის აუცილებლობა ხაზგასმულია პატნემის კვლევაში, რომლის მიხედვითაც, 1970 წელს იტალიის ხელისუფლებამ დაიწყო დეცენტრალიზაცია და ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ერთმანეთის ანალოგიური მმართველობის სტრუქტურის, კანონმდებლობის და ეკონომიკური რესურსებისა, რეფორმამ ერთგვაროვნად არ იმუშავა და მოგვცა გარკვეული სახესხვაობები რეგიონების მიხედვით. ეს განპირობებული იყო ერთი მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით და მეორე მხრივ, სოციალურ-კულტურული ფაქტორით - სამოქალაქო ურთიერთობების ხასიათითა და სოციალური სოლიდარობის ხარისხით. რაც შეეხება პირველ ფაქტორს, საგულისხმოა, რომ მეცნიერთა ნაწილი ინდუსტრიალიზაციით გამოწვეულ ეკონომიკურ ტრანსფორმაციას სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს. იტალიის მაგალითზე კი, ინდუსტრიალიზაციის პროცესი გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა ჩრდილოეთ ნაწილში. ჩრდილოეთ ნაწილში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის, წარმოებისა და ბიზნესის განვითარების პარალელურად, სამხრეთ ნაწილში ვერ მოხერხდა სიღარიბის დაძლევა. პატნემის კვლევით, ეკონომიკურ განვითარებას თან ერთვოდა და ხელს უწყობდა კიდევ ერთი ფაქტორი - საზოგადოებრივი ცხოვრების მონეობის ხასიათი. იტალიაში განვითარებულ წარმოებას ახასიათებდა კონკურენციისა და თანამშრომლობის ერთგვარი სინთეზი. კერძოდ, კონკურენცია უკავშირდებოდა ინოვაციური იდეების გენერირებასა და დამკვიდრებას, ხოლო თანამშრომლობა - ნედლეულის შემოტანასა და

ინფორმაციის მიღებას. ამ ტიპის ფორმებისთვის დამახასიათებელი ძლიერი ჰორიზონტალური კავშირები დაფუძნებულია ხელშეკრულებების გაფორმებასა და შეკვეთების ნაწილის გადაცემაზე დროებით ნაკლებად დატვირთულ კონკურენტებზე. შედეგად, კერძო ეკონომიკური გაერთიანებებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების თანამშრომლობამ ჩრდილოეთში შექმნა ინფრასტრუქტურა, რომელშიც წარმატებით განვითარდა ბაზარი. სამხრეთის შემთხვევაში კი მეცნიერი ასკვნის, რომ წლების განმავლობაში ამ ტერიტორიულ ერთეულზე სიცილიის სამეფოს ფეოდალურმა და ავტორიტარულმა ბატონობამ ხელი შეუწყო არა თავისუფალი მოქალაქის, არამედ ქვეშევრდომის ჩამოყალიბებას, ხოლო ეს იტალიის გაერთიანების შემდეგაც გაგრძელდა (ციტირებულია: მუსხელიშვილი, 2006; 19).

ფრენსის ფუკუიამა (1995) ნაშრომში „ნდობა, საზოგადოებრივი ღირსება და კეთილდღეობის შექმნა“ (Trust: The Social Virtues and The Creation of Prosperity) ხაზს უსვამდა ნდობის მნიშვნელობას და წერდა, რომ „საზოგადოებაში გავრცელებული უნდობლობა ყველა სახის ეკონომიკურ საქმიანობას აკისრებს ერთგვარ გადასახადს, რომლის გადახდაც მაღალი ურთიერთნდობით აღჭურვილ საზოგადოებებს არ უწევთ“. ნდობა ერთი მხრივ, ამცირებს ტრანზაქციულ ხარჯებს და მეორე მხრივ, ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობის ეკონომიკურ კაპიტალად აღქმა წარმოადგენს გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის წყაროს. ფრენსის ფუკუიამა თვლის, რომ სოციალური კაპიტალის ზრდა ჩვეულებრივ აღიქმება „მეორე თაობის“ ეკონომიკურ რეფორმად, თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის ან ინსტიტუციებისგან განსხვავებით, სოციალური კაპიტალის შექმნა ან დახვეწა საჯარო პოლიტიკის ძალისხმევით საკმაოდ რთულია (Fukuyama, 1999. ციტ: კობერიძე; 2016).

ჰარვარდის პროფესორი, რობერტ პატნემი გამოყოფს ორი ტიპის სოციალურ კაპიტალს: შემაკავებელსა და გამაერთიანებელს. პირველ მათგანში იგულისხმება ადამიანის თანამშრომლობის უნარში ჯგუფის ფარგლებში (ოჯახი, ეთნიკური ჯგუფი, კლასი), ხოლო მეორე, ინდივიდის მიერ სხვადასხვა ჯგუფებთან თანამშრომლობისადმი მზადყოფნას აღწერს. წარმატებით ფუნქციონირებადი საზოგადოებები გამოირჩევიან

გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალით, რაც უდაოდ სასარგებლოა განვითარებისთვის, ხოლო ნაკლებად განვითარებულებს შემაკავებელი სოციალური კაპიტალი ახასიათებთ.

სამოქალაქო ჩართულობა სოციალური კაპიტალის გამოვლინებაა, მაგრამ თავად არ წარმოადგენს სოციალურ კაპიტალს (socialcapitalfoundation.org ციტ: კობერიძე; 2016). სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო ენციკლოპედიაში (2003) ჩამოთვლილია ოთხი სტრუქტურული მახასიათებელი, რომელიც უნდა გააჩნდეს ნებისმიერ ინტერესთა ჯგუფს, რათა ჰქონდეს სოციალური კაპიტალის გაძლიერების პოტენციალი:

- ჰეტეროგენობა და მრავალფეროვნება - ჰეტეროგენული ჯგუფები აყალიბებენ გარემოცვისთვის ხელმისაწვდომ სოციალურ კაპიტალს, მაშინ როცა ჰომოგენური ჯგუფების მეშვეობით მხოლოდ შემაკავებელი კაპიტალის გენერირებაა შესაძლებელი;
- არჩევითობა - სოციალური კაპიტალის გენერირებას უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის ჩართულობის შესაძლებლობა, სადაც გამორიცხულია ჯგუფის სავალდებულო წევრობა და გადაწყვეტილების მიღების მცირე შესაძლებლობა. სოციალური კაპიტალი ვითარდება, როცა ძალისხმევა ეფუძნება პირად არჩევანს და არა იძულებით სანქციებს;
- პოტენციური სტატუსი - სოციალური კაპიტალის შექმნის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოხალისეობრივი საქმიანობის პრიორიტეტულობა;
- გამჭვირვალობა - ამ პრინციპის დაცვა აუცილებელია სოციალური კაპიტალის განვითარებისთვის.

კავშირი სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკურ განვითარებას შორის შემოგვთავაზა ეკონომიკური პოლიტიკის ამერიკელმა სპეციალისტმა, ელინორ ოსტრომმა, რომელმაც 2009 წელს ნობელის პრემია მიიღო. მკვლევარი ნაშრომში „სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა და მისი კავშირი კოლექტიურ ქმედებებთან“ (The Meaning of Social Capital and its Link to Collective Action; 2007) ხაზს უსვამს, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს აქვთ ისეთი კანონებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბების

შესაძლებლობა, რომელიც გაზიარებული რესურსების სამართლიანი მართვის საშუალებას გვაძლევს. ოსტრომმა კვლევაში გამოკვეთა, რომ სოციალური კაპიტალი იზრდება გამოყენებასთან ერთად და არა გარე წყაროებიდან ინვესტირების გზით. მეცნიერი ასევე აღნიშნავს, სოციალური კაპიტალის განვითარებაზე დიდი გავლენა აქვთ სახელმწიფო ინსტიტუტებს, ხოლო მისი გაზომვა მხოლოდ არაპირდაპირი გზითაა შესაძლებელი (Ostrom; 2007). სოციალური კაპიტალის გაზომვა ხდება ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსით, რომელშიც საქართველოს რეიტინგი დაბალია, უახლესი 2019 წლის მონაცემებით, 53-ე პოზიციას იკავებს. საგულისხმოა, რომ სუსტი პოლიტიკური ინსტიტუტების მქონე, არასაკმარისად დემოკრატიულ სახელმწიფოში სოციალური კაპიტალის ჯგუფებს შეუძლიათ პოლიტიკური ინსტიტუციების დათრგუნვა (კობერიძე; 2016). „მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში მძლავრი დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის არსებობა თავის თავად არ უტოლდება დემოკრატიის მაღალ დონეს, საზოგადოებისთვის მეტად დამაზიანებელია ზედმეტად მცირე სოციალური კაპიტალის არსებობა და სოციალური კაპიტალის ზრდის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია დემოკრატიის მშენებლობის მხარდასაჭერად“ (Dowley and Silver, 2002).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის წინამდებარე ნაწილი წარმოადგენდა ინდივიდის ქცევისა და ინტერესთა ჯგუფების ფუნქციონირების განმარტებას ტრადიციული ინსტიტუციური ეკონომიკის, ნეოინსტიტუციონალიზმისა და რაციონალური არჩევანის თეორიის პერსპექტივიდან. აგრეთვე, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სოციალური კაპიტალი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფების აქტივობისა და შესაბამისად, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოს განვითარების წინაპირობა და თანმდევი მახასიათებელია.

თავი II. ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის საერთაშორისო გამოცდილება

2.1. ინტერესთა ჯგუფების ფორმირების და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის თავისებურებები აშშ-ში

ინტერესთა ჯგუფებისა და მათ მიერ ლობირების ინსტრუმენტის გამოყენებას იმ სახით, როგორც ჩვენს თანამედროვეობაშია წარმოდგენილი, სათავე აშშ-ში დაედო. შესაბამისად, კვლევის აღნიშნულ ნაწილში განხილულია ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის თავისებურებები აშშ-ში. კვლევაზე დაყრდნობით გამოკვეთილია აშშ-ში მოქმედ ინტერესთა ჯგუფების სპეციფიკური მახასიათებლები.

ინტერესთა ჯგუფების რიცხვის მკვეთრი ზრდის ტენდენცია აშშ-ში ჯერ კიდევ 1940-იანი წლებიდან შეინიშნებოდა, რომელიც 1960-იან წლებში კიდევ უფრო მეტად დაჩქარდა. ისეთმა ინსტიტუციებმა, როგორსაც უნივერსიტეტები, ეკლესიები, სამთავრობო სააგენტოები და ფონდები წარმოადგენენ, შექმნეს თავიანთი ორგანიზაციები საკუთარი ინტერესების გატარების მიზნით და ეს პროცესი ხასიათდებოდა მოქალაქეთა აქტივობის მაღალი ხარისხით მსგავს ჯგუფებში განვრიანების მხრივ. 1990 წლისთვის კი ვაშინგტონში არსებობდა მრავალფეროვანი ლობისტური საზოგადოება (Loomis and Cigler, 2002).

ამერიკის შეერთებულ შტატების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ამერიკულ პოლიტიკაში ბიზნეს სექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ამასთან, იყენებს გავლენის მრავალ ბერკეტს. მრავალფეროვანი კორპორაციები ხარჯავენ უზარმაზარ რესურსებს თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ისინი, როგორც წესი, სხვადასხვა სავაჭრო ასოციაციის წევრები არიან, რომლებიც წარმოადგენენ ინდუსტრიის მთლიან შეხედულებებს პოლიტიკურ პროცესში. გარდა ამისა, ცალკეული კომპანიები პირდაპირ ლობირებენ კანონმდებლებს და ისინი მილიონობით დოლარს ხარჯავენ მათ სასარგებლოდ კანდიდატებისთვის საარჩევნო კამპანიაში. ინტერესთა ჯგუფები ახორციელებენ ადმინისტრაციულ მოსმენებში მონაწილეობას, მონაწილეობენ

შეტყობინებისა და კომენტარის საშუალებით და იყენებენ თავიანთ პოლიტიკასა და იურიდიულ ექსპერტიზას სააგენტოს განაჩენში ჩარევისთვის, რითაც გავლენას ახდენენ პოლიტიკის არჩევანზე (Moe, 1990; Wright, 1996). ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ მნიშვნელოვან მექანიზმს, რომლის საშუალებითაც შეერთებულ შტატებში მოქალაქეები აწვდიან თავიანთ იდეებს, საჭიროებებს და შეხედულებებს არჩეულ თანამდებობის პირებს. ჩვეულებრივ, მოქალაქეებს შეუძლიათ იპოვონ ინტერესთა ჯგუფი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მათ პრობლემებზე ამერიკული ნებაყოფლობითი გაერთიანების ხელმძღვანელები გამოკვეთენ იმ მრავალფეროვან მიზნებს, რის გამოც მოქალაქეები შეკრებილნი არიან (Delibashzade, 2015).

ნაშრომში „ინტერესთა ჯგუფების როლი“ ალენ ჰეისი (Hays, 2015) მიმოიხილავს ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებს აშშ-ს მაგალითზე და ხაზს უსვამს, რომ შრომითი გაერთიანების საქმიანობის მასშტაბების ზრდა მე-20 საუკუნის დასაწყისში აღინიშნა, ხოლო 1930-იან წლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. შრომითი ურთიერთობების შესახებ ეროვნული კანონი იცავდა კოლექტიურ გარიგებას. 1950-იან წლებში კი მათ მიაღწიეს მშრომელთა ძალის 35%-ს. თუმცა, 1960-იანი წლებიდან პროფკავშირების პოლიტიკური ძალა მათ ეკონომიკურ ძალასთან ერთად შემცირდა, რაც განპირობებულია გლობალური ეკონომიკის ცვალებადი ბუნებითა და შეერთებულ შტატებში წარმოებაზე დაფუძნებული ეკონომიკიდან მომსახურებაზე გადასვლით.

ინტერესთა ჯგუფის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა **პროფესიონალთა ასოციაცია**. ჯგუფები, როგორცაა ამერიკის სამედიცინო ასოციაცია და ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია, ყურადღებას ამახვილებენ თავიანთი პროფესიის კოლექტიურ ინტერესებზე, ღირებულებებსა და სტატუსზე, ნაკლებად მძლავრი, მაგრამ მიუხედავად ამისა, კარგად ორგანიზებული, პროფესიონალები არიან საჯარო სექტორში. პრაქტიკულად, ყველა სპეციალობას სახელმწიფო და ადგილობრივ მმართველობებში აქვს საკუთარი ეროვნული ორგანიზაცია. მაგალითად, საბინაო პოლიტიკის ჯგუფებში შედიან საბინაო და განაშენიანების ოფიციალური პირების ეროვნული ასოციაცია, სახელმწიფო საბინაო სააგენტოების ეროვნული საბჭო და დიდი დასახლებების საბინაო

ორგანოების საბჭო. მომსახურების მომწოდებელთა ეს გაერთიანებები მნიშვნელოვან ხმად იქცა ღარიბებისთვის ამერიკის პოლიტიკურ პროცესში.


ამერიკულ პოლიტიკაში ბიზნეს ინტერესთა ჯგუფები მთავარ როლს თამაშობენ. ბიზნესი იყენებს გავლენის პირდაპირ ბერკეტებს. მრავალეროვნულ კორპორაციებს უზარმაზარი რესურსები მოაქვთ თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ისინი, როგორც წესი, მრავალი სავაჭრო ასოციაციის წევრები არიან, რომლებიც წარმოადგენენ ინდუსტრიის ძირითად შეხედულებებს პოლიტიკურ პროცესში.

კიდევ ერთ კატეგორიას განეკუთვნება სამთავრობათშორისო ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ერთეულებს, რომლებიც ლობირებენ თავიანთ ინტერესებზე ეროვნულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფებს არ აქვთ ოფიციალური როლი აშშ-ს ფედერალურ სისტემაში, რომელიც ხელისუფლებას ჰყოფს ეროვნულ, სახელმწიფოებსა და ადგილობრივ მმართველობებს შორის, ისინი ფუნქციონირებენ ისევე, როგორც სხვა დაინტერესებული ჯგუფები. ანუ, ისინი წარმოადგენენ თავიანთი წევრების შეხედულებებს კონგრესსა და ადმინისტრაციაში და ამზადებენ საქმეს მედიაში თავიანთი პოზიციონირებისთვის, მაგალითად, გუბერნატორთა ეროვნული ასოციაცია (NGA) და სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს ეროვნული კონფერენცია წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეებს. ინტერესთა ჯგუფის ტიპი, რომელიც განიცდის ყველაზე სწრაფ ზრდას 1970 წლიდან არის „საზოგადოებრივი ინტერესის ჯგუფი“. პოლიტოლოგი ჯეფრი ბერი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ინტერესის ჯგუფს, რომელიც მხარს უჭერს მიზნებს, რომლებიც მისი წევრებისთვის არ არის პირდაპირი მატერიალური სარგებლობის მომტანი, არამედ გამოხატავს იმ ღირებულებებს, რომლებიც მთლიანად საზოგადოებას ეხება. საზოგადოებრივი ინტერესის პირველი ჯგუფები გამოიკვეთა 1960-იანი წლების სამოქალაქო უფლებების, ქალთა უფლებების და გარემოსდაცვითი მოძრაობების მიერ. ამ მიზნების მომხრეები ხშირად დროთა განმავლობაში განიცდიდნენ ევოლუციას, რამაც საკუთარი შეხედულებების გამოხატვა ქუჩის პროტესტიდან პოლიტიკურ სისტემაში განხორციელებულ ქმედებებამდე გადაიტანა. მოგვიანებით, საზოგადოებრივი ინტერესების ჯგუფებმა მობილიზაცია მოახდინეს ახალ საკითხებზე, როგორცაა შშმ პირების უფლებები, ძალადობის პრევენცია, უმცირესობათა უფლებები და

ა.შ. ეს ჯგუფები ასევე იყვნენ მთავარი დამცველები, რომლებიც ღარიბებით სარგებლობენ პროგრამებით (Hays; 2015).

შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევები მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის, რომ ინტერესთა ჯგუფის გავლენის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები მოიცავს ჯგუფის ფინანსურ რესურსებს, მისი ლიდერების მენეჯერულ უნარს, ორგანიზაციის ზომასა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარემოსთან შესაბამისობას. ფინანსური რესურსების მნიშვნელობაზე მიუთითებს ქვემოთმოყვანილი სტატისტიკური მონაცემები. დიაგრამა N1-ზე წარმოდგენილია 1998-2019 წლების საერთო დანახარჯები ლობირებაზე აშშ-ში (მილიარდი დოლარი).


დიაგრამა N1: 1998-2019 წლების საერთო ლობისტური დანახარჯები აშშ-ში



წყარო: <https://www.statista.com/statistics/257337/total-lobbying-spending-in-the-us/>

დიაგრამაზე N2-ზე წარმოდგენილია რეგისტრირებული აქტიური ლობისტების რაოდენობა შეერთებულ შტატებში 2000-დან 2019 წლამდე.


დიაგრამა N2: აშშ-ში რეგისტრირებულ ლობისტთა რაოდენობა 2000-2019 წლებში



წყარო: <https://www.statista.com/statistics/257340/number-of-lobbyists-in-the-us/>

დიაგრამა N3 გვიჩვენებს შეერთებული შტატების საუკეთესო ლობისტური ფირმებს 2019 წელს, ხარჯების მიხედვით, რომელთა შორისაც ლიდერობს „ACIN, GUMP და სხვ.“ 42,72 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ხარჯით.


დიაგრამა N3: წამყვანი ლობისტური ფირმების დანახარჯები



წყარო: <https://www.statista.com/statistics/257372/top-lobbying-firms-in-the-us-by-expenses/>

ამერიკის შეერთებული შტატების არაერთი მთავარი ტექნოლოგიური კომპანია ლობირებს ფედერალურ მთავრობას იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ბიზნესზე. 2019 წელს ამაზონი იყო ტექნიკური ინდუსტრიის უმსხვილესი ლობისტური სპონსორი, რომელმაც კალენდარული წლის განმავლობაში ლობისტური საქმიანობისთვის 16 მლნ აშშ დოლარი გამოიყი (დიაგრამა N4).

დიაგრამა N4: ციფრული კომპანიების მიერ ლობისტურ საქმიანობაზე გაღებული დანახარჯები




წყარო: <https://www.statista.com/statistics/257364/top-lobbying-industries-in-the-us/>

2019 წელს აშშ-ში ფარმაცევტული და ჯანმრთელობის პროდუქტების ინდუსტრიამ ყველაზე მეტი დანახარჯა ლობირების ძალისხმევაზე, რაც მთლიანობაში დაახლოებით 295.17 მილიონი აშშ დოლარია (Statista.com). თუ კოვიდ-19-ით გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებულ გარემოებებს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფარმაცევტული ინდუსტრია კვლავ შეინარჩუნებს წამყვან პოზიციას მოცემულ რეიტინგში. ლობისტურ დანახარჯებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონკრეტული ფარმაცოლოგიური პროდუქციის საყოველთაო გავრცელება, შესაძლოა იყოს არა ეფექტიანობით, არამედ მისი წარმატებული ლობირების დამსახურებით გამოწვეული. გარდა ამისა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლობისტური ორგანიზაცია არის იარაღის ეროვნული ასოციაცია (NRA), რომელიც კანონმდებლებს ლობირებს იარაღის უფლებების

სასარგებლოდ. თუმცა, ამის მიუხედავად, მან მხოლოდ დახარჯა დაახლოებით 860,000 აშშ დოლარი ლობის ხარჯებისთვის 2019 წელს (დიაგრამა N5).

დიაგრამა N5: აშშ-ს წამყვანი ლობისტური ინდუსტრიები ლობისტური დანახარჯების მიხედვით




წყარო: <https://www.statista.com/statistics/257364/top-lobbying-industries-in-the-us/>

აღსანიშნავია, რომ ჩამონათვალს მცირედით ჩამორჩება უძრავი ქონების (88 მლნ), განათლებისა (80 მლნ) და კომერციული ბანკების (60 მლნ) ინდუსტრიაში მოქმედ ინტერესთა ჯგუფების ლობისტურ საქმიანობაზე დახარჯული თანხები.

დიაგრამაზე N6 მოცემულია 2019 წელს შეერთებულ შტატებში ლობირების საერთო ხარჯები სექტორების მიხედვით, სადაც მოწინავე პოზიციას ჯანდაცვის სფერო იკავებს.


დიაგრამა N6: ლობისტური საქმიანობის დანახარჯები სექტორების მიხედვით (2019 წ.)



წყარო: <https://www.statista.com/statistics/257368/total-lobbying-expenses-in-the-us-by-sector/>

დიაგრამაზე N7-ზე ნაჩვენებია, რომ 2019 წელს, ყველაზე მთავარი ლობისტური სპონსორი აშშ-ს საგაჭრო პალატა იყო, რომლის ჯამური დანახარჯი ლობირებაზე 77.25 მილიონი აშშ დოლარია.

დიაგრამა N7: წამყვანი ბიზნეს ასოციაციები აშშ-ში ლობისტურ დანახარჯების მიხედვით



წყარო: <https://www.statista.com/statistics/257344/top-lobbying-spenders-in-the-us/>

მიმდინარე თავში განხილულ ინტერესთა ჯგუფების მრავალგვარობას აშშ-ს მაგალითზე, ხსნის კვლევა (Loomis and Cigler, 2002), რომლის მიხედვითაც ინტერესთა

ჯგუფების მრავალფეროვნებას აშშ-ში მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი, ეს არის სახელმწიფო, რომელიც მრავალი თვალსაზრისით ჰეტეროგენულია: არსებობს განსხვავებები მის გეოგრაფიაში, კლიმატში, ეკონომიკურ პოტენციალში, კულტურაში, ეთნიკურობასა და რელიგიაში. ეს მრავალფეროვნება წარმოშობს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მიმართულებებს, რის საფუძველზე იქმნება ახალი მოძრაობები და ასოციაციები. გარდა ამისა, კონსტიტუციით გარანტირებული სიტყვის თავისუფლება, ხელისუფლების სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების მკვეთრი დაცალკეება შედარებით მარტივს ხდის ინტერესთა ჯგუფების მიერ გავლენის მოხდენას. ამ ყველაფერს ხელს უწყობს ფედერალიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ ჯგუფებს მოახდინონ გავლენა პოლიტიკაზე ფედერალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე. დაბოლოს, ისეთი ღირებულებები, როგორცაა ინდივიდუალიზმი და "ბედნიერებისაკენ სწრაფვა", ამერიკელებს აღუძრავს მოტივაციას შექმნან ან შეუერთდნენ ჯგუფებს, რათა თავიანთი ინტერესები და სურვილები მთავრობის ყურადღების ცენტრში მოაქციონ,

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხასიათდება სხვადასხვა სექტორში არსებული ინტერესთა ჯგუფების მრავალგვარობით, რომელთა მიერაც აქტიურად ხდება ლობისტური ინსტრუმენტის გამოყენება ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად, რაზეც მათ მიერ გაღებული ფინანსური დანახარჯების რაოდენობაც მეტყველებს.

2.2. ინტერესთა ჯგუფების ფორმირების და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის თავისებურებები ევროკავშირში

მიმდინარე თავში განხილულია ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის პროცესი ევროკავშირის სახელმწიფოებში, რამეთუ, კვლევის პროცესში, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გამოკვლევულიყო ინტერესთა ჯგუფების საქმიანობა არამხოლოდ ეროვნულ, არამედ ზეეროვნულ დონეზე.

ინტერესთა ჯგუფების მნიშვნელობის მატებასთან ერთად გაიზარდა კვლევათა რაოდენობა, რომელიც ფოკუსირებულია როგორც ეროვნულ (Baumgartner et al. 2009; Bernhagen, 2012; McKay, 2011; Nelson and Yackee 2012) აგრეთვე ევროკავშირის დონეზე მოქმედი ინტერესთა ჯგუფებისა და ლობისტების ანალიზზე (Dur and De Bievre, 2007; Mahoney, 2007; Schneider et al. 2007; Kluver, 2013), ხოლო სხვები ევროპეიზაციას ზოგადად მოიხსენიებენ, როგორც პროცესს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ინტერესთა ჯგუფები ადაპტირდნენ მოხდინათ გავლენა ევროპულ ინტეგრაციაზე (Goetz, 2000; Ladrech 2005; Green Cowles et al. 2001; Harmsen, 1999; Kassim et al. 2000; Knill, 2001; Olsen, 2003).

დემოკრატიის საბაზისო პრინციპი ეფუძნება მოქალაქეთა ჩართულობის მაქსიმალურ გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Pollack, 2003). გარკვეული მოსაზრებით, ინტერესთა ჯგუფების შუამავლობა ამ ჯაჭვში, არ ითვლება მნიშვნელოვან ელემენტად, რადგან ისინი არ წარმოადგენენ უშუალოდ მოქალაქეების მიერ არჩეულ აქტორებს (Warleigh, 2001). საპირისპირო მოსაზრებით, ასოციაციათა წარმომადგენლობა ევროპულ დონეზე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მმართველობის დემოკრატიული ხასიათის გაძლიერებას (Kohler-Koch and Eising, 1999; Schmitter, 2000). მსგავსი არგუმენტის მატარებელი სამეცნიერო ლიტერატურა 1990-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა (Mazey and Richardson, 1993, 2006; Greenwood, 1997, 2003). მეტი ყურადღება დაეთმო არასახელმწიფოებრივ აქტორთა როლს ევროპული პოლიტიკის ფორმირებასა (Warleigh and Fairbrass, 2002; Kohler-Koch and Eising, 2005) და მრავალდონიან მმართველობაში მონაწილეობაში (Kohler-Koch and Eising, 1999; Richardson, 2000; Knill, 2001; Mahoney,

2004), აქტუალური გახდა თეორიული ჩარჩოს შემუშავების (Bouwen, 2002) და ინტერესთა ჯგუფების გავლენის გაზომვის (Bouwen, 2002; Beyers, 2002) მცდელობა, რომლის შესწავლისას როგორც აშშ-ს, ასევე, ევროკავშირის მაგალითზე, მნიშვნელობა მიენიჭა ლობირების ემპირიულ კვლევას (Baumgartner and Leech, 1998) მისი შემადგენელი ინდივიდუალური ელემენტების გათვალისწინებით (Woll, 2005). ზოგიერთი მკვლევარი კი ინტერესთა ჯგუფებს, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის ნაწილს, მიიჩნევს მნიშვნელოვან ელემენტად ევროკავშირის დემოკრატიულობის დეფიციტის აღმოფხვრის მიმართულებით (Schmitter, 2000; Michalowitz; Knill, 2001; Greenwood, 2003; Pollack, 2003). თუმცა, ვარლეიჰის აზრით, ინტერესთა ჯგუფი ვერ განიხილება ამ ჯაჭვის დამაკავშირებელ რგოლად, რადგან მოქალაქეები არ ირჩევენ მათ. მათი მიზანია არა ფართო სპექტრის ინტერესების წარმოჩენა, არამედ მათი წევრების განსაკუთრებული ინტერესები, იქნება ეს საზოგადოებრივი თუ ბიზნეს ინტერესი (Warleigh; 2011), მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო იზრდება ზეეროვნული გაერთიანებების გავლენის მასშტაბები სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკაზე (Mazey and Richardson, 1993, 2001; Kohler-Koch and Eising, 2005). მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კონფლიქტი მათ, როგორც კერძო აქტორებსა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს შორის. კონფლიქტის ხარისხი საბოლოო შედეგის პირდაპირპროპორციულია (Pijnenburg, 1998).

ევროპეიზაციის პროცესი შეიძლება გაანალიზებულ იქნას ორი მიმართულებით: ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ. პირველ შემთხვევაში ევროპეიზაციის მამოძრავებელი ძალა არის ევროკავშირი ან რომელიმე ევროპული ინსტიტუტი, ხოლო მეორე მხრივ, 1990-იან წლებში ევროკავშირის ფინანსური სერვისების სექტორში გაზრდილი ლობისტური საქმიანობა სფეროს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ევროკავშირში ბიზნეს ინტერესის წარმომადგენლობის ლოგიკის შესწავლის მიზნით. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ევროპის პოლიტიკურმა ლიდერებმა ყურადღება გაამახვილეს ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მშენებლობაზე, მაგრამ მათ ვერ შეძლეს წვერი ქვეყნის ფინანსური მომსახურების ბაზრების ინტეგრაციისთვის საჭირო მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის განვითარება. (Zavvos, 1994; Dyson and Featherstone, 1999). იმის გამო, რომ ერთიანი ვალუტის წარმატება გარანტირებული ვერ

იქნებოდა სრულყოფილად ფუნქციონირებადი ფინანსური ბაზრების გარეშე, 1998 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა ფინანსური სერვისების სამოქმედო გეგმა, რათა ახალი იმპულსი მიეცა ერთიანი ფინანსური ბაზრის მშენებლობისთვის (Mogg, 1999). შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს ინტერესთა ჯგუფებმა უდიდესი როლი ითამაშა ევროპეიზაციის მამოძრავებელ ძალებს შორის (Cowles, 1997; Collignon and Schwarzer, 2005; Sandholtz and Zysman, 1989). დაინტერესებული ჯგუფების რაოდენობა, რომლებიც ორგანიზებულად მუშაობენ ევროკავშირის დონეზე, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მუდმივად იზრდება. ეს მზარდი ტენდენცია პირდაპირ კავშირშია ევროკავშირის კომპეტენციის თანდათანობით გაფართოებასთან დაკავშირებულ რიგ ახალ სფეროებში, აგრეთვე ახლანდელი და მომავალი წევრების მიერ მიღებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა მნიშვნელობის გადაწყვეტილებებზე. კანდიდატი ქვეყნებიდან ჯგუფები უკვე გახდნენ გამოცდილი ევროჯგუფების ასოცირებული წევრები, მაგალითად, BEUC (მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ასოციაცია), ETUC (ევროპული პროფკავშირული კონფედერაცია), UNICE (ევროკავშირის კავშირი ევროკავშირის დამსაქმებელთა და სამრეწველო კონფედერაციებთან), ევროპის ეკონომიკური პალატები და სხვ. (Vidacak, 2003).

ლობირების ეფექტიანობა ევროკავშირში ყოველთვის დამოკიდებული იყო ყველა შესაძლო პოლიტიკური და საკომუნიკაციო არხის გამოყენებასთან. თუმცა, ცვლილებებმა ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციებში, ერთიანი ბაზრის დამკვიდრებამ და ახალმა ინტერესებმა პოლიტიკურ ორბიტაზე, შიდა ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკური ხასიათი და სტრუქტურა ჩანაცვლა გაზრდილი მასშტაბებით - საერთაშორისო მოქმედებებით, საწარმოთა გაერთიანებებითა და პოლიტიკური ალიანსებით. შესაბამისად, ლობირება წარმოდგენილია, როგორც აქტივობების ერთობლიობა მრავალ დონეზე, სადაც შეზღუდულია ინსტიტუტებთან ხელმისაწვდომობა, გასათვალისწინებელია ჯგუფის ზომა, ლობირების ბიუჯეტი, წარმოშობა და პოლიტიკური არეალი (Alber and Geiger, 2014). მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ თანამედროვეობაში წარმოდგენილი ინტერესთა ჯგუფების მიერ მკაფიოდ არის გააზრებული ევროკავშირის პოლიტიკაზე ზეგავლენის მომხდენი სტრატეგიები (Coen, 1997; Mahoney, 2004; Mazey and Richardson, 2006; Bouwen and McGowan, 2007; Beyers and Kerremans, 2007), ხოლო ლობისტების ინფორმაციული

უპირატესობა ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია, რადგან როგორც ბიუროკრატები, ისე კანონმდებლები მოითხოვენ სპეციალურ ცოდნასა და ექსპერტიზას ორგანიზაციების მხრიდან (Bouwen, 2002). იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ ინტერესთა ჯგუფები უკეთ არიან ინფორმირებულნი მათთვის აქტუალურ საკითხებზე, ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ პოლიტიკის შექმნის პროცესში, როცა ამ ინფორმაციას აწვდიან კანონმდებლებს (Broscheid and Coen, 2003; Crombez, 2002).

ევროპეიზაცია ქვეყნების ან სუბეროვნული აქტორების ძალისხმევით მიმდინარეობს. წარმატებული ევროპეიზაციისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ზემოდან (ევროკავშირიდან) მომდინარე სტიმული, თუმცა, არ გამოვირიცხავთ, რომ მამოძრავებელი ძალა შეიძლება სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებიც იყოს (კაპანაძე, 2009). 1992 წლის გეგმამ ერთიანი ევროპული ბაზრის შესახებ, მნიშვნელოვნად შეუყო ხელი ეროვნულ დონეზე მოქმედი ინტერესთა ჯგუფების ევროკავშირის მასშტაბით გააქტიურებას (Mazey et al. 1993), რადგან ეს იყო ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი, როცა ზეეროვნულმა გადანწყვეტილებამ გავლენა იქონია ეროვნულ პოლიტიკაზე. ევროპული ინსტიტუტების დინამიკურ განვითარებასთან ერთად გაიზარდა დაინტერესებული ორგანიზაციების რაოდენობა ევროპულ დონეზე (Charrad, 2011).

დღესდღეობით, კი ევროპულ დონეზე მოქმედი კერძო აქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ბიზნეს ინტერესები და არასამეწარმეო ინტერესები. ბიზნეს ჯგუფები ფართოდ განიხილება, როგორც ევროკავშირის ასპარეზზე, როგორც რიცხოვრივი, ასევე, პოლიტიკური დომინირების მხრივ (Jordan, 1998; Kohler-Koch, Conzelmann et al. 2004), რამეთუ მათი რიცხოვნობის ზრდა ევროკავშირის ინსტიტუტთა კომპეტენციის ზრდის პირდაპირპროპორციულია (Greenwood, 2003), რადგან ევროპული ინტეგრაციის პირველ ხანებში, ევროპულ დონეზე ბიზნესის ინტერესების გავლენის შესახებ საკითხი ნამდვილად არ იყო აქტუალური (Majone, 1994; Van Schendelen, 1994). ლობირების ევროპეიზაციის მიზეზი იყო ის, რომ პოლიტიკის მნიშვნელოვან სფეროებში, როგორცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, დასაქმება, გარემოსდაცვითი სტანდარტები და კონკურენციის კანონი - თანდათანობით წევრმა სახელმწიფოებმა დაიწყეს რეგულირების უფლებამოსილების დელეგირება ევროკავშირში (Coen, 2007). ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით,

ევროკავშირის ზოგიერთი ინსტიტუტი, მაგალითად, ევროპარლამენტი, იძლევა შესაძლებლობებს იმ პერიფერიულ ინტერესთა ჯგუფების მოქმედებისთვისაც კი, რომლებიც სუსტად ორგანიზებულნი არიან შიდა დონეზე (Marks and McAdam, 1996; 1999; Fairbrass and Jordon, 2001; Keck and Sikkink, 1998). ბეიერსის მიხედვით, აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ერთგვარ კომპენსაციას, რითაც ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც არ აქტიურობენ შიდა ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად, მეტი სტიმული უნდა ჰქონდეთ ევროკავშირის დონეზე მოქმედებისთვის (Beyers; 2002).

ბუვენი კი ინტერესთა ჯგუფების მიერ ევროკავშირის კანონდებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ კატეგორიზაციას გამოყოფს:

1. ცოდნა და ექსპერტიზა კონკრეტული საკითხის გარშემო, რომელიც ეფუძნება გამოცდილებას (Expert Knowledge). მაგ., Deutsche Bank-ის მიერ მოწოდებული ტექნიკური ექსპერტიზა ევროკავშირის ოფიციალური პირებისა და პოლიტიკოსებისთვის, რათა გაეცნონ ახალ დეტალებს, რომლებიც საჭიროა ახალი დირექტივის შესაქმნელად;
2. ინფორმაცია ევროპული ინტერესების განსაზღვრისთვის (Information about the European Encompassing Interest), მაგ., მაგალითად: ევროპული ბანკების ასოციაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია თავისი წევრი ორგანიზაციების ინტერესების შესახებ, გირაოს ახალი დირექტივის მიმართ და სხვ;
3. ინფორმაცია შიდა ინტერესების განსაზღვრისთვის (Information about the Domestic Encompassing Interest), მაგ., ბრიტანეთის ბანკირთა ასოციაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმ ინტერესების შესახებ, რომელიც აქტუალურია ასოციაციის წევრი ორგანიზაციებისთვის (Bouwen, 2004).

თუმცა, მრავალდონიანი და სეგმენტირებული ევროპული ინსტიტუციონალური გარემო უფრო მეტად უწყობს ხელს ინტერესის შუამავლობის არაფორმალური მეთოდების გამოყენებას (Schmitter 1991). სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ საკუთარი წევრი ქვეყნის წარმომადგენლების დონეზე ლობირება წარმატების ალბათობას ზრდის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებში იმავე

საკითხზე მომუშავე ორგანიზაციებსა და პლატფორმებთან. ასევე, სასურველია, კოალიციების შექმნა ერთი წევრი სახელმწიფოს ფარგლებში, რადგანაც „ამ ხერხით წარმოთქმული სიტყვა უფრო ხმამაღლა გაჟღერდება“ (ჰორემოვა და რიჰაჩკოვა; 2014).

ოსლოს უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკვლევის „ბიზნეს ინტერესთა ხელმისაწვდომობა ევროკავშირის ინსტიტუტებისადმი“ ფარგლებში გაანალიზებულია ბიზნეს ასოციაციების არათანაბარი წვდომა ევროკავშირის ინსტიტუტებთან, რაც მიკერძოებული პოლიტიკით აიხსნება. რესურსების განაწილების ორგანიზაციული თეორიის საფუძველსა და 800-მდე ეროვნულ და ევროპულ ბიზნეს ჯგუფების გამოკითხვაზე დაყრდნობით, კვლევაში შემოთავაზებულია დასკვნა, რომ ევროპული პოლიტიკის კონცეფცია ეფუძნება - ორგანიზაციულ მახასიათებლებს, დარგობრივ-ეკონომიკურ მახასიათებლებსა და შუამავლობას ეროვნულ ინტერესებთან (Eising, 2007).

ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის ურთიერთობები მთავარი ელემენტია ევროკავშირის მმართველობაში. თუმცა, მეცნიერთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ინტერესთა ჯგუფების ქმედებები ქმნიან მიკერძოებული პოლიტიკის საფუძველს (Coen, 1998; Schmidt, 1999), რაც ძირს უთხრის ევროკავშირის ინსტიტუციების ლეგიტიმურობას (Caporaso et al. 2001). ამის მიუხედავად, სისტემური კვლევები უფრო მეტად მოიცავს ინტერესთა ჯგუფების კვლევის შედარებით ვიწრო ასპექტს და გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა ინტერესთა წარმომადგენლობას ევროკავშირის, და არა ეროვნულ დონეზე (Mazey and Richardson, 1993; Greenwood, 2002; Mahoney, 2004). რამდენიმე ნაშრომი ფოკუსირებულია ეკონომიკური სექტორების საერთაშორისო შედარებაზე (Cowles et al., 2001). რაოდენობრივი კვლევებიც, ძირითადად, ევროკავშირის წევრი ერთი რომელიმე ქვეყნის ანალიზით შემოიფარგლება (Beyers, 2002) და ორიენტირებულია სპეციფიკურ საკითხებზე (Bouwen, 2002) ან ეროვნულ პოზიციებზე ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირების საკითხში (Baltz et al. 2005).

პოლიტიკის შემუშავებისას ეროვნული ინტერესების შუამავლობისა და სისტემური ფაქტორების მნიშვნელობას ხაზს უსვამს ვივიენ შმიდტი (Schmidt, 1999). საპირისპიროდ, სექტორულ მახასიათებლებს ანიჭებს მნიშვნელობას გერდა ფალკნერი (Falkner, 2000) და

თვლის, რომ ინტერესთა წარმომადგენლობა განსხვავდება სექტორების მიხედვით. პიტერ ბუვენი (Bouwen, 2002) კი ორიენტირებულია ორგანიზაციულ მახასიათებლებზე. კვლევის შედეგების მიხედვით, სამივე განზომილება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბიზნეს-ინტერესების მქონე ორგანიზაციების ანალიზის დროს. არასაკმარისია მხოლოდ ორგანიზაციულ, დარგობრივ (სექტორული) ან ეროვნულ ფაქტორებზე ფოკუსირება, რადგან რომელიმე მათგანის გამორიცხვა ვერ იძლევა სრულყოფილი კვლევის შესაძლებლობას (Eising, 2005).

ზოგადად, ევროკავშირის ინსტიტუტები საკმაოდ ღიაა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის (Mazey and Richardson, 1993, 2002). აღსანიშნავია, რომ LobbyFacts (2014)-ის მონაცემებით, აშშ-ის კორპორაციები გამოირჩევიან ყველაზე მაღალი ფინანსური დანახარჯით ევროკავშირის ლობირებაში. ევროპარლამენტის შინაგანი ორგანიზაციის განხილვამ აჩვენა, რომ ეკონომიკური და სავალუტო საკითხები წარმოდგენს ევროკავშირის ფინანსური სერვისების სფეროში საკანონმდებლო ლობირების მთავარ საკითხს (Bouwen, 2004). სტანდარტულ საკანონმდებლო პროცედურაში ევროკომისია დიდ როლს თამაშობს, რადგანაც ის პროცესის ყველა ეტაპზეა ჩართული. ევროკომისიას უფლება აქვს, მეორე წაკითხვამდე ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილება ან უკან გამოითხოვოს კანონპროექტი (ჰორემოვა და რიჰაჩკოვა; 2014). თუმცა, ინტერესთა ჯგუფების წინაშე მდგარ გამოწვევებს შორის, საკითხის სპეციალისტთა მეორე ნაწილი ასახელებს ევროკავშირის მრავალდონიან სტრუქტურას, ბიუროკრატიული მექანიზმების სირთულესა და შესაბამისად, ჩართულობის შეზღუდვებიდან გამომდინარე ნაკლებ დემოკრატიულობას. ეს ითვლება ერთგვარ დილემად მეცნიერთა შორის, რადგან მეორე მხრივ, სახეზეა აზრთა გაცვლის თავისუფალი მონაწილეობის სისტემა საზოგადოების წევრებისთვის (Knill, 2001; Greenwood, 2003).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ სახელმწიფოებში ინტერესთა ჯგუფების გააქტიურების მხრივ დიდი როლი ითამაშა როგორც ევროკავშირის შექმნამ, აგრეთვე, შემდგომი გაფართოებების პროცესმა, რომლის დროსაც კანდიდატი სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი ხდება

ევროკავშირის დონეზე სასურველი ინტერესის ადვოკატირება ან არასასურველი გადანაცვებებისთვის ხელის შეშლა.

2.3. ინტერესთა ჯგუფების შედარებითი ანალიზი აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში

მოცემულ ქვეთავში შედარებულია აშშ-სა და ევროკავშირში მოქმედი ინტერესთა ჯგუფების საერთო მახასიათებლები და განმასხვავებელი ნიშნები პლურალისტური და კორპორატისტული თეორიების კონტექსტით.

იდეოლოგიისგან თავისუფალი სახელმწიფოებრიობა არ არსებობს, ხოლო თავის მხრივ, იდეოლოგიის ფორმები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი - დანყებული კლასიკური მონარქიიდან დამთავრებული სოციალისტური იდეოლოგიით (ბერიძე; 2019). ხოლო ინტერესთა ჯგუფების დემოკრატიულ საზოგადოებებში ეკონომიკურ-პოლიტიკური გადანყვეტილებების შემუშავების პროცესთან კავშირის ასახსნელად, მკვლევარებმა შეიმუშავეს პლურალისტური მოდელი და კორპორატისტული მოდელი. თითოეული მიმდინარეობა გვიხსნის განსხვავებას ინტერესთა ჯგუფების ფორმირებასა და აქტივობებს შორის აშშ-სა (პლურალისტური) და ევროპის (კორპორატისტული) მაგალითზე.

„პლურალიზმი გულისხმობს მოსაზრებათა მრავალფეროვნების არსებობასა და მათ აღიარებას. მოსაზრებათა ეს მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა სახელმწიფოს მივანოდოთ საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ღირებულებები, ინტერესები და პრობლემები მათი განხილვისა და გადანყვეტის მიზნით“ (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი). პლურალიზმის ელემენტებია: ინდივიდთა უფლებების დაცვა, პოლიტიკური გამჭვირვალობა, მოქალაქეთა მიერ გადანყვეტილების მიღებაში ჩართულობა და კომპრომისი ერთიანი მიზნის მისაღწევად (Bouwen, 2004), ხოლო ინტერესთა ჯგუფების ქმედება ე.წ. „bottom-up“ პროცესია - ჯგუფები ცდილობენ გავლენის მოხდენას იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებზე, რომელთაც თავის მხრივ არ გააჩნიათ რაიმე მოთხოვნები ამ ჯგუფებისადმი. უილიამსონის (Williamson, 1989) მიხედვით, სახელმწიფო განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფების დაპირისპირების არენაა. პლურალიზმის კრიტიკოსები კი, ინტერესთა ჯგუფების მოქმედებას, „bottom-up“-ის პრინციპის ნაცვლად, განიხილავენ როგორც „top-down“, ანუ ე.წ. ზემოდან მართულ პროცესს, სადაც სახელმწიფო აქტიურ როლს თამაშობს.

რაც შეეხება კორპორატიზმს, ამ სისტემაში საზოგადოება განიხილება, როგორც კორპორატიული, ანუ ერთიანი და იერარქიული, რომელშიც მთავრობა დომინირებს და საზოგადოების ყველა სექტორი (მაგ., ბიზნესი, სამხედრო და შრომა) ვალდებულია იმუშაოს საზოგადოების ინტერესებისთვის. როგორც ეს განსაზღვრულია მთავრობის მიერ. ნეო-კორპორატიზმი, თეორიულად, ემყარება მთავრობასა და ბიზნეს ინტერესებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველს. მაგ., შვედეთი მიეკუთვნება ქვეყნების უფრო ფართო ჯგუფს, რომელსაც ახასიათებს "კორპორატიზმი", ანუ ინსტიტუციონალური კონტაქტების, მოლაპარაკებებისა და სახელმწიფოსა და ორგანიზებულ სოციალურ ინტერესებს შორის ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების სისტემა. კორპორატიული ლოგიკა ემყარება წინაპირობას, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ პოლიტიკაზე ორი განსხვავებული გზით - კენჭისყრით ზოგად არჩევნებში („საარჩევნო არხი“) და ინტერესთა ჯგუფებში („კორპორატიული არხი“) წევრობის გზით (Rokkan, 1999). პლურალისტები ამტკიცებენ, რომ თეორიულად, სხვადასხვა ინდივიდები, პოლიტიკური პარტიები და ინტერესთა ჯგუფები კონკურენციას უწევენ მთავრობას. ამასთან, პრაქტიკაში, პლურალიზმი ხშირად ნაკლებადაა წარმოდგენილი როგორც იდეალური სისტემა, პოლიტიკის ცვლილების მისაღწევად. პირველი, სხვადასხვა ჯგუფს აქვს სხვადასხვა რესურსი; ასეთმა უთანასწორობამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკის გავლენის წონასწორობის დამყარება უკეთესად ორგანიზებულ და უკეთესი ფინანსური ჯგუფების სასარგებლოდ. მეორე, მთავრობა იშვიათად არის ნეიტრალური კონფლიქტების მოგვარების პროცესში: ის ხშირად ემხრობა ზოგიერთ ჯგუფს სხვებზე მეტად, რადგან ეს დამოკიდებულია მათზე. მაგალითად, მთავრობამ შეიძლება დაეყრდნოს დიდ ინდუსტრიას, შესაბამისად ამ ინტერესებს უფრო მეტი გავლენა ექნება ამ მთავრობაზე, ვიდრე იმათ, რომელთაც არ ენდობიან. იმ ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ რესურსები და კავშირი - ელიტარულ ჯგუფებს - აქვთ უპირატესობა იმ ბრძოლაში, რომელსაც მოსმენა უნდა მოჰყვეს ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ინტერესთა ჯგუფების ფუნქციონირების თავისებურებები აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში განსხვავებულია. აშშ-ისთვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ინტერესთა ჯგუფებით წარმოდგენილი სისტემა,

რომელიც ერთგვარ კონკურენციას უწევნ მთავრობას. ხოლო ინტერესთა ჯგუფებს შორის ორგანიზაციული და ფინანსური რესურსების განსხვავების დონე, შესაძლოა გახდეს უკეთესად ორგანიზებული და ფინანსური ჯგუფების დომინირების საფუძველი. ხოლო ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მეტნაკლებად წარმოდგენილია სახელმწიფოსა და ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის ერთობლივი გადანაცვტილების მიღების სისტემა, ხოლო ინტერესთა ჯგუფის წევრობა განიხილება სამთავრობო გადანაცვტილებებზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი ეფექტიანი გზა.

თავი III. საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის ხარისხის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზი

3.1. ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში

მოცემულ თავში განხილულია საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების ეტაპები. სამოქალაქო აქტივობის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემო, კონკრეტულად, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან დღემდე, სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევები სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების თვალსაზრისით.

თანამედროვე გაგებით, „სამოქალაქო საზოგადოება“ მოიცავს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების მთელ სპექტრს და საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნის მქონე ინტერესთა ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასოციაციებს, სოციალურ ჯგუფებს და ა.შ. თუმცა, „სამოქალაქო საზოგადოების“ ცნების არსებობას დიდი ისტორია აქვს და ის პირველად ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა, არისტოტელემ (ძვ. წ. აღ. 384-322) გამოიყენა გარკვეული პოლიტიკური მოწყობის ფორმაში მცხოვრები თავისუფალი და თანასწორი მოქალაქეების აღსანიშნავად.

სამოქალაქო საზოგადოების კვლევა დიდი ხანია სამეცნიერო სფეროს ინტერესის საგანია. ადამ ფერგიუსონის ნაშრომში (1767) „სამოქალაქო საზოგადოების ისტორიის გამოცდილება“, ხაზგასმულია სამოქალაქო საზოგადოების დაპირისპირება სახელმწიფოსთან - არისტოკრატიული საზოგადოების კომერციულ საზოგადოებად გარდაქმნის მაგალითზე. ფერგიუსონი გამოკვეთდა ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ცვლილებას და სვამდა კითხვას, თუ როგორ შეიძლება შრომის დანაწილებაზე დაფუძნებულ ახალ წესრიგში, მოქალაქე არ აღმოჩნდეს დამონებული სახელმწიფოს მიერ. ადამ სმიტი (1776) ნაშრომში „კვლევა ერების სიმდიდრის ბუნებისა და

მიზნების შესახებ“ თვლის, რომ ინდივიდის საქმიანობას ძირითადად ეფუძნება ინდივიდუალური კეთილდღეობის ამალღებისადმი სწრაფვას.

სამოქალაქო საზოგადოებასა და დემოკრატიულ პოლიტიკურ საზოგადოებას შორის ურთიერთობა განხილულია ფრიდრიხ ჰეგელის (1820) კლასიკურ ლიბერალურ ნაშრომებში. ჰეგელის აზრით, სამოქალაქო საზოგადოება არის დამოუკიდებელ ინდივიდთა და ოჯახთა სიმრავლე, რომელთა საფუძველია შრომა და ეკონომიკურ და სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. თუმცა, საზოგადოების წევრები არ არიან თანასწორნი და მათი ურთიერთობაც უკიდურესად წინააღმდეგობრივია. „სამოქალაქო საზოგადოება არის ინდივიდუალური კერძო ინტერესთა ბრძოლის, ყველასი ყველას წინააღმდეგ ბრძოლის ველი“ (ტომი მე-7; 314).

ჰეგელის ნაშრომებში დანყებული ტრადიცია სამოქალაქო და პოლიტიკურ საზოგადოებას შორის ურთიერთობაზე განავრცო ალექსის დე ტოკვილმა (1840) ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“. ფრანგი მოაზროვნის აზრით, აუცილებელია სახელმწიფოსა და ადამიანს შორის არსებობდეს სხვადასხვა ინტერესების გარშემო შექმნილი ჯგუფები და ასოციაციები, რომელიც მოქალაქეს იცავს დიქტატურისგან, ხელს უწყობს მის თავისუფალ განვითარებას საზოგადოებაში და აყალიბებს ინდივიდის კავშირს სახელმწიფოსთან. ჰეგელის მოსაზრებებს სამოქალაქო საზოგადოების თაობაზე აკრიტიკებდა კარლ მარქსი (1844) და თვლიდა, რომ სახელმწიფო არის არა საზოგადოებრივ დაპირისპირებაზე მაღლა მდგომი ინსტიტუტი, არამედ გაბატონებული კლასის მიერ გამოყენებული ბერკეტი სხვა კლასების დასამორჩილებლად.

ფერდინანდ ტიონისმა ნაშრომი (1887) „Gemeinschaft und Gesellschaft“ წარმოადგინა დიქოტომია, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისგან განასხვავებდა „თემს“ (Gemeinschaft/community) და „საზოგადოებას“ (Gesellschaft/society). „თემისთვის“ დამახასიათებელია ტრადიციით მიღებული ჩვევების, რწმენისა და ღირებულებების მიმართ ერთგულება, ნათესაური კავშირების პრიორიტეტულობა, კოლექტივიზმისკენ მისწრაფება და ა.შ. ხოლო „საზოგადოება“ გამოირჩევა ინდივიდუალიზმისკენ სწრაფვით

და ორიენტირებულია რაციონალური წესებით მოქმედებასა და არანათესაური გაერთიანებების ჩამოყალიბებაზე.

სამოქალაქო საზოგადოების კვლევის საკითხში, მე-20 საუკუნეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გაბრიელ ალმონდმა და სიდნი ვერბამ. ისინი ერთმანეთისაგან განასხვავებენ ადგილობრივ, დაქვემდებარებულ და მონაწილეობით კატეგორიას (Almond and Verba, 1989).

ამერიკელი მეცნიერი და დემოკრატიის მკვლევარი ლარი დაიმონდი (2002) ნაშრომში „Rethinking civil society: Toward democratic consolidate” სამოქალაქო საზოგადოებას დეფინიციას წარმოგვიდგენს შემდეგნაირად: „სამოქალაქო საზოგადოება ეს არის საზოგადოების ნებაყოფლობითი ორგანიზების ტიპი, სადაც მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამოქალაქო საზოგადოება მოქალაქეთა ერთობაა, რომლის საქმიანობა თავისუფალია სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევისგან. იგი შედგება სხვადასხვა ინტერესებით - ეკონომიკური, კულტურული, სამოქალაქო, სოციალური - გაერთიანებული ჯგუფებისგან, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს, ხელისუფლების ქმედებას, ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლების დაცვას, სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა სრულფასოვანი ჩართვისა და მონაწილეობის ხელშეწყობის გზით.“ ლარი დაიმონდი „სამოქალაქო საზოგადოებას“ ანიჭებს კოლექტიური მოქმედების, ინტერესისა და იდეების გამოხატვის, ინფორმაციის გაცვლის, კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის შუამავლის ფუნქციებს და ამით სრულებით მიჯნავს „საზოგადოებისგან“. მისი აზრით, სამოქალაქო საზოგადოება ერთის მხრივ, ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას, მეორეს მხრივ, ლეგიტიმაციას ანიჭებს მას, თუ ხელისუფლება კანონის უზენაესობას ემყარება.

დაიმონდის აზრით, სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია ათი დემოკრატიული ფუნქცია, რომელსაც ავტორი რანჟირებულად ალაგებს (ნახაზი N9).

ნახაზი N9: სამოქალაქო საზოგადოების 10 დემოკრატიული ფუნქცია დაიმონდის მიხედვით

სამოქალაქო საზოგადოების 10 დემოკრატიული ფუნქცია
❖ სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვა და მოქალაქეთა პოლიტიკურ პროცესებში თანამონაწილეობის უზრუნველყოფა;
❖ დემოკრატიული ნორმებისა და ღირებულებების განვითარება;
❖ ინტერესების გენერირებისა და წარმოჩენის ალტერნატიული არხების შექმნა;
❖ პოლიტიკური კონფლიქტების შემსუბუქება;
❖ ახალი პოლიტიკური ლიდერების გადამზადება;
❖ პოლიტიკური აქტივობებისა და მთავრობის საქმიანობის მიუკერძოებელი მონიტორინგი;
❖ ინფორმაციის გავრცელება, რითაც სამოქალაქო საზოგადოება ეხმარება მოქალაქეებს მათი კოლექტიური ინტერესების დაცვასა და მიღწევაში;
❖ კოალიციების ჩამოყალიბების მხარდაჭერა - ეკონომიკური თუ სხვა სახის რეფორმების განხორციელების დროს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ან პირიქით, არასასურველი რეფორმების წინააღმდეგ ორგანიზება;
❖ პოლიტიკური სისტემის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის, მასში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდით სამოქალაქო საზოგადოება ერთის მხრივ, ლეგიტიმაციას ანიჭებს სისტემას და მეორეს მხრივ, სახელმწიფოსადმი პატივისცემას ამკვიდრებს მოქალაქეებში

წყარო: (Diamond, 1996; 11)

განვითარების მანძილზე „სამოქალაქო საზოგადოების“ ცნებამ რადიკალური ცვლილებები განიცადა და მრავალფეროვანი დატვირთვა შეიძინა. ინდუსტრიული რევოლუცია, საბაზრო ეკონომიკის განვითარება, შრომის დანაწილება, ტრადიციული საზოგადოებრივი კავშირების რღვევის ფონზე საზოგადოებრივი ურთიერთობების

რაციონალიზაცია და ფორმალიზება - ეს ის ფაქტორებია, რამაც ხელი შეუწყო ერთი მხრივ ეროვნულ სახელმწიფოებს ჩამოყალიბებულიყვნენ მათი დღევანდელი ფორმით და მეორე მხრივ - სახელმწიფოსგან გამოყოფილ სამოქალაქო საზოგადოებას. ორ პოლუსს (1. ცენტრალიზებული სუბიექტი, მარეგულირებელი ორგანო და სამართლებრივი ძალა - სახელმწიფო და 2. ბაზარი, დეცენტრალიზებული ინდუსტრიული საბაზრო ეკონომიკის ეპოქაში) შორის მოქცეული სამოქალაქო საზოგადოება განსხვავებული ფენომენია (მუსხელიშვილი; 2006).

1990-იანი წლების დასაწყისიდან გლობალიზაცია განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის განვითარების ძირითად მიმართულებას, რაც თავის მხრივ მრავალფეროვანი პროცესია, რადგან მოიცავს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს (მეჭვავიშვილი, 2016). სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, რასაც დემოკრატიზაციის ახალი ტალღა და საბჭოთა სისტემის რღვევა მოჰყვა. სსრკ-ის ნგრევის შემდეგ, საქართველოს გააჩნდა თანაბარი საწყისი პირობები ბალტიისპირეთის ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებმაც დროის გაცილებით მცირე მონაკვეთში განვითარების ბევრად მაღალი დონის მიღწევა შეძლეს, ვიდრე საქართველომ (Silagadze and Zubiashvili, 2015). 1990-იანი წლებიდან დაიწყო პროცესები, რომელიც გულისხმობდა „სახელმწიფო დონეზე ეკონომიკის დერეგულირებისა და საერთაშორისო დონეზე გლობალური ეკონომიკის რეგულირების ტენდენციებსა და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების ჩარევას ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკის რეგულირებაში (მეჭვავიშვილი, 2019). აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა (2002) ნაშრომში „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“ ხაზს უსვამს პოსტკომუნისტური სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ინტენსიური თანამშროლობის როლს მაკროეკონომიკური სტაბილურობის მოკლე დროში მიღწევის თვალსაზრისით.

სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ცნების, ასევე, ფენომენის არსებობას გააჩნია ერთგვარი სტრუქტურული, ნორმატიული და ფუნქციონალური წინაპირობები. გარკვეული

ეკონომიკური და კულტურული კონტექსტი ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ჩართულობის მაღალ ხარისხს. სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით, მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ აქტიურად ჩაებან სახელმწიფოს მიერ პოლიტიკის წარმოების პროცესში, რაც ლეგიტიმაციისა და ნდობის ხარისხის ზრდის საფუძველია (მუსხელიშვილი, 2006).

სამოქალაქო საზოგადოების კვლევისას ეკონომიკური ურთიერთობებისა და სოციალური სტრუქტურის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ერნესტ გელნერი ნაშრომში „თავისუფლების პირობები: სამოქალაქო საზოგადოება და მისი კონკურენტები“ (Bedingungen der Freiheit: Die Zivilgesellschaft und ihre Rivalen; 1995). მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს დასავლური საზოგადოების ტიპზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ნებისმიერი არალიბერალური კლასიფიკაციის საზოგადოებასთან, მათ შორის საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში არსებულთანაც. ლიბერალური საზოგადოება იცავს მოქალაქეს ძალის გადამეტებისგან როგორც სახელმწიფოს, ასევე, სხვა ინდივიდების მხრიდან. სამოქალაქო საზოგადოებას ბლექველის ენციკლოპედია განმარტავს, როგორც „იმ ინსტიტუციების, ორგანიზაციების, სუბიექტების, ფასეულობების, ქსელებისა და სხვა ერთობას, რაც დგას სახელმწიფო ეკონომიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა“ (The Blackwell, 2010).

პოსტსაბჭოთა სივრცის შექმნა 1990-იანი წლებიდან იყო გლობალური, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგი, რომელზეც გარკვეულმა სუბიექტურმა ფაქტორებმაც მოახდინა გავლენა. ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს პირობებში საქართველო, სამხრეთ კავკასიის დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად, მოუმზადებელი აღმოჩნდა სახელმწიფოს მშენებლობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირდაპირი შედეგი უნდა გამხდარიყო ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და გაძლიერების საფუძველი (Lekashvili, 2011). 90-იან წლებში დაწყებულმა სისტემურმა ტრანსფორმაციამ, სოციალისტურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მცდელობამ, მრავალი გამონვევის წინაშე დააყენა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და მათ შორის, საქართველო (Lekashvili; 2014) და

შეიძლება ითქვას, რომ რეფორმების ინიცირება ჯერ კიდევ არ ხდება იერარქიის დაბალ დონეზე, რაც მიუთითებს, სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების არარსებობაზე (Lekashvili; 2017).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი წლებს უკავშირდება ისეთი მასშტაბური პროექტი, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის დეკლარაციასაც 1998 წელს მოეწერა ხელი. ნავთობსადენის მშენებლობა, გარდა ფუნქციური დატვირთვისა, წარმოადგენდა იმ სახელმწიფოთა ინტერესების შეკავშირების მაგალითს, რომელთაც სურდათ ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირების ალტერნატიული გზის მოძებნა.

ინტერესთა ჯგუფების რიცხოვნობის ზრდასა და ლობისტური საქმიანობის გააქტიურების კვალდაკვალ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, გამოიყენება სხვადასხვა მონაცემთა ბაზა. აშშ-ს შემთხვევაში ეს არის ლობისტური პლატფორმა (<http://www.fara.gov>) და მასზე დაყრდნობით შექმნილი სხვადასხვა ელექტრონული მონაცემთა ბაზა (<https://www.opensecrets.org/lobby>; <http://foreign.influenceexplorer.com/>). ევროკავშირში მიმდინარე ლობისტური საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით 2014 წლიდან მოქმედებს “საერთაშორისო გამჭვირვალობის” მიერ შექმნილი პორტალი (<http://www.integritywatch.eu>), სადაც რეგისტრირებული ლობისტების, მათ მიერ გამართული შეხვედრებისა და განხილული საკითხების შესახებ ინფორმაციაა განთავსებული (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო; 2010). საქართველოს შემთხვევაში კი, მიუხედავად იმისა, რომ ერთერთი პირველი პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფო იყო (ესტონეთთან ერთად), რომელმაც „ლობისტური საქმიანობის მარეგულირებელი“ (1998) კანონმდებლობა მიიღო, თუმცა, დღემდე არ არის უზრუნველყოფილი ლობისტური მომსახურების გამჭვირვალების მექანიზმი და არც ზემოაღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტითაა გათვალისწინებული აღმკვეთი ღონისძიებები კორუფციული რისკის გამოსარიცხად.

საგულისხმოა, რომ „The Transparency Register“ არის მონაცემთა ბაზა, სადაც ჩამოთვლილია ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოახდინონ ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ კანონის შექმნისა და პოლიტიკის განხორციელების პროცესზე. მონაცემები ცხადყოფს, თუ რა ინტერესების გატარება ხდება, ვის მიერ და რა ბიუჯეტით. ამ გზით, რეესტრი საშუალებას მოქალაქეებსა და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ ლობისტების საქმიანობას. პლატფორმის არსებობის აუცილებლობას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ევროკავშირში მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას მილიონობით მოქალაქეზე ახდენს. ხოლო ევროკავშირის ინსტიტუტები ურთიერთქმედებენ სპეციფიკური ინტერესების მატარებელ ჯგუფებსა და ორგანიზაციების ფართო სპექტრთან. მოსახლეობის საჭიროებების ასახვა და გათვალისწინება კი გადაწყვეტილების მიღების ლეგიტიმურობის აუცილებელი ნაწილია. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი კი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, რათა მოხდეს ევროკავშირის ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინიციატივაა, რომელიც 2012 წელს შეიქმნა და ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალეობას.

პლატფორმა The Lobby facts (EU) საშუალებას იძლევა პასუხი გავცეს შემდეგ კითხვებს: ინტერესთა რომელი ჯგუფები ხარჯავენ ყველაზე დიდ ფინანსებს ლობირებაზე. შესადარებლად მოყვანილია როგორც სხვადასხვა ფირმების დანახარჯები, ასევე, კონკრეტული მათგანის ლობირებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი წლების მიხედვით. პლატფორმაზე წარმოდგენილია მონაცემები, თუ რომელ ორგანიზაციებს აქვთ ყველაზე მეტი შეხვედრა ევროკომისიის ელიტასთან, რომელ ორგანიზაციებს აქვთ ყველაზე მეტი ევროკავშირის პარლამენტის ლობისტური პასპორტი და სხვ.

ამ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით, ქვემოთ ჩამოთვლილია ერთი მხრივ, EU Transparency-ზე დარეგისტრირებული ქართული და მეორეს მხრივ, ბრიუსელში დაფუძნებული, მაგრამ საქართველოში მოქმედი ორგანიზაციები (დანართი 1). მოყვანილია თითოეული მათგანის ლობირებაზე დახარჯული თანხის მონაცემები (ასეთის

არსებობის შემთხვევაში), გაანალიზებულია მიზნები, საქმიანობის მიმართულებები და არეალი. აღნიშნული ორგანიზაციებია:

- საქართველოს სავაჭრო გაერთიანებათა კონფედერაცია;
- „აღმოაჩინე საქართველო“;
- საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია;
- ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს განვითარებისთვის;
- სამუხრცხვლო კომპანია რუსთავი 2;
- სამეფო პრინცესა ანას ფონდი;
- ევროპული კავშირი საქართველოსთვის (ეს უკანასკნელი დაფუძნებულია ბრიუსელში).

ჩამოთვლილ ორგანიზაციათა სამუშაო თემები მოიცავს საკითხებს, რომელიც თავისთავად გულისხმობს კანონმდებელზე ზეგავლენას სასურველი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების გზით. კერძოდ: ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვისა და საერთაშორისო და ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირება, კვლევის, განვითარებისა და ინოვაციების (R&D&I) პოლიტიკის შესწავლა და მონიტორინგი საქართველოში, მათ შორის საკომუნიკაციო ფორმატის შემუშავება აკადემიკოსებისთვის, სტუდენტებისთვის, მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მხარდაჭერა საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის საკითხში R&D&I სფეროში, ევროპული ბიზნესის ადვოკატირება საქართველოში და ლობირება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის განვითარებისთვის, პროდასავალური პოლიტიკური პარტიების პოპულარიზაცასა და რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა, სასამართლო რეფორმებს, დემოკრატიის მშენებლობას, უმცირესობათა უფლებებს, ქალთა როლის გაძლიერება, ღია საზოგადოების განვითარება, ევროპული სამემობლო პოლიტიკა, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა, საერთაშორისო თანამშრომლობა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობები.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ორგანიზაციათა აქტივობას სასურველი ინტერესების ადვოკატირებისა და ცვლილებების ინიცირებისთვის, საგულისხმოა, რომ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, მათ მიერ ლობისტურ აქტივობებზე დახარჯული თანხა არ აღემატება 50 000-ევროს (საქართველოს სავაჭრო გაერთიანებათა კონფედერაცია, „აღმოაჩინე საქართველო“), ხოლო სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 200 000 ევროს უტოლდება. თუმცა, ზოგიერთი მათგანის (ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის, სამეფო პრინცესა ანას ფონდი) შემთხვევაში აღნიშნული მონაცემი ნულის ტოლია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად მათ მიერ დაქირავებული ლობისტების ოფიციალურად დადასტურებული რაოდენობისა, არცერთ მათგანს არ ჰყავს აკრედიტებული ლობისტები ევროპარლამენტში, რომელიც უფლებამოსილი ორგანოა კანონმდებლობის, ბიუჯეტისა და აღმასრულებელი ორგანოების კონტროლის მხრივ და არ ჰქონია მაღალი რანგის შეხვედრები ევროკომისიასთან.

ზემოთქმულზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო ჯამში EU Transparency-ზე რეგისტრირებული ქართული ინტერესთა ჯგუფები ხასიათდებიან აქტივობის არცთუ მაღალი დონით, რაზეც მეტყველებს მათ მიერ ლობისტურ საქმიანობაზე გაღებული დანახარჯები, აკრედიტებული ლობისტების რაოდენობა და ხელმისაწვდომობის არქონა ევროკავშირის ინსტიტუტებთან. ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფების მიერ ზეეროვნულ დონეზე საკითხის ადვოკატირება ლობირების მეშვეობით, საქართველოში სანყის ეტაპზეა. ლობირების, როგორც პროფესიული მიმართულების არარსებობაზე მიუთითებს, ჩამოთვლილ ორგანიზაციათა მიერ დაქირავებული პროფესიონალი ლობისტების არარსებობა, შეხვედრების არქონა ევროკომისიაში და ლობირებაზე დახარჯული თანხების სიმცირე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ოფიციალური მონაცემების მიღმა შესაძლოა არსებობდეს არაფორმალური ლობისტური საქმიანობა (არაფორმალური კონტაქტების

მეშვეობით პოლიტიკის გამტარებელზე ზემოქმედების საშუალება), რომლის მხედველობაში მიღებაც რამდენადმე ცვლილდეს ერთიან სურათს. თუმცა, როგორც კვლევის სანყის ნაწილში აღინიშნა, ინტერესთა ჯგუფების გავლენის ხარისხის ზუსტ გაზომვას ართულებს სწორედ ოფიციალური მონაცემების მიღმა არსებული არაფორმალური ინსტრუმენტები, რომელიც ძირითადად კონფიდენციალური რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთქმული დასკვნა მიმართული იყო ინტერესთა ჯგუფების აქტივობის ხარისხზე ზეეროვნულ (ევროკავშირის) მმართველობის დონეზე. თუმცა, კონკრეტულ ინტერესთა ჯგუფს ევროკავშირის ინსტიტუტებში აკრედიტებული ლობისტების არარსებობა ხელს არ უშლის აქტიურად იყოს ჩართული ეროვნულ დონეზე ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებაში. ამ მიმართულებით, საქართველოში საკმაოდ აქტიურად მოქმედებენ უცხოური ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც მუდმივად აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ ინიციატივებსა და მიღებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, სთავაზობენ არგუმენტირებულ რეკომენდაციებსა და ალტერნატიულ ვარიანტებს. უცხოურ ინტერესთა ჯგუფის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA), რომელიც 2012 წელს დაფუძნდა მისიით, მოეხდინა ევროპული ბიზნესის ლობირება საქართველოში, ხელი შეეწყოს საქართველოსა და ევროპას შორის ვაჭრობასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შექმნას. 2020 წელს ევროპული ბიზნეს ასოციაცია გამოვიდა ინიციატივით, დაკლებულიყო საპროცენტო განაკვეთი კომერციული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე და ხაზს უსვამდა, რომ შეუძლებელი იყო 20%-იანი კრედიტის არსებობის შემთხვევაში ბიზნესი იყოს მომგებიანი. ასოციაცია ხაზს უსვამს სატენდერო სფეროს დახვეწის მიმართულებით მუშაობის აუცილებლობას, რადგან თვლის, რომ ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია ხარისხობრივი მაჩვენებელი და ევროპული სტანდარტები. გარდა ამისა, ასოციაცია მაღალი რანგის სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირის ბაზარზე ეროვნული პროდუქციის გაზრდაზე, მენარმეების ცნობიერების ამაღლებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და სპეციალიზებული ლაბორატორიების არსებობის აუცილებლობაზე. ევროპული ბიზნეს

ასოციაცია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან ერთად ჩართულია საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით არსებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებასა და გადაჭრის გზების ძიებაზე. გარდა ამისა, უშუალოდ იყო ჩართული შრომითი უფლებების დაცვის ახალი საკანონმდებლო პაკეტის განხილვაში და ლობირებდა ერთგვარი ბალანსის დაცვას დასაქმებულის უფლებების დაცვასა და ბიზნეს საქმიანობის დინამიკის შენარჩუნებას შორის (EBA, 2020).

ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ინტერესთა ჯგუფს წარმოადგენს ამერიკის სავაჭრო პალატა (Amcham), რომელიც 1998 წელს დაარსდა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, თავად აშშ-ში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უჭირავს ლობირებისა და ლობისტურ საქმიანობაზე გაღებული დანახარჯების მხრივ. ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან ბიზნეს სექტორის რეგულაციების დახვეწის მიმართულებით, ხელს უწყობს აშშ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებასა და ხარისხიანი ბიზნეს გარემოს შექმნას საქართველოში. გარდა ამისა, სავაჭრო პალატამ უზრუნველყო წევრ ორგანიზაციათა ჩართულობა შპს პირების დასაქმების მიზნით ჩატარებულ ფორუმზე (2017), ჩართული იყო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში (2017). გარდა ამისა, აქტიურად მონაწილეობდა შრომის კანონმდებლობის ფორმირების პროცესში და ეწინააღმდეგებოდა შრომის კოდექსის რამდენიმე პუნქტს, კერძოდ, მიაჩნდა, რომ დასაქმებულს უნდა ჰქონდეს უფლება გაუფორმოს ერთ წლიანი კონტრაქტი თანამშრომელს, სპეციფიკური სამსახურებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს 40-ზე მეტი სამუშაო საათი კვირაში, აგრეთვე, კანონმდებლობაში უნდა გაიწეროს დასაქმებულის მიერ კონკურენტი ორგანიზაციისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემის აკრძალვა. სავაჭრო პალატის აზრით, შრომითი კანონმდებლობის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია ბიზნესმენტთა რეკომენდაციების გათვალისწინება, რადგან კერძო სექტორში სამუშაო ადგილების დიდ ნაწილს სწორედ ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები ქმნიან. ამერიკის სავაჭრო პალატა აქტიურად ლობირებდა SSA Marine-სა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ თანამშრომლობის საფუძველზე ანაკლიის ღრმანყოფანი

პორტის მშენებლობის პროცესს, რომელიც ატარებდა მნიშვნელოვან დატვირთვას ეკონომიკური, პოლიტიკური თუ უსაფრთხოების კუთხით (Amcham, 2020).

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC-Georgia) მიერ იქნა შეთავაზებული ხელისუფლებისადმი შესწორებები ეკონომიკის სტიმულირების გეგმაში. გეგმის ერთ-ერთი კომპონენტი გულისხმობდა კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, მთავრობის მიერ დაახლოებით 2000 სასტუმროს ექვსი თვის საბანკო პროცენტის სუბსიდირებას. სავაჭრო პალატა აკონკრეტებდა, რომ ყველა სასტუმრო შესაძლოა არ სარგებლობდეს კრედიტით, შესაბამისად, მათ ვერ შეეხება სუბსიდირება. ამიტომ, აუცილებელია მიეცეთ არჩევანის უფლება საბანკო პროცენტის 6 თვიან სუბსიდირებასა და 3 თვის კომუნალური ხარჯების დაფარვას შორის. გარდა ამისა, საერთაშორისო სავაჭრო პალატამ საქართველოში შექმნა ევრაზიის საინვესტიციო არხი EURICA (Eurasia Investment Channel and Analytics)-ს, Caucasian Journal-ისა და Channel Georgia Consulting-თან თანამშრომლობით. პროექტი მიზნად ისახავს რეგიონის საუკეთესო საინვესტიციო პროექტების გლობალურად გავრცელების ხელშეწყობას საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო ქსელის გამოყენებით (ICC-Georgia, 2020).

ჯერ კიდევ 1996 წელს ჩამოყალიბდა საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატა, რომელიც ერთ-ერთი პირველი ფართო პროფილის ორგანიზაცია იყო იმ დროისთვის, რომლის მიზანსაც ორ ქვეყანას შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება წარმოადგენდა. 2002 წელს, ბიზნეს პალატის, საქართველოს მთავრობისა და ისრაელის ტურიზმის სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა პირველი ქართული ტურისტული წარმომადგენლობა ისრაელში, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ორ ქვეყანას შორის ტურისტული ურთიერთობების ჩამოყალიბების მიმართულებით. ბიზნეს პალატა აქტიურად განიხილავდა ქართველების ისრაელში დასაქმების თემას და თვლიდა, აღნიშნული საკითხი მთავრობებს შორის მოლაპარაკებებზე იყო დამოკიდებული. გარდა ამისა, სავაჭრო პალატა მხარს უჭერდა კანონის გამკაცრებას უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე იმ არგუმენტით, რომ ეს ხელს არ შეუშლიდა საინვესტიციო გარემოს განვითარებას, რადგან ქვეყანაში გრძელვადიანად დარჩებოდნენ

ის მენარმეები, რომელთა საქმიანობაც იქნებოდა მომგებიანი ქვეყნის ეკონომიკისთვის. გარდა ამისა, პალატის მოსაზრებით, საჭიროა ბიზნესომბუდსმენის ფუნქციების გაზრდა, რათა გამარტივდეს ბიუროკრატიული პროცესი და დროულად მოხდეს ინვესტორების საჭიროებებზე რეაგირება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტიციების ზრდას (საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატა, 2020).

აუცილებელია აღინიშნოს ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს სავაჭრო ჰაბი (UK-Georgian Trade Hub), რომელიც ორ ქვეყანას შორის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, ლოჯისტიკური და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებით, ქართულ კომპანიებს საშუალებას მისცემს დაიწყონ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია ბრიტანეთის ბაზარზე. გარდა ამისა, საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, დაიწყო პროექტი, რომელიც გულისხმობს გლდანის #8 დანესებულების მსჯავრდებულთა დასაქმებას ამავე დანესებულების ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ქართული ჯიშის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსაყვანად. მოსავლის რეალიზაცია კი საფრანგეთ-საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატა ხელშეწყობით მოხდება, რაც წაახალისებს მსჯავრდებულთა მიერ საკუთარი შემოსავლის გამომუშავებას. „საქართველოსა და აზია-აფრიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა“ კი ხელს უწყობს წევრ კომპანიებს ახალი ბაზრების მოძიებაში, პროდუქციის პოპულარიზაციასა და სავაჭრო ქსელის გაფართოებაში (ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა, 2020).

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხოურ ინტერესთა ჯგუფების საქმიანობა საქართველოში ხასიათდება საკმაოდ მაღალი ხარისხის აქტივობით, რაც გამოიხატება მათ ჩართულობაში როგორც საკონსულტაციო სახის, აგრეთვე, ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან შეხვედრის მხრივ. გარდა ამისა, ასოციაციებისა და სავაჭრო პალატების მხრიდან გამუდმებით ხდება სხვადასხვა ეკონომიკური ინიციატივების ხელშეწყობა ქართული კომპანიების პროდუქციის პოპულარიზაციისა და ქართული საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მხრივ, ხოლო

მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია მათ მიერ შემოთავაზებული ინიციატივები და რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების მხრივ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, კვლევის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილ იქნა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი საქართველოში, რომელშიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ეტაპი აღმოჩნდა გარდამტეხი მოვლენა აქტიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხრივ. თუმცა, ინტერესთა ჯგუფების ფორმირებაზე უდიდესი გავლენა იქონია როგორც საბჭოთა კავშირის დაშლამ, აგრეთვე, მის შემადგენლობაში ყოფნის 70 წლიანმა მემკვიდრეობამ. აგრეთვე, განხილულ იქნა ევროკავშირის ლობისტურ პორტალზე ოფიციალურად რეგისტრირებული ქართული ინტერესთა ჯგუფები, ხოლო ამავე ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზდა მათი აქტივობის ხარისხი. კვლევა მოიცავდა საქართველოში მოქმედ უცხოურ ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის მიზნების, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით გადადგმულ ნაბიჯების, აგრეთვე, საკანონმდებლო ინიციატივებსა და ეკონომიკურ-პოლიტიკური მიმართულებით შემუშავებული რეკომენდაციების შეფასებას.

3.2. ინტერესთა ჯგუფების აქტივობის ხარისხი საქართველოში: ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ანალიზი და ბარიერები


კვლევის ამ ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს თანმდევნი მახასიათებლები, გამოკვეთილია მათი გავლენის ხარისხი ინტერესთა ჯგუფების აქტივობებზე. აგრეთვე, იდენტიფიცირებულია ინტერესთა ჯგუფების წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები და შემათავსებელი ბარიერები. კვლევის სრულყოფილი შედეგების მისაღებად, მიზანშეწონილად მივიჩნით, გაგვეანალიზებინა საქართველოს პოზიცია სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსების შეფასებით და მოგვეხდინა მონაცემების შეჯამება.

როგორც უკვე აღინიშნა, სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი და პლურალისტური გარემო მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის ამავე ქვეყანაში მოქმედ ინტერესთა ჯგუფების რიცხვზე, კლასიფიკაციასა და მოქმედების ინსტრუმენტებზე. ანალიტიკური კვლევითი ორგანიზაცია The Economist Intelligence Unit-ის მიერ წარმოდგენილი დემოკრატიის ინდექსი კი სახელმწიფოებს 10 ქულიანი შკალით აფასებს და შესაბამისის რეიტინგს ადგენს. კვლევაში მსოფლიოს 165 ქვეყანა დაყოფილია ოთხ კატეგორიად: ავტორიტარული რეჟიმები (4 ქულაზე ნაკლები შეფასება), ჰიბრიდული რეჟიმები (4-5.9 ქულა), არასრული დემოკრატიები (6-7.9 ქულა) და სრული დემოკრატიები (8-10 ქულა). დემოკრატიის ინდექსი დგინდება 60 ინდიკატორის მიხედვით, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ხუთ კატეგორიაში. ქვეყანაში დემოკრატიის ინდექსი სწორედ ამ ხუთი ძირითადი კომპონენტის შეფასებით გამოითვლება - საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკური ჩართულობა, პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო თავისუფლება.

კვლევაში მოყვანილი ხუთი კატეგორიის ინდექსის საშუალოს გამოთვლითა და მესაედებამდე დამრგვალებით, ვიღებთ კონკრეტული სახელმწიფოს ინდექსს. აგრეთვე, ცნობილი ხდება, თუ რომელი რეჟიმის კატეგორიაში თავსდება. ინდექსი პირველად 2006 წელს შეადგინეს და აქედან მოყოლებული, ეტაპობრივად იცვლება საქართველოს

მაჩვენებელი. თუმცა, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი სახელმწიფო ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნების ჯგუფს წარმოადგენს.

დიაგრამა N8: დემოკრატიის ინდექსის მაჩვენებელი საქართველოს მაგალითზე




წყარო: The Economist Intelligence Unit

რაც შეეხება უახლეს მონაცემებს, 2019 წელს საქართველო წინა წლის მსგავსად ისევ 89-ე ადგილს იკავებს, თუმცა 2018 წლის მაჩვენებელი - 5.5 ქულა 0.08 ქულით გაუარესებულია და 5.42-ს შეადგენს. ინდექსის განმსაზღვრელ კომპონენტებს შორის კი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი პოლიტიკურ კულტურასა და მთავრობის ფუნქციონირებაშია მინიჭებული.

გემოაღნიშნული შედეგი ერთგვარად ეხმიანება ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის (BTI) მაჩვენებლებს, რომელიც აფასებს განვითარებადი ქვეყნების მიერ სოციალური ცვლილებებისა და საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიულობისკენ გარდაქმნის პროცესების წარმატებულობას. საქართველოს მონაცემებს თუ გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ 2020 წელს საქართველოს ყველაზე დაბალი ქულა (5 ქულა) პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის კომპონენტში ჰქონდა, ხოლო ყველაზე მაღალი (8.3 ქულა) - პოლიტიკური ჩართულობის კომპონენტში, თუმცა, ამ უკანასკნელის შეფასება 2020 წელს 2018 წლის შედეგთან შედარებით 0.2 ქულით გაუარესდა. კლებადი ტენდენცია აჩვენა დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობის კომპონენტის შეფასებამ და 2020 წელს 2018 წელთან შედარებით 0.5 ქულით გაუარესდა. რაც შეეხება პოლიტიკური და

სოციალური ინტეგრაციის მაჩვენებელს, აღნიშნული კომპონენტის მაჩვენებელი 2018 და 2020 წლებში არ შეცვლილა (IDFI; 2020).


დიაგრამა N9: დემოკრატიულობის ხარისხი ბერტელსმანის ინდექსის მიხედვით.



წყარო: (IDFI, 2020)

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ჩართულობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობის კომპონენტებში ბოლო წლების სარეიტინგო ქულის კლებაზე ანგარიშში ხაზგასმულია ადგილობრივი და საპრეზიდენტო არჩევნების ფაქტორი, რა დროსაც არ მოხდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა გაცილებით პლურალისტული გარემოს შექმნის მიმართულებით.

დიაგრამა N10: პოლიტიკური ჩართულობის კომპონენტი BTI-ის მიხედვით (საქართველოს პოზიცია)



წყარო: (IDFI, 2020)

რეიტინგი, რომელშიც საქართველო დემოკრატიული სახელმწიფოების კატეგორიაში კლასიფიცირდება არის ე.წ. „Polity IV“, რომელიც სოციალური კონფლიქტის კვლევის ინტეგრირებული ქსელის (The Integrated Network for Societal Conflict Research, INSCR) ინდექსია. საკვლევი მონაცემების შეგროვება 1975 წლიდან დაიწყო და 1800 წლიდან მოყოლებული 2013 წლის ჩათვლით, ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს მონაცემებს მოიცავს, რომელიც არსებობდა ან არსებობს. ქულა მიიღება ორი ცვლადისგან - დემოკრატიის და ავტოკრატიის ქულისგან და კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: სრული დემოკრატია (10 ქულა), დემოკრატია (6-9 ქულა), ღია ანოკრატია² (1-5), დახურული ანოკრატია (-5 – 0), ავტოკრატია (-10 -6). საგულისხმოა, რომ ე.წ. “Polity IV-ის“ შეფასების მიხედვით, საქართველო კლასიფიცირებულია დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამონათვალში (რეხვიაშვილი; 2012). თუმცა, მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ ქულის გამოთვლა დემოკრატიის ვიწრო განმარტებას ეფუძნება და არ ითვალისწინებს სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამოქალაქო თავისუფლების მრავალსიმომცველ მონაცემებს (Systemicspace.org; 2020).

Heritage Foundation-ს მიერ 1995 წელს შედგენილი „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრებით ზომავს ბიზნესის დანყების, ფუნქციონირებისა და დახურვის შესაძლებლობას. საერთო ქულა (1-100) ემყარება შემდეგი პარამეტრების მონაცემებს:

- კანონის უზენაესობა (საკუთრების უფლება, სასამართლოს ეფექტიანობა, მთავრობის კეთილსინდისიერება);
- მთავრობის ზომა (ფისკალური სიჯანსაღე, საბიუჯეტო დანახარჯები, საგადასახადო ტვირთი);
- რეგულირების ეფექტიანობა (ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება);

² ვითარება, როცა ცენტრალური ხელისუფლება სუსტია ან საერთოდ არ არსებობს.

- ბაზრის ღიაობა (ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტირების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება).

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგი ფასდება ხუთი კატეგორიის მიხედვით: თავისუფალი (100-80 ქულა), მეტწილად თავისუფალი (79.9-70), ზომიერად თავისუფალი (69.9-60), მეტწილად შეზღუდული (59.9-50) შეზღუდული (49.9-0). ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, როგორც ინსტიტუციური გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორი, სწორედ იმ ინდიკატორებს აერთიანებს, რაზეც ნეონსტიტუციონალიზმი ამახვილებს ყურადღებას. „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით 2020 წელს საქართველოს პოზიცია 1.2 ქულით გაუმჯობესდა და მთლიანობაში 77.1 ქულა შეადგინა. საქართველოს სარეიტინგო ქულა 12 კომპონენტიდან 5 კომპონენტში გაუმჯობესდა. ესენია: მონეტარული თავისუფლება, ფისკალური მდგრადობა, სასამართლო ეფექტურობა და მთავრობის კეთილსინდისიერება. ხოლო შემცირდა ბიზნესის თავისუფლებისა და შრომითი თავისუფლების კომპონენტის ქულები (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; 2020). გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით საქართველოს ამ ეტაპზე აქვს „მეტწილად თავისუფალი“ სახელმწიფოს სტატუსი, რაც გულისხმობს, აუცილებელია განვითარების დადებითი დინამიკის შენარჩუნება და ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ხშირად სამეცნიერო წრეებშიც კი, გამოითქმება უნდობლობა კონკურენტუნარიანობის, ეკონომიკური თავისუფლების, ვაჭრობის ხელშეწყობის ან სხვა ინდექსების საიმედოების მიმართ (ღალანძიძე, 2018). მიუხედავად ამისა, საკითხის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ინდიკატორები სხვა ფაქტორებთან თანხვედრაში წარმოდგენას გვიქმნიან სამოქალაქო საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების, აქტივობის ხარისხის და ინტერესთა ჯგუფების საქმიანობების სფეროთა მიმართულებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ფაქტორები ქმნიან გარემოს, რომელშიც მოქმედებენ ინტერესთა ჯგუფები და საფუძველს უყრიან მთელს მსოფლიოში ინტერესის ჯგუფის ტიპების მსგავსებისა და განსხვავებების გასაგებად. საზოგადოებაში

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, ჩვეულებრივ, შეუძლია აცნობოს დამკვირვებლებს იმის შესახებ, თუ რამდენად განვითარებულია და წარმოდგენილია საზოგადოების ინტერესები. ეკონომიკურად განვითარებულ საზოგადოებებში, ჩვეულებრივ, ვრცელია ინტერესთა ჯგუფების რაოდენობა და მათ კუთვნილ ადამიანთა რაოდენობა. ამის საპირისპიროდ, ნაკლებად მდიდარ ქვეყნებში, ინტერესთა ჯგუფების რაოდენობა, როგორც წესი, საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო მათ მიერ გამოცენებული სტრატეგიების ეფექტიანობა ჩვეულებრივ დაბალია.

3.3. ლობისტური საქმიანობის ანალიზი საქართველოში

აღნიშნულ ქვეთავი მიზნად ისახავს ლობისტური ლანდშაფტის შეფასებას საქართველოში შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით: გაანალიზებულია სამთავრობო ორგანოების მიერ ლობისტების დაქირავების ფაქტები და ლობისტურ საქმიანობაზე დაწესებული დანახარჯები აშშ-ის საინფორმაციო პორტალებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მეორე მხრივ, ჩატარებულია საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა გამოკითხვა. მიღებული შედეგები შეფასებულია ევროკავშირში აკრედიტებული საზოგადოებრივი პოლიტიკის ადვოკატირების ასოციაციის (AALEP) მიერ შემუშავებულ კითხვართან მიმართებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევის მიხედვით, 2012 წელს ლობისტური ორგანიზაციების დაქირავებულ სახელმწიფო ინსტიტუტებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და საქართველოს თავდაცვის სამინისტროც წარმოადგენდნენ. თანხა ირიცხებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფისიდან და საქართველოს მთავრობიდან. 2013 წელს დაიდო ხელშეკრულება Glover Park Group-თან, ამერიკის შერთებული შტატებში მოღვაწე პოლიტიკოსებთან სტრატეგიული კომუნიკაციის დამყარების მიზნით. ხუთი ხელშეკრულებიდან ორი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას ეკუთვნოდა, ორი კი მთავრობის ადმინისტრაციას და ერთი პრეზიდენტის საინიციატივო ჯგუფს. სახელმწიფო ინსტიტუტებს არ დაუქირავებიათ ლობისტური ორგანიზაცია და ეს FARA-ს (Foreign Agents Registration Act) მიერაც დასტურდება. 2015 წელს კი ხელშეკრულებები Harbour Group-თან და Shaw Pittman LLP-თან გაფორმდა, 2016-ში ოთხი ხელშეკრულება სამ კომპანიასთან - Kglobal LLC, Alpine Group, Impact Management Group. რაც შეეხება EU Integrity Watch-ს, ლობისტურ მომსახურებაზე საქართველოს შემთხვევაზე მონაცემები არ იძებნება (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2012).

საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა აზრის შესწავლა კითხვარის მეშვეობით,

რომელიც გარკვეულ ინფორმაციას მოგვანვლიდა მათ მიერ გამოყენებულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მიზნით, ლობირების, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიის გამოყენების სიხშირესა და ეფექტიანობაზე, წარმატებულ და წარუმატებელ ლობისტურ კამპანიაზე, ეფექტიანობის გამსაზღვრელ ფაქტორებსა და შემაფერხებელ გარემოებებზე. კითხვარის შედგენისას ვიხელმძღვანელებთ საერთაშორისო გამოცდილების, კერძოდ, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნების მაგალითების შესწავლისას მიღებული შედეგებით, რამაც მოგვცა მიმართულებანიტერესთა ჯგუფებისა და ლობისტური საქმიანობის სრულყოფილად კვლევისთვის გასათვალისწინებელ აქტუალურ საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაცია საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, 1991 წლიდან იქნა ნებადართული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონზე“ (1991) დაყრდნობით. თუმცა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 1997 წლის შესწორებით, საჭირო გახდა 1991-1997 წლების შუალედში რეგისტრირებულ პარტიათა ხელახალი რეგისტრაცია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წლის 22 ივლისს მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გვაქვს შემდეგი სურათი: 1997 წლიდან 2020 წლის 21 ივლისის პერიოდში რეგისტრირებულია სულ 263 პოლიტიკური პარტია, რომელთაგან 10-ს გაუქმებული აქვს რეგისტრაცია. აქედან, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა 68-მ, რომელთაგან რეგისტრაციაზე თანხმობა მიიღო 59-მა. კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობის მიზნით, ელექტრონული კითხვარი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (ელ-ფოსტა, სოციალური ქსელი) გაგზავნილ იქნა 191 პოლიტიკურ პარტიასთან, რომელთა შორისაც იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რეგისტრირებული 59 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებაც. რაც შეეხება დანარჩენებს,, მიუხედავად რეესტრში დაფიქსირებული აქტიური იურიდიული სტატუსისა, ვერ მოხერხდა მათთან კონტაქტი ვერცერთი საკომუნიკაციო არხის მეშვეობით (ტელეფონი, ელ-ფოსტა, სოციალური ქსელი). მხედველობაში მივიღეთ ის ფაქტი, რომ კვლევისთვის საინტერესო იყო იმ პოლიტიკურ გაერთიანებათა გამოკითხვაც, რომლებსაც

არ გამოუთქვამთ სურვილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. თუმცა, მათი მოღვაწეობაც გარკვეულ პერიოდს ითვლიდა 1997-2020 წლების შუალედში, რომელიც ემთხვევა სადისერტაციო თემის საკვლევ პერიოდს. შესაბამისად, კვლევის საბოლოო სურათისთვის აუცილებლად მივიჩნიეთ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელთაგან 10 პოლიტიკური გაერთიანება რეგისტრირებულია 2020 წლის აპრილი-ივლისის პერიოდში, შესაბამისად, რამდენიმე მათგანისგან მივიღეთ ზოგადი პასუხები ლობირებასთან დაკავშირებით, თუმცა, ლობისტური აქტივობების არარსებობა მათი ფუნქციონირების მოკლე პერიოდით ახსნეს. აღსანიშნავია, რომ შევსებული ელექტრონული კითხვარი მივიღეთ ჯამში 89 პარტიისგან, რომელიც გენერალური ერთობლიობის (253) 35.1%-ს შეადგენს.

კითხვარის მიხედვით (იხ. დანართი N2), პირველი კითხვა ზოგადსაინფორმაციო ხასიათის იყო, რაც მოითხოვდა პოლიტიკური გაერთიანების სახელწოდების მითითებას ან ანონიმურად დარჩენას, ხოლო მეორე კითხვა ეხებოდა პოლიტიკური გაერთიანების დაფუძნების წელს. აღსანიშნავია, რომ იმ პარტიებისგან, რომელთაგანაც დადებითი უკუკავშირი მივიღეთ, ელექტრონულ კითხვარზე, უმეტეს ნაწილს 2011-2015 წლების პერიოდში რეგისტრირებული გაერთიანება წარმოადგენდა. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ლობისტური კამპანიების სიმრავლე და ლობისტურ საქმიანობაზე დახარჯული ფინანსების სიდიდე შესაძლოა კორელაციაში იყოს პოლიტიკური გაერთიანების ასაკზე. ასე რომ, 2020 წელს რეგისტრირებულ 13 პოლიტიკურ პარტიათაგან შევსებული ელექტრონული კითხვარი დაგვიბრუნა მხოლოდ სამმა, რომელთა შედეგებმაც სიმცირის გამო მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა კვლევის სრულ სურათზე.

ნახაზი N10: გამოკითხულ პოლიტიკურ პარტიათა იურიდიული რეგისტრაციის პერიოდი

პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობა	დაფუძნების წელი
5	1997-2003
31	2004-2010
35	2011-2015
18	2016-2020

მე-3 კითხვა ეხებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების წევრთა რაოდენობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ კონკრეტული ჯგუფის წევრთა რაოდენობა მეტყველებს საზოგადოების ამ ნაწილის მიერ ჯგუფის იდეოლოგიის გაზიარებასა და საქმიანობის მიმართულებების მიმართ კეთილგანწყობაზე, პოლიტიკურ გაერთიანებათა მხოლოდ მცირე ნაწილმა (89-იდან 12-მა) აღნიშნა, რომ წევრთა რაოდენობა 1000-ს აღემატება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონკრეტული ინდივიდი შესაძლოა არ ფიქსირდებოდეს ამა თუ იმ ინტერესთა ჯგუფის ან პოლიტიკური გაერთიანების ოფიციალურ წევრად, მაგრამ იზიარებდეს მის შეხედულებებს.


ნახაზი N11: წევრთა რაოდენობა გამოკითხულ პოლიტიკურ გაერთიანებებში

პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობა	წევრთა რაოდენობა
19	1-250
27	251-500
18	501-750
13	751-1000
12	1001 და მეტი

რაც შეეხება პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ინსტრუმენტს სასურველი ინტერესის ადვოკატირებისთვის, ამ შემთხვევაში, ვთხოვეთ, აერჩიათ ჩამოთვლილთაგან სამი ვარიანტი ან/და დაესახელებინათ საკუთარი თვალსაზრისი (მე-4 კითხვა). უნდა აღინიშნოს, რომ ლობირება აღმოჩნდა მათ მიერ ყველაზე ნაკლებად გამოყენებული სტრატეგია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ საინფორმაციო მედიის მეშვეობით აზრის დაფიქსირების შემდეგ, ყველაზე ხშირად გამოყენებულ ინსტრუმენტად დასახელდა მასობრივი შეკრებები და ხმათა მაჩვენებლით გაუსწრო პეტიციასა და საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი მანიფესტაციები როგორც საკუთარ ინტერესთა დაცვის ან პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი გზა, უცხო არც განვითარებული ქვეყნებისთვის არის, პარალელური რომ გავავლოთ, კვლევაში აღწერილ აშშ-სა და ევროკავშირთან მიმართებაში, შეგვიძლია


დავასკვნათ, რომ ინტერესთა ჯგუფების ან პოლიტიკური გაერთიანებების მიერ სასურველ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის სტრატეგიად მასობრივი მანიფესტაციების გამოყენება ლობირებაზე, საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენასა და პეტიციაზე ხშირად, არის განვითარებადი ქვეყნის მახასიათებელი და მეტყველებს ლობირების, როგორც საერთაშორისოდ აპრობირებული ეფექტიანი ინსტრუმენტის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაზე.

დიაგრამა N11: პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ ხშირად გამოყენებული სტრატეგიები




მე-5 კითხვაზე - თვლით თუ არა, რომ ლობირების მეშვეობით კანონმდებელზე ზეგავლენა არის ერთ-ერთი ეფექტიანი სტრატეგია სასურველი გადაწყვეტილებების მისაღებად? პასუხების მიხედვით დაფიქსირდა შემდეგი შედეგი: ლობირების, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების ინსტრუმენტის ეფექტიანობას გამოკითხულთა 47% ეთანხმება ერთმნიშვნელოვნად, 31% - ნაწილობრივ, ხოლო 22% სკეპტიკურადაა განწყობილი. ის ფაქტი, რომ რესპოდენტთა თითქმის ნახევარი დადებითადაა განწყობილი ლობისტური საქმიანობის მიმართ, ნაწილობრივ მაინც მიუთითებს მათ მიერ ლობისტური სტრატეგიის სამომავლოდ მაინც გამოყენების ტენდენციაზე.

დიაგრამა N12: ლობირების სტრატეგიის ეფექტიანობა რესპოდენტთა თვალსაზრისით




მე-6 კითხვა დაკავშირებული იყო ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების ადვოკატირებასთან (არის (ან იყო) თუ არა თქვენი პოლიტიკური გაერთიანების არსებობის მანძილზე პრიორიტეტი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხების ადვოკატირება? გამოკითხულ რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს, რომ მათი პოლიტიკური გაერთიანების ფოკუსი დიდწილად (78%) ან ნაწილობრივ (17%) იყო (ან არის) მიმართული ეკონომიკურ-პოლიტიკურ საკითხებზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ უმეტესი მათგანი აღიარებდა ლობისტური საქმიანობის ეფექტიანობას, ბუნებრივია, ჩნდება ლოგიკური მოლოდინი, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანწყვეტილებებზე ზეგავლენისთვის მათ მიერ გამოყენებულ იქნას ლობისტური სტრატეგია. ხოლო კვლევის განსხვავებული შედეგების დადგომის შემთხვევაში, აუცილებელია შემათავსებელი გარემოებების იდენტიფიკაცია და პრობლემის აღმოფხვრის გზების დასახვა.

დიაგრამა N13: ეკონომიკურ-პოლიტიკური საკითხების პრიორიტეტულობა




მე-7 კითხვა წარმოადგენდა მე-6-ე კითხვის გაგრძელებას დადებითი პასუხის შემთხვევაში (ეკონომიკურ-პოლიტიკურ საკითხთა პრიორიტეტულობა) ინსტრუმენტების დაკონკრეტების თვალსაზრისით. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საკითხის კონფიდენციალურად დატოვება ისურვა და მხოლოდ რამდენიმე მათგანმა დააკონკრეტა საკითხები.

დიაგრამა N14: პოლიტიკური გაერთიანებებისთვის პრიორიტეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური საკითხები



მე-8 კითხვაზე - რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ ლობირების გამოყენება კანონმდებელზე ზეგავლენის მოსახდენად ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას? - რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ლობირების გამოყენება მიზანშეწონილია სრულად (51%) ან ნაწილობრივ (38%). თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუხედავად ლობისტური საქმიანობის ეფექტიანობის და მიზანშეწონილობის აღიარებისა, ყველაზე ნაკლებად ხდება მისი გამოყენება სხვა სტრატეგიებთან მიმართებაში.

დიაგრამა N15: ლობირების გამოყენების მიზანშეწონილობა ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას




მე-9 კითხვაზე - თუ თვლით, რომ ლობირების გამოყენება მიზანშეწონილია, გთხოვთ, დაგვისახელოთ მხარდამჭერი არგუმენტი- გამოკითხულთა მხრიდან ზემოაღნიშნული კითხვის პასუხად დასახელებულ იქნა არგუმენტები, რომ ლობირება საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდია, აქვს ფართო გამოყენება დასავლურ სამყაროში და ეფექტიანი ინსტრუმენტია გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად. რესპოდენტთა უმრავლესობამ ზემოაღნიშნული კითხვა ღიად დატოვა, რაც მეტნაკლებად შესაძლოა მიუთითებდეს სიღრმისეული ინფორმაციის ნაკლებობაზე ლობისტური საქმიანობის შესახებ.

მე-10 კითხვაზე - გთხოვთ, დაასახელოთ ლობირების პროცესის თანმდევნი რისკები ზოგადად და/ან საქართველოს მაგალითზე (აირჩიეთ მაქსიმუმ 3) - გამოიკვეთა

მეტნაკლებად დადებითი ტენდენცია ინფორმაციის ფლობის მხრივ, რადგან გამოკითხულთა უმრავლესობა შეთანხმდა, რომ მთავარ რისკს წარმოადგენს მარეგულირებელი ნორმების არარსებობა საკანონმდებლო დონეზე. ეს გულისხმობს, რომ ლობისტური საქმიანობის რეგისტრაციის აუცილებლობის, გაღებული დანახარჯების გასაჯაროებისა და დარღვევების დროს სათანადო სანქციების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების შემთხვევაში, თავისთავად იგულისხმება სხვა დანარჩენი რისკების (კორუფცია, საჯარო ინფორმაციის მიუწვდომლობა, ეთიკის სტანდარტების დარღვევა) მინიმუმამდე დაყვანა. თუ რა თქმა უნდა, იარსებებს მარეგულირებელი ნორმების სისრულეში მოყვანის მექანიზმიც.

დიაგრამა N16: ლობირების თანმდევი რისკები




კითხვა N11 ეხებოდა გამოცდილებას - გამოუყენებია თუ არა თქვენს პოლიტიკურ გაერთიანებას ლობისტური სტრატეგია ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად ეროვნულ, რეგიონალურ და/ან ზეეროვნულ დონეზე?

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა შეთანხმდა ლობისტური საქმიანობის ეფექტიანობასა და მიზანშეწონილობაზე, გამოკითხულთა მხოლოდ 31%-მა აღნიშნა, რომ მათი პოლიტიკური გაერთიანების მიერ გამოყენებული ყოფილა ლობირება მმართველობის სხვადასხვა დონეებზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოში, საჯარო პოლიტიკური პროცესის ფორმირებაში ჩართული სუბიექტების (ამ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიების) მიერ


ლობირების გამოყენების მაჩვენებელი არც თუ ისე მაღალია. აღნიშნულ პოლიტიკურ პარტიათა უდიდესი ნაწილი წარმოადგენს არა სახელისუფლებო, არამედ ოპოზიციურ მხარეს, რაც გულისხმობს დამატებით მოტივაციას მათი მხრიდან, გამოიყენონ მაქსიმალურად ბევრი ეფექტიანი ინსტრუმენტი სასურველი ინტერესის ადვოკატირებისთვის. ამ გარემოებისდა მიუხედავად, ლობირების, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული ეფექტიანი სტრატეგიის გამოყენების მაჩვენებელი დაბალია.

დიაგრამა N17: რესპოდენტთა მიერ ლობირების გამოყენების მაჩვენებელი



მე-12 კითხვა აზუსტებს წინა შეკითხვას - თუ გამოვიყენებიათ ლობირება, გთხოვთ, მიუთითოთ, მმართველობის რომელ დონეზე? გამოკითხვის შედეგად ირკვევა, რომ რესპოდენტთა უდიდეს ნაწილს ლობირება სასურველი გადანაცვლებების მიღების მიზნით განუხორციელებია ეროვნული მმართველობის დონეზე, ხოლო რესპოდენტთა ნაწილმა ამ საკითხის კონფიდენციალურად დატოვება ისურვა. საგულისხმოა, რომ ეს დეტალი ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის გამჭვირვალებობისა და ლობისტური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის პრინციპთან.

დიაგრამა N18: ლობირება ეროვნულ, რეგიონალურ და/ან ზეეროვნულ დონეებზე;




მე-13 კითხვა ეხებოდა პოლიტიკური გაერთიანების მიერ ლობისტურ მომსახურებაზე განეული დანახარჯების მიახლოებითი ჯამური რაოდენობას ლარში (გთხოვთ, დაასახელოთ თქვენი პოლიტიკური გაერთიანების მიერ ლობისტურ მომსახურებაზე განეული დანახარჯების მიახლოებითი ჯამური რაოდენობა).


მივიღეთ ორი უკიდურესობა - რესპოდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ერთი მხრივ, დაასახელა რომ ლობისტურ მომსახურებაზე დანახარჯები არ გაუნევიათ, ხოლო მეორე ნაწილმა მონაცემების კონფიდენციალურად დატოვება ისურვა. ანალოგიური მაჩვენებელი გამოვლინდა მათ მიერ განხორციელებული ეფექტიანი ლობისტური კამპანიის დასახელების თხოვნის დროსაც (კითხვა #14: რომელი იყო თქვენი გაერთიანების ყველაზე ეფექტიანი ლობისტური კამპანია), რაც მოწმობს, რომ ამ აქტივობაზე ინფორმაცია თვით აქტორების მხრიდან არის გაუმჭირვალე და საეჭვო.

კითხვაზე N14: თქვენი აზრით, რომელმა ფაქტორებმა განაპირობა წარმატება? (გთხოვთ, აირჩიოთ 3) - რესპოდენტთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ეს (1) ფინანსური უზრუნველყოფის, (2) სტრატეგიის განსაზღვრის / სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისა და (3) პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობის / ნდობის მოპოვების დამსახურება იყო.

დიაგრამა N19: წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები




მე-15 კითხვაზე გქონიათ თუ არა წარუმატებელი ლობირების შემთხვევა? გამოკითხულ პოლიტიკურ გაერთიანებათა იმ ნაწილმა, რომელმაც ლობირების გამოყენებაზე დადებითი პასუხი გაგვცა, აღნიშნა, რომ ყოფილა წარუმატებელი ლობირების შემთხვევაც. დიაგრამა N20: წარუმატებელი ლობირების შემთხვევა



მე-16 კითხვის პასუხად - (წარუმატებელი ლობირების ფაქტის არსებობის შემთხვევაში, რომელმა მიზეზებმა განაპირობა წარუმატებლობა? (გთხოვთ, აირჩიოთ 3 ძირითადი) - რესპოდენტების მხრიდან საინტერესო იყო წარუმატებელი ლობირების შემთხვევების გარემოებების იდენტიფიცირება. გამოკითხულთა უმრავლესობამ ამის მიზეზად

არასაკმარისი ფინანსური რესურსები, გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის მიწოდებული საკითხის ნაკლებად პრიორიტეტულობა და პროფესიონალი ლობისტის არარსებობა დაასახელა. როგორც უკვე აღინიშნა, განვითარებულ სახელმწიფოებში ლობისტური საქმიანობის დანახარჯები კოლოსალურ თანხებს აღწევს. შესაბამისად, ლოგიკურია მივიჩნიოთ, რომ ლობირების წარმატების განმაპირობებელი ფაქტორია მასზე დახარჯული ფინანსური რესურსების რაოდენობა. იგივე შეიძლება ითქვას ლობისტის დაქირავებაზე. პროფესიონალი ლობისტის არსებობა საკმაოდ გავრცელებული ფაქტია განვითარებულ ქვეყნებში. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების მიერ მეტნაკლებად სწორად მოხდა წარუმატებელი ლობისტური ფაქტის გამოკვლევა და შემთხვევითი გარემოებების იდენტიფიცირება.


დიაგრამა N21: ლობირების წარუმატებლობის მიზეზები



კითხვაზე N17: გაქვთ თუ არა გამიზნული ლობირების მეშვეობით საკანონმდებლო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა? გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა. აუცილებელია, რომ ლობისტური საქმიანობის ფართოდ გავრცელების კვალდაკვალ, საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებითა და გამოყენებით, მოწესრიგდეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რათა თავიდან იქნას აცილებული თანმდევ რისკები. სხვა შემთხვევაში, არის საფრთხე,


რომ ლობირება გახდეს არა წარმომადგენლობითი დემოკრატიის გამყარების, არამედ კორუფციის საფუძველი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რესპოდენტები აკადემიური კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის დროსაც კი კონფიდენციალურად ტოვებენ ინფორმაციას ლობისტურ კამპანიებსა და დანახარჯებზე, რაც შესაბამისი იურიდიული ნორმების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია იყოს საჯარო და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

დიაგრამა N22: ლობირების სამომავლოდ გამოყენება




კითხვაზე N18: თქვენი აზრით, ზოგადად რა ფაქტორები უზრუნველყოფენ ლობირების წარმატებას? (გთხოვთ, აირჩიოთ 3 ძირითადი) - რესპოდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა რომ ეს არის ლობისტური საქმიანობის დაფინანსების შესაძლებლობის ქონა. მიღებული შედეგი იმ კითხვის ლოგიკური გამოძახილი, სადაც ვთხოვეთ, დაესახელებინათ წარმატების შემათერხებელი გარემოებები.

დიაგრამა N23: წარმატებული ლობირების განმაპირობებელი ფაქტორები



კითხვაზე #N19: თვლით თუ არა, რომ ლობისტურ მომსახურებაზე განეული დანახარჯები წარმატებული ლობირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა? - გამოკითხულთა 53% დაეთანხმა ამ პოსტულატს.


დიაგრამა N24: ფინანსების მნიშვნელობა წარმატებული ლობირებისთვის



ხოლო კითხვაზე N20: მიგაჩნიათ თუ არა, რომ არაფორმალური ლობირება საჭირო კონტაქტების გამოყენებით მეტად ეფექტიანია ვიდრე პროფესიონალი ლობისტის მეშვეობით? - აღნიშნეს, რომ არაფორმალური ლობისტური საქმიანობა უმეტესწილად ნაწილობრივ, ხოლო ხანდახან ფორმალურ ლობირებაზე ეფექტიანია.


სამეცნიერო ტექნოლოგიების ეპოქაში, საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, მათ შორის ლობირებაშიც ფართოდ გამოიყენება ციფრული საკომუნიკაციო არხები. ლობისტური საქმიანობის არაფორმალური მხარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ართულებს ინტერესთა ჯგუფების გავლენის გაზომვას, რადგან ინფორმაცია დიდწილად კონფიდენციალური რჩება. შესაბამისად, კვლევის პროცესში საინტერესო იყო პოლიტიკური გაერთიანებების თვალსაზრისი არაფორმალური ლობირების ეფექტიანობაზე.

დიაგრამა N25: არაფორმალური ლობირების ეფექტიანობა;




კითხვაზე N21: თქვენი აზრით, იყენებენ თუ არა საქართველოში რეგისტრირებული სხვა პოლიტიკური გაერთიანებები ლობირებას ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად? მიღებული პასუხი, იყო ერთგვარი ლოგიკური გამოძახილი იმ ფაქტისა, რომ საქართველოში ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტებისა და დანახარჯების გასაჯაროება იურიდიულად სავალდებულო ნორმას არ წარმოადგენს.

დიაგრამა N26: სხვა პარტიათა ლობისტური საქმიანობის ფაქტები



კითხვაზე N22: რამდენად უზრუნველყოფს ლობირება დაინტერესებული მხარის მაქსიმალურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში? რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით, ლობირება უმეტესად მხოლოდ ნაწილობრივ, ხოლო ხანდახან ცალსახად განაპირობებს ინტერესთა ჯგუფების მაქსიმალურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დიაგრამა N27: ლობირება, როგორც ინტერესთა ჯგუფების ჩართულობის უზრუნველმყოფი ფაქტორი



რაც შეეხება მიღებული შედეგების საფუძველზე სახელმწიფოს ლობისტური საქმიანობისთვის არსებული სივრცის მახასიათებლებისა და შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენას, ვიხელმძღვანელოთ ევროკავშირში აკრედიტირებული საზოგადოებრივი პოლიტიკის ადვოკატების ასოციაციის (Association of Accredited Public Policy Advocates to the European Union) მიერ შემუშავებულია კითხვარით. კითხვარში უპირველესად ხაზგასმულია (1) საკანონმდებლო ბაზა, კერძოდ, რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული სახელმწიფო კანონში „ლობისტი“ და რამდენად მოიცავს ყველა იმ ინტერესთა ჯგუფს ან ინდივიდს, რომელიც შეიძლება ლობისტურ საქმიანობას ეწეოდეს. აგრეთვე, რამდენად ზუსტადაა ჩამოყალიბებული „ლობირების სამიზნე“ - ეროვნული და ადგილობრივი საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ან მარეგულირებელ ორგანოებში მომუშავე ოფიციალური პირები. და ბოლოს, რამდენად მკაფიოდ არის განწერილი „ლობირება/ლობისტური საქმიანობა“ და მოიცავს თუ არა ნებისმიერ კონტაქტს, წერილობით ან ზეპირ კომუნიკაციას ლობირების სამიზნე პირებთან. ლობისტური ლანდშაფტის შეფასებისას მნიშვნელოვანია (2) გამჭვირვალობა, რომელიც გულისხმობს რამდენად აქვს საზოგადოებას საკმარისი ცოდნა იმის შესახებ, (ა) თუ ვინ ლობირებს (ბ) რა საკითხების ლობირება ხდება (გ) როდის და როგორ ლობირებენ (დ) რა თანხა იხარჯება ამ პროცესში და (ე) რა შედეგები მოჰყვა ლობირებას? შემდეგი პუნქტია (3) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც მოიცავს პასუხი გაეცეს, თუ რამდენად აქვთ მოქალაქეებს წვდომა საჯარო სექტორის საქმიანობის შესახებ და გულისხმობს თუ არა კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების აუცილებლობას? ლობისტური ლანდშაფტის შეფასებისას დიდ როლს თამაშობს (4) სახელმწიფოში ლობისტის რეგისტრაცია და საქმიანობის დანყებიდან რა ვადაში, რამდენად დამოუკიდებელი და ზეგავლენისგან თავისუფალია პროფესიონალი ლობისტი. აგრეთვე, აქვთ თუ არა ლობისტებს ვალდებულება წარმოადგინონ საქმიანობისა და ხარჯების ანგარიში განსაზღვრულ დროში ერთხელ, შესაბამისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვისთან მიმართებაში ლობირებენ, რას ურჩევენ და რამდენად ხელმისაწვდომი ფორმატით არის ეს ყველაფერი წარმოდგენილი. (5) რამდენად დამოუკიდებელია და ამავე დროს, კანონმდებლობის მხრივ კარგად გაკონტროლებული პირი, რომელიც

ზედამხედველობს ლობისტთა რეგისტრაციას, რამდენად კარგად ხორციელდება მონიტორინგი, მნიშვნელოვანია პრაქტიკაში არსებული დარღვევების ნუსხა და შესაბამისი სანქციების არსებობა.

აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით გამოკითხვის შედეგების შეჯამების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ (1) „კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ“ არ შეიცავს „ლობისტის“ საყოველთაო განსაზღვრებას, (2) ნაკლებად არის დაცული გამჭვირვალობის პრინციპი და საზოგადოებას არ გააჩნია საკმარისი წარმოდგენა იმის შესახებ, (ა) თუ ვინ ლობირებს (ბ) რა საკითხების ლობირება ხდება (გ) როდის და როგორ ლობირებენ (დ) რა თანხა იხარჯება ამ პროცესში და (ე) რა შედეგები მოჰყვა ლობირებას; (3) ინფორმაცია ლობისტური საქმიანობის შესახებ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, რადგან არ არსებობს მისი ნებისმიერ შემთხვევაში გასაჯაროების ვალდებულება და ბოლოს, (4) არ არსებობს ლობისტის რეგისტრაციის აუცილებლობა, მისი მარეგულირებელი ორგანო, (5) დარღვევების ნუსხა და შესაბამისი სანქციები.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური გაერთიანებები გარკვეულწილად თანხმდებიან, რომ ლობიზმი, როგორც პოლიტიკის გამტარებელზე ზემოქმედების ინსტრუმენტი ეფექტიანია და აპირებენ კიდევ სამომავლოდ ამ სტრატეგიის გამოყენებას. თუმცა, ასევე ცხადი ხდება, რომ პრაქტიკაში ლობისტური მომსახურების გამოყენების შემთხვევები მინიმალურია. რაც შეეხება ფინანსურ დანახარჯებს, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის პროცესში ამ საკითხზე კონფიდენციალურობა არჩიეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანი რესურსები ლობისტურ კამპანიაზე მხოლოდ მმართველი პარტიების მიერ იქნა გამოყოფილი. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ოფიციალურად რეგისტრირებული თანხობრივი მონაცემები, ისევე, როგორც ლობისტურ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა მიახლოებითია და ზუსტი მონაცემების დადგენის საშუალებას ვერ იძლევა, რადგანაც საქართველოში არ არსებობს მსგავსი მონაცემების აღნუსხვის ოფიციალური ვალდებულება ან ბაზა.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის თავისებურებების კვლევა, მათი ეფექტიანი საქმიანობისთვის ხელშემწყობი ფაქტორებისა და შემაფერხებელი გარემოებების იდენტიფიკაცია, პრობლემური საკითხების გამოვლენა და მისი გადაწყვეტის გზების ძიება. კვლევის ფარგლებში, ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაშრომებზე დაყრდნობით, მოხდა საკვლევო თემის ანალიზი დისციპლინათშორის ჭრილში, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კვლევითი დაწესებულებების მიერ საკითხთან დაკავშირებული ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საფუძველზე შემუშავდა დასკვნები. კვლევის ფარგლებში, საქართველოში რეგისტრირებული პოლიტიკური გაერთიანებების გამოკითხვის საფუძველზე, გამოიკვეთა ლობირების ტექნიკის გამოყენების სიხშირე, ეფექტიანობა, ლობირებაზე გაღებული დანახარჯები,

კვლევის საწყისი ეტაპი მოიცავდა ინტერესთა ჯგუფების ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირებაზე გავლენის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ანალიზს. კერძოდ, ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის გამოკვლევას ისტორიული და თანამედროვე კონტექსტით, საქმიანობის პრაქტიკული მხარის განხილვას ციფრული ტექნოლოგიების სფეროს მაგალითზე, ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტების შედარებით ანალიზს, სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში. გარდა ამისა, გაანალიზდა ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და საქმიანობის მოტივები ინსტიტუციური ეკონომიკის თეორიულ ჭრილში.

- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინტერესთა ჯგუფების ფორმირებას მნიშვნელოვნად შეუწყობ ხელი თანამედროვე გლობალიზაციამ, სახელმწიფოთა შორის გაზრდილმა ურთიერთდამოკიდებულებამ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ სფეროში და საერთაშორისო ორგანიზაციათა რიცხვის ზრდამ. ამ

უკანასკნელმა დღის წესრიგში დააყენა კონკრეტულ სახელმწიფოსა თუ ქვეყნის შიგნით მოქმედ ინტერესთა ჯგუფთათვის სასურველი საკითხის ზეეროვნულ დონეზე ლობირების საჭიროება, რადგან მოხდა ეროვნული მთავრობების იურისდიქციის ქვეშ მყოფი რიგი საკითხების ზეეროვნულ დონეზე გადატანა (მაგ., ევროკავშირის შემთხვევა). ხოლო იმ გარემოებამ, რომ სასურველი შედეგის მიღწევისთვის ინდივიდუალური მცდელობაზე ეფექტიანი გახადა კოორდინირებული ძალისხმევა, კიდევ უფრო გაზარდა სასურველი ინტერესის საფუძველზე მოქალაქეთა გაერთიანების რიცხვი;

- გამოიკვეთა, რომ ინტერესთა ჯგუფების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენისთვის გამოყენებული ინსტრუმენტები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებში. კერძოდ, მმართველობის დემოკრატიული სისტემა იძლევა შესაძლებლობების მეტ სპექტრს ინტერესთა ჯგუფების მოქმედებისთვის, ვიდრე ავტორიტარული, სადაც არსებული შეზღუდვების ფონზე სამოქმედო სივრცე ბევრად შეზღუდულია;
- თანამედროვე ინდუსტრია 4.0-ის ეპოქაში, ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობის ზრდის კვალდაკვალ, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, შეუქცევად ხასიათს ატარებს ამ სექტორში მოქმედი ინტერესთა ჯგუფების რიცხვისა და გავლენის ზრდა. ის გარემოება, რომ ციფრული ინდუსტრიის საკითხების მარეგულირებელი ჩარჩო განვითარებულ ქვეყნებშიც კი ფორმირების ეტაპზეა, გვევლინება ინტერესთა ჯგუფების დამატებით მამოტივირებელ ფაქტორად, მოახდინონ გავლენა კანონმდებელზე სასურველი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. კონკურენტული გარემო კი განაპირობებს ინტერესთა ჯგუფების მიერ მრავალფეროვანი ლობისტური სტრატეგიების შემუშავებასა და ლობისტური დანახარჯების ზრდას სასურველი ინტერესების ადვოკატირებისთვის;
- ლობირების, როგორც სხვადასხვა კომპონენტების ურთიერთქმედებით ჩამოყალიბებული თანმიმდევრული სტრატეგიის გამოყენებას განსაზღვრავს შიდა ორგანიზაციული და გარე ფაქტორები, ხოლო მისი ეფექტიანობის გაზომვას

აფერხებს არაფორმალური ინსტრუმენტების გამოყენება. ლობისტური სტრატეგიის სწორად შემუშავება, მეტწილად უზრუნველყოფს ლობირების წარმატებას შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისა და არსებული პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინების შემთხვევაში. ეფექტიანი ლობირება გულისხმობს ერთი მხრივ, სასურველი ინტერესის ადვოკატირებას, ხოლო მეორე მხრივ, არასასურველი ცვლილებების შეფერხებას;

- ინტერესთა ჯგუფების აქტივობისა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში დიდ როლს თამაშობს სოციალური კაპიტალი.

კვლევის შემდგომ ეტაპზე შევისწავლეთ ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის თავისებურებები საერთაშორისო გამოცდილების, კერძოდ აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოების მაგალითზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოვყავით ლობიზმის საერთო და განმასხვავებელი ფაქტორები პლურალისტური და კორპორატისტული თეორიული მოდელების ჩარჩოებში დაყრდნობით.

- ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოდგენილია ინტერესთა ჯგუფების ფართო სპექტრი, რომელთა მიერაც აქტიურად ხდება ლობისტური ინსტრუმენტის გამოყენება ფედერალური მთავრობის მიერ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად, რასაც ხაზს უსვამს ლობისტურ საქმიანობაზე დახარჯული ფინანსების რაოდენობა;
- ევროპულ სახელმწიფოებში ინტერესთა ჯგუფების გააქტიურების მხრივ დიდი როლი ითამაშა როგორც ევროკავშირის ჩამოყალიბებამ და გაფართოებების პროცესებმა, რომლის დროსაც კანდიდატი სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი ხდება ევროკავშირის დონეზე სასურველი ინტერესის ადვოკატირება ან არასასურველი გადაწყვეტილებისთვის ხელის შეშლა;
- ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებები აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში განსხვავებულია. აშშ-ისთვის დამახასიათებელია მრავალგვარი ინტერესთა ჯგუფებით წარმოდგენილი პლურალისტური სისტემა,

რომელიც ერთგვარ კონკურენციას უწევს ფედერალურ ხელისუფლებას. თუმცა, ინტერესთა ჯგუფებს შორის ორგანიზაციული და ფინანსური რესურსების განსხვავების დონე, შესაძლოა გახდეს უკეთესად ორგანიზებული და ფინანსური ჯგუფების დომინირების საფუძველი. ევროკავშირის ქვეყნებში ინტერესთა ჯგუფების საქმიანობას ხსნის კორპორატიული მოდელი, რადგან გვხვდება სახელმწიფოსა და ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების სისტემა, ხოლო ინტერესთა ჯგუფის წევრობა განიხილება სამთავრობო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი ეფექტიანი გზა.

თეორიულ - მეთოდოლოგიური საფუძვლების და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზების შემდეგ, გამოვიკვლიეთ ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები საქართველოში, სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის ხარისხის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემო საერთაშორისო ინდიკატორების მონაცემებით, ხოლო საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებთან ჩატარებული კვლევის მეშვეობით შეგვეფასებინა ლობირების გამოყენების ხარისხი სასურველი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

- საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში, რომელშიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნა აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მოვლენა აქტიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხრივ. თუმცა, ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა იქონია როგორც საბჭოთა კავშირის დაშლამ, აგრეთვე, მის შემადგენლობაში მრავალწლიანი ყოფნის მემკვიდრეობამ;
- კვლევა მოიცავდა საქართველოში მოქმედ უცხოურ ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის მიზნების, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით გადადგმულ ნაბიჯების, აგრეთვე, საკანონმდებლო ინიციატივებსა და ეკონომიკურ-პოლიტიკური მიმართულებით შემუშავებული რეკომენდაციების შეფასებას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უცხოურ ინტერესთა ჯგუფების საქმიანობა საქართველოში ხასიათდება საკმაოდ მაღალი ხარისხის აქტივობით, რაც გამოიხატება მათ

ჩართულობაში როგორც საკონსულტაციო სახის, აგრეთვე, ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან ოფიციალურ დონეზე შეხვედრების მხრივ. საქართველოში მოქმედი უცხოური სავაჭრო ასოციაციებისა და პალატების მხრიდან გამუდმებით ხდება სხვადასხვა ეკონომიკური ინიციატივების ხელშეწყობა ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისა და ქართული საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით;

- კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ევროკავშირის ლობისტურ პორტალზე ოფიციალურად რეგისტრირებული ქართული ინტერესთა ჯგუფები, ხოლო ამავე ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზდა მათი აქტივობის ხარისხი;
- სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე განსაზღვრავს თუ რამდენად განვითარებული და წარმოდგენილია საზოგადოების ინტერესები. ეკონომიკურად განვითარებულ საზოგადოებებში, ჩვეულებრივ, ვრცელია ინტერესთა ჯგუფების რაოდენობა და მათი წევრების რიცხვი. ამის საპირისპიროდ, ნაკლებად მდიდარ ქვეყნებში, ინტერესთა ჯგუფების რაოდენობა, როგორც წესი, საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო მათ მიერ გამოყენებული სტრატეგიების ეფექტიანობა - დაბალია.

რაც შეეხება საქართველოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა კვლევას, კითხვარის მეშვეობით ჩატარებულმა ინტერვიუმ შესაძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა პოლიტიკური პარტიების მიერ ლობირების გამოყენების სიხშირე, პრიორიტეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური საკითხები, მიზანშეწონილობა, ეფექტიანობის გამსაზღვრელი ფაქტორები და შემაფერხებელი გარემოებები და თანმდევი რისკები. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი დასკვნები:

- პოლიტიკური პარტიები საკმაოდ იშვიათად იყენებენ ლობირებას სასურველი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მეტიც, ლობირება აღმოჩნდა მათ მიერ ყველაზე ნაკლებად გამოყენებული სტრატეგია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისა და სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისთვის სხვა ინტრუმენტებთან შედარებით - აზრის დაფიქსირება მედია

- საშუალებების მეშვეობით, მასობრივი შეკრებები და მანიფესტაციები, პეტიცია და საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა. აღნიშნულზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ ინტერესთა ჯგუფების ან პოლიტიკური გაერთიანებების მიერ სასურველ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის სტრატეგიად მასობრივი მანიფესტაციების გამოყენება ლობირებაზე, საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენასა და პეტიციაზე ხშირად, არის განვითარებადი, დემოკრატიული ტრანზიციის ეტაპზე მყოფი სახელმწიფოს მახასიათებელი ნიშანი;
- რესპოდენტების მხრიდან გამოიკვეთა ლობირების, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების ინსტრუმენტის ეფექტიანობის აღიარება იმ არგუმენტებით, რომ ლობირება საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდია, აქვს ფართო გამოყენება დასავლურ სამყაროში და ეფექტიანი ინსტრუმენტია გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად;
 - ლობირების პროცესის თანმდევ რისკების მხრივ საქართველოს მაგალითზე გამოიკვეთა - მარეგულირებელი ნორმების არარსებობა საკანონმდებლო დონეზე. ეს გულისხმობს, რომ დღის წესრიგში დგას ლობისტური საქმიანობის რეგისტრაციის, გაღებული დანახარჯების გასაჯაროებისა და დარღვევების დროს სათანადო სანქციების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების აუცილებლობა, რა შემთხვევაშიც სხვა დანარჩენი რისკები - კორუფცია, საჯარო ინფორმაციის მიუწვდომლობა, ეთიკის სტანდარტების დარღვევა - მინიმუმამდე დაიყვანება. აუცილებელია მარეგულირებელი ნორმების სისრულეში მოყვანის მექანიზმიც;
 - გამოკითხული რესპოდენტების 31%-მა აღნიშნა მათი პოლიტიკური გაერთიანებების მიერ ლობირების გამოყენების ფაქტი მმართველობის სხვადასხვა დონეებზე სასურველ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. შედეგად ვასკვნით, რომ საქართველოში, საჯარო პოლიტიკური პროცესის ფორმირებაში ჩართული სუბიექტების (ამ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიების) მიერ ლობირების, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული ეფექტიანი სტრატეგიის გამოყენების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ამათგან, ლობირების ძირითადი სამიზნე აღმოჩნდა მმართველობის ეროვნული დონე, ხოლო ყველაზე ნაკლებად

- ზეეროვნული. ფაქტი აიხსნება იმით, რომ ზეეროვნულ დონეზე ლობირება მოითხოვს სიღრმისეულ ცოდნასა და ექსპერტიზას ლობირების სამიზნე ინსტიტუტის შიდა სტრუქტურის, ბიუროკრატიული პროცესებისა და სამიზნე აუდიტორიის შესახებ;
- საქართველოს მაგალითზე, ლობირების წარმატებების განმაპირობებელ ფაქტორებად დასახელდა (1) ფინანსური უზრუნველყოფა (2) სტრატეგიის განსაზღვრის / სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება და (3) პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართულობა / ნდობის მოპოვება. ხოლო შემაფერხებელ გარემოებებად (1) არასაკმარისი ფინანსური რესურსები, (2) გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის მიწოდებული საკითხის ნაკლებად პრიორიტეტულობა და (3) პროფესიონალი ლობისტის არარსებობა გამოვლინდა;
 - საგულისხმოა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობამ კონფიდენციალურად დატოვა ინფორმაცია (1) მათ მიერ განხორციელებულ ლობისტურ კამპანიაზე, (2) ლობისტურ საქმიანობაზე განეულ დანახარჯებსა და (3) პრიორიტეტულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ საკითხებზე. აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, რომ საქართველოში ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტებისა და დანახარჯების გასაჯაროება იურიდიულად სავალდებულო ნორმას არ წარმოადგენს და ხაზს უსვამს ლობისტური ინფორმაციის საჯაროობის და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის დანერგვის აუცილებლობას;
 - გამოკითხულმა რესპოდენტებმა ერთმნიშვნელოვნად აღიარეს, რომ მათ სამომავლო გეგმებში შედის ლობისტური საქმიანობა. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ აუცილებელია, რომ ლობისტური საქმიანობის ფართოდ გავრცელების კვალდაკვალ, საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუმჭვირვალობის, ეთიკური სტანდარტების დარღვევისა და კორუფციის საფრთხე;
 - კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოში რეგისტრირებული პარტიების მიერ პრაქტიკაში ლობისტური კამპანიის გამოყენების შემთხვევები მინიმალურია. რაც შეეხება ფინანსურ დანახარჯებს, აშშ-ისა და ევროკავშირის საინფორმაციო

ბაზებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანი რესურსები ლობისტურ კამპანიაზე მხოლოდ მმართველი პარტიების მიერ იქნა გამოყოფილი. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ოფიციალურად რეგისტრირებული თანხობრივი მონაცემები, ისევე, როგორც ლობისტურ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა მიახლოებითა და ზუსტი მონაცემების დადგენის საშუალებას ვერ იძლევა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოში დღესდღეობით, ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის თავისებურებების განმაპირობებელი ფაქტორებად გვევლინება:

- საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოიკიდებლობის მოპოვების შემდგომი გარემოებები და ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევები, რომელიც მოიცავდა სახელმწიფო სტრუქტურების რადიკალურად გარდაქმნის პროცესს, არის ჩვენს თანამედროვეობაში, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების საქმიანობის და მეორე მხრივ, ზოგადად ინტერესთა ჯგუფების მიერ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გეგავლენის თავისებურებების ამხსნელი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პატენმისეული კვლევა სამოქალაქო ცხოვრების თავისებურებების მჭიდრო კავშირზე ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებასთან, რელევანტურია, თანამედროვე საქართველოში ერთი მხრივ, ეკონომიკურ ინტერესთა ჯგუფების საქმიანობისა და მეორე მხრივ, ზოგადად ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გეგავლენის თავისებურებების ახსნაში. ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა, რომელიც გულისხმობდა ეკონომიკის ცენტრალურ დაგეგმვას და ქმნიდა ნაკლებ შესაძლებლობას ინოვაციური იდეების განხორციელებისთვის, ხელს უწყობდა არა თავისუფალი პიროვნების, არამედ „ქვეშევრდომის“ ჩამოყალიბებას. კომუნისტური რეჟიმის პირობებში, არ იყო წახალისებული დამოუკიდებელი სამოქალაქო ინიციატივების მეშვეობით მმართველობის პროცესში რეალური

ჩართულობა, რადგან საზოგადოებრივი ჯგუფების საქმიანობას მიმართულებებს აძლევდა სახელისუფლებო მმართველობა;

- ინტერესთა ჯგუფების ფართო სპექტრის მხოლოდ ფორმალური არსებობა აიხსნება საქართველოს, როგორც არასრულყოფილი დემოკრატიის ანუ დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში მყოფი სახელმწიფოს ფაქტორით. სრულყოფილი დემოკრატია თავის მხრივ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მართვის მაქსიმალური ეფექტიანობა მიღწევადია ეკონომიკური-პოლიტიკური გადანაცვტილებების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და ინტერესთა ჯგუფების ჩართულობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში. თუ აღნიშნული გარემოება ეფუძნება საკანონმდებლო ჩარჩოს, სადაც განერილია ერთი მხრივ, როგორც ინტერესთა ჯგუფების მოქმედების რეგულირება, გამჭვირვალობის აუცილებლობა და ეთიკური სტანდარტების შესაბამისობა, მეორე მხრივ, უნდა მოიცავდეს გარკვეულ სანქციებს შესაბამისი ნორმების დაუცველობის შემთხვევაში. ზემოაღნიშნული საშუალებას მოგვცემს ინტერესთა ჯგუფების მიერ აქტივობის მაღალი ხარისხისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანაცვტილებებზე ზეგავლენის ინსტრუმენტების მრავალფეროვნების შემთხვევაშიც კი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი თანმდევი რისკები;
- საერთაშორისო ინდიკატორები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხს, სიტყვის თავისუფლებას, სოციალურ-ეკონომიკური გარემოს, კორუფციის აღქმას - არიან ერთგვარი ამხსნელი ფაქტორები ინტერესთა ჯგუფების საქმიანობისა და ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადანაცვტილებებზე გავლენის თავისებურებების კვლევის მიმართულებით. ეკონომიკურად განვითარებულ საზოგადოებაში მაღალია როგორც ინტერესთა ჯგუფების, აგრეთვე, მასში განევრიანებულ ადამიანთა რიცხვი და აქტივობების ხარისხი, ხოლო ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში შეზღუდულია ინტერესთა ჯგუფების რაოდენობა და ეფექტიანი სამოქმედო სტრატეგიის შემუშავების დონე.

საქართველოში ინტერესთა ჯგუფების ფორმირების სპეციფიკისა და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ინტერესთა ჯგუფების აქტივობის ხარისხის განმსაზღვრელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული რეკომენდაციები.

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით „საქართველო ესწრაფვის, გახდეს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი, რაც მას საშუალებას მისცემს, მოახდინოს დემოკრატიის კონსოლიდაცია, ასევე განიმტკიცოს კეთილდღეობა და ეროვნული უსაფრთხოება“ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2014). შესაბამისად, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განწევრიანების რეალური პერსპექტივების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ინტერესთა ჯგუფების მნიშვნელოვანი როლის აღიარება ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როგორც ეროვნულ, აგრეთვე, ზეეროვნულ დონეზე. რამეთუ, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ინტერესთა ჯგუფების გავლენა ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე როგორც აშშ-ს, აგრეთვე ევროკავშირის შემთხვევაში მაღალია. შესაბამისად, რეკომენდირებულია, პირველ რიგში ინტერესთა ჯგუფის წევრობა განიხილებოდეს როგორც სამთავრობო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი ეფექტიანი გზა და მოხდეს საზოგადოების წახალისება შექმნან სხვადასხვა კორპორატიული ჯგუფები გაზიარებული ინტერესების საფუძველზე, ხოლო შედეგად ჩამოყალიბდეს სახელმწიფოსა და ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების სისტემა მუდმივი დიალოგის მეშვეობით.
- გასათვალისწინებელია, რომ გადაიდგას ქმედითუნარიანი ნაბიჯები ინტერესთა ჯგუფების გაძლიერების მხრივ კორპორატიულ მოდელზე დაყრდნობით, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს პლურალისტური მოდელისთვის მახასიათებელი უკეთესი ფინანსური რესურსების მქონე ჯგუფების დომინირების საფუძველი. განვითარებადი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების

ყველა სეგმენტის ჩართულობა და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევა ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. შესაბამისად, პლურალისტული მოდელი შეიცავს ერთგვარ საფრთხეს გადაწყვეტილებები მიღებულ იქნას დიდი გავლენების მქონე ჯგუფების სასარგებლოდ და ყურადღების მიღმა დარჩეს საზოგადოების სხვა სეგმენტი, რომელთა ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებაც შესაძლოა ყოფილიყო გაცილებით მნიშვნელოვანი გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

აუცილებელია, რომ ინტერესთა ჯგუფებისა და ლობისტების ქმედება, მოახდინონ ზეგავლენა ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე სასურველი შედეგების მიღწევის მიზნით, დარეგულირდეს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმით, რათა თავიდან იქნას აცილებული კორუფცია და გამჭვირვალობის ნაკლებობა, რისი საფრთხეც გაცილებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში.

- ამისთვის, რეკომენდირებულია, ინტერესთა ჯგუფებისა და ლობისტური საქმიანობის მარეგულირებელი კანონი მოიცავდეს „ლობისტის“ მრავლისმომცველ განსაზღვრებას, ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულებას იმის შესახებ (ა) თუ ვინ ლობირებს (ბ) რა საკითხების ლობირება ხდება (გ) როდის და როგორ ლობირებენ (დ) რა თანხა იხარჯება ამ პროცესში და (ე) რა შედეგები მოჰყვება ლობირებას;
- სასურველია, ხარჯების გამჭვირვალობისა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მაქსიმალურად მარტივი ხელმისაწვდომობის მიზნით, ზემოაღნიშნული მონაცემების განთავსებისთვის ჩამოყალიბდეს ერთ ელექტრონული ბაზა, როგორც ეს აშშ-სა და ევროკავშირის შემთხვევაში მოქმედებს (მაგ., Lobbyfact.eu, Sunlight Foundation, Fara);
- რეკომენდირებულია ლობისტის რეგისტრაციის აუცილებლობა და მარეგულირებელი ორგანო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს ლობისტის საქმიანობას და მიიღებს შესაბამისი სანქციებს კანონდარღვევის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ შეიცავდეს დასაშვები და

აკრძალული საქმიანობების დეტალურ ნუსხას და შესაბამის ზომებს კანონიდან
გადაცდომის შემთხვევაში;

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ბალარჯიშვილი, ი. (2018). მაკროპარადიგმული კრიზისი და ინსტიტუციური ეკონომიკის „მეინსტრიმული“ პოტენციალი. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #6; გვ. 110-114, ISSN 2449-2396.
- 2) ბალარჯიშვილი, ი. (2013). რაციონალური არჩევანის პრობლემა პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ ბაზრებზე. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #6; გვ. 49-64, ISSN 1987-5789.
- 3) ბედიანაშვილი, გ. (2019). ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების კონტექსტით. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები, შრომათა კრებული, თბილისი.
- 4) ბერიძე, თ. (2019). ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები, შრომათა კრებული, თბილისი.
- 5) გველესიანი, რ. (2019). ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობების პრობლემები. ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი VIII, #1, გვ. 9-18, ISSN 1987-5789.
- 6) გველესიანი, რ. (2019). ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან შესაბამისობის პრობლემა. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები, შრომათა კრებული, თბილისი.
- 7) გველესიანი, რ. (2019). ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და მათ განსახორციელებლად მიღებული

- გადაწყვეტილებების თავსებადობის პრობლემა. გლობალიზაცია და ბიზნესი #7, გვ. 32-38, ISSN 1987-5789.
- 8) გველესიანი, რ., და გოგორიშვილი, ი; (2018). გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- 9) გოგორიშვილი, ი. (2019). ციფრული ეკონომიკის წარმატებული განვითარების სტრატეგია საქართველოში. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები, შრომათა კრებული, თბილისი.
- 10) კაკულია, ნ. (2019). გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა და ინსტიტუციური გარემო საერთაშორისო ინდექსების მიხედვით. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები, შრომათა კრებული, თბილისი.
- 11) კაპანაძე, ს. (2009). პირობითობისა და სოციალიზაციის გავლენა ევროპული პოლიტიკის მაკორდინირებელი შიდა ინსტიტუტების ტრანსფორმაციაზე აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- 12) კობერიძე, თ. (2016). სამოქალაქო ადვოკატირების ზეგავლენა საქარო პოლიტიკაზე: საქართველოს მაგალითი. სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA).
- 13) ლევაშვილი, ე. (2019). ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების სისტემატიზაცია. II ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები, შრომების კრებული, თბილისი.
- 14) ლევაშვილი, ე. (2017). ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური მენარმეობის განვითარების აქტუალური საკითხები. ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, 1. გვ. 25-38. ISSN 1987-5789.

- 15) მამალაძე, ლ. (2019). ბლოკჩეინ ტექნოლოგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - საქართველოსა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, შრომათა კრებული, თბილისი. E ISSN 2587-4691.
- 16) მამალაძე, ლ. (2020). ინტერესთა ჯგუფების ანალიზი ინსტიტუციური ეკონომიკის კონტექსტით. სამეცნიერო კონფერენცია - თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამონვევები, გადაჭრის გზები. შრომათა კრებული, თბილისი. ISBN 978-9941-13-391-6.
- 17) მამალაძე, ლ. (2018). კრიპტოგრაფიული ვალუტა - ეკონომიკური პოლიტიკის გამონვევა. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, ტომი 5, #2. P-ISSN: 2449-2418; E-ISSN: 2449-260
- 18) მექვაბიშვილი, ე. (2019). ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმირება გლობალიზაციის პირობებში. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #8. გვ. 22-33 ISSN 2449-2396; E-ISSN 2449-2612.
- 19) მექვაბიშვილი, ე. (2016). გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის ერთიანობა – თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარების პარადიგმა. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #2. გვ. 30-36. ISSN 2449-2396.
- 20) მუსხელიშვილი, მ. (2006). სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. სოციალურ მეცნიერებათა სერია, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.
- 21) მუსხელიშვილი, მ. (2011). სოციალური დიალოგი საქართველოში. ევროკავშირი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი. ISBN 978-9941-0-4116-7
- 22) პაპავა, ვ. (2016). გლობალური გამონვევები და საქართველოს რაციონალური არჩევანი; „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #2. გვ. 18-29. ISSN 2449-2396.
- 23) პაპავა, ვ. (2019). ეკონომიკის პოლიტიზაცია და არაეკონომიკური პოლიტიკა (პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება). „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #8, გვ. 13-21. ISSN 2449-2396; E-ISSN 2449-2612.

- 24) შაპავა, ვ. (2002). პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი. ISBN 99928-0-454-8.
- 25) საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. (2015). საქართველოს ანტიკორუფციული კანონმდებლობის განხორციელება პრაქტიკაში. ანგარიში მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.
- 26) საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხი 2020 წლის BTI-ის მიხედვით (2020). ინფორმაციული თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).
- 27) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (2014).
- 28) საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ (1998).
- 29) საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (1991).
- 30) ლალანიძე, გ. (2018). ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების საერთაშორისო ასპექტები. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #6; გვ. 36-42. ISSN 2449-2396;
- 31) შორემოვა, ტ., რიჰაჩკოვა, ვ. (2014). საჯარო პოლიტიკის შემუშავება ევროკავშირში. პოლიტიკის დოკუმენტი: გზა ევროკავშირისკენ: ადვოკატირების გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებისათვის: ევროკავშირში გადანყვეტილებების მიღების პროცესი და ადვოკატირება. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო.“ ISBN: 978-9941-0-5661-1.
- 32) Abuselidze, G., and Mamaladze, L. (2021) The Impact of Artificial Intelligence on Employment before and during Pandemic: A Comparative Analysis. Journal of Physics: Conference Series (to be published).
- 33) Almond, G., and Verba, S. (1989). The Civic Culture: Political Attitudes and Democracy in Five Nations. London: Sage.
- 34) Amable, B. (2004). Diversity of Modern Capitalism. Oxford: Oxford University Press.
- 35) Austen-Smith, D., and Wright, J. (1994). Counteractive Lobbying. American Journal of Political Science. #38(1), pp. 25-44.

- 36) Baltz, K., König, T., and Schneider, G. (2005). Immer noch ein etatistischer Kontinent: Die Bildung nationaler Positionen zu EU-Verhandlungen, in Rainer Eising and Beate Kohler-Koch (eds), *Interessenpolitik in Europa*. Baden-Baden: Nomos, 283–310
- 37) Bansal P., and Roth K. (2000). Why companies go green: a model of ecological responsiveness. *Academy of Management Journal* #43. Pp. 717-736.
- 38) Bates, R. and A. Krueger, eds. (1993). *Political and Economic Interactions in Economic Policy Reform*. Cambridge: Basil Blackwell.
- 39) Baumgartner F.R., Gray, V. and Lowery, D. (2009). *Federal Policy Activity and the Mobilization of State Lobbying Organizations*. Chicago: American Political Science Association, # 62(3), pp. 552-567.
- 40) Baumgartner, F.R. and Jones, B.D. (1993). *Agendas and Instability in American Politics*. Chicago, IL: University of Chicago Press.
- 41) Baumgartner F. and Leech, B.L. (1998). *Basic Interests. The Importance of Groups in Politics and Political Science*, Princeton: Princeton University Press.
- 42) Baumgartner, F.R., Berry, J.M., Hojnacki, M., Leech, B.L., & Kimball, D.C. (2009). *Lobbying and policy change: Who wins, who loses, and why*. Chicago: University of Chicago Press.
- 43) Becker, G. S. (1976). *The economic approach to human behavior*. Chicago: University of Chicago Press.
- 44) Bellver, A. and D. Kaufmann. (2005). *Transparenting Transparency: Initial Empirics and Policy Applications*. World Bank Policy Research Working Paper.
- 45) Bender, G. and Reulecke, L. (2003). *Handbuch des deutschen Lobbyisten. Wie ein modernes und transparentes Politikmanagement funktioniert*. Frankfurt: Das F.A.Z.-Institut.
- 46) Bernhagen, P. (2012). Who Gets What in British Politics and How? Analyzing Media Reports on Lobbying around Government Policy, 2001-2007. *Political Studies* #60(3), pp. 557-577.

- 47) Berkhout, J. (2013). Why interest organizations do what they do: Assessing the explanatory potential of “exchange” approaches. *Interest groups & Advocacy*, #2(2), pp. 227-250.
- 48) Beyers, J. (2002). Gaining and Seeking Access: The European Adaptation of Domestic Interest Associations, *European Journal of Political Research* #41, pp. 585–612.
- 49) Beyers, J. (2008). Policy issues, organisational format and the political strategies of interest organisations. *West European Politics*, #31(6), pp. 1188-1211.
- 50) Beyers, J; and Kerremans, B. (2007). Critical resource dependencies and the Europeanization of domestic interest groups. *Journal of European Public Policy*. #14(3), pp. 460-481.
- 51) Beyme, K. (1980). *Interessengruppen in der Demokratie*. München.
- 52) Binderkrantz, A. (2005). Interest group strategies: Navigating between privileged access and strategies of pressure. *Political Studies*, #53(4), pp. 694-715.
- 53) Bouwen, P. (2001). Corporate lobbying in the European Union: the logic of access. *Journal of European Public Policy*. #9(3), pp. 365-390.
- 54) Bouwen, P. (2004), Exchanging Access Goods for Access. A Comparative Study of Business Lobbying in the EU Institutions, *European Journal of Political Research*, #43(3), pp. 337-369.
- 55) Bouwen, P. and McGowan, M. (2007). Lobbying verses litigation: political and legal strategies of interest representation in the European Union. *Journal of European Public Policy* #14(3), pp. 422-443.
- 56) Braeutigam, D. (2010). Interest Groups, Economic Policy and Growth in Sub-Saharan Africa. *African Economic Policy Discussion Paper*, N40.
- 57) Broscheid, A. and Coen, D. (2003). Insider and outsider lobbying of the European Commission: An informational model of forum politics. *European Union Politics*, #3(2). <https://doi.org/10.1177/1465116503004002002>
